აგვისტო 17-19
1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 142 (435)

ფასი 40 თეთრი




## ...რვის კაცების" ტრადიციისთვის ...უძვლის ჩაყრა ოფიციოზს არ ...დრება"

...უშინ გაიმართა აფხაზეთის ...ეხი საბჭოს, მინისტრთა ...ს, საპარლამენტო ფრაქცია ...ზეთის" და აფხაზეთის ავ-...მიური რესპუბლიკის ...ქტურებში შემავალი პოლი-...ი პარტიებისა და საზოგა-...ოვი მოძრაობების ერთობ-...შეკრება. მის მონაწილეებს ...მიეღოთ სერიოზული საპ-...ტო განცხადება აფხაზეთ-...ანლაგებული სამშვიდობო ...ს ახალი მანდატის შესა-...ნაიდან მოწვეულთა ნაწი-...ურებაზე არ გამოცხადდა, ...მ სხვაგვარი ხასიათი მი-...ამართა დისკუსია დოკუ-... მიღების მიზანშეწონი-... სხდომაზე ბორის კაკუ-...აქართველოს ხელისუფლე-...ა ლტოლვილთა „გამოფხი-ზლების" მიზნით, წინადადებით შევიდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნინაშე — კარვები დასცენ ქალაქის ცენტრში.

აღნიშნულ წინადადებას ვ.ყოლბაიას შემდეგი რეპლიკა მოჰყვა — „საქართველომ „კარვის ქალების" პრაქტიკა უკვე გაიარა და „კარვის კაცების" ტრადიციისთვის საფუძვლის ჩაყრა ოფიციოზს არ ეკადრება". სხდომაზე არანაირი განცხადება არ იქნა მიღებული.

შეკრება აღნიშნულ საკითხზე 21 აგვისტოსთვის გადაიდო.

იფრინდა

## ...ს დასასრულის დასაწყისი?





...ეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლებედის ...ებმა და გადაადგილებებმა ჩეჩნეთში ყოფნის დროს მისი ...მნახველი პირადი დაცვაც კი გააოცა. იჩქერიის რესპუბლიკის ...ხელებთან რუსი გენერლის შეხვედრის თაობაზე სამხედრო-...ჟურნალისტებმაც და პირადმა დაცვამაც გასვლამდე ხუთი ...ადრე შეიტყვეს. ნახევარსაათიანი ფრენის შემდეგ ვერტმფ-...რომელშიც ლებედი იმყოფებოდა, სოფელ ნოვი ატაგის ...ად დაეშვა, სადაც უკვე მოწინააღმდეგის მიერ „შემოთავა-... ავტომანქანები იცდიდნენ.

...ნახევარსაათიანი მგზავრობა და ლებედი მტრის ბანაკში ..., სადაც მას პირველი ჩეჩენთა სამხედრო დაჯგუფებების შტაბის ...ახლოს მასხადოვი „შეეგება". ჟურნალისტებს გადაღებებისთვის ...იმდენივე დრო მისცეს, რამდენიც კრემლში ოფიციალური ...ის დროს გამოიყოფა. დახურულ კარს მიღმა კი ლებედმა და ...მა დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ისაუბრეს...

გაგრძელება მე—6 გვერდზე

## ...აცვის საბჭო ...ოთებულია

...თველოს თავდაცვის ... ვარდიკო ნადიბაიძემ, ... დ.თ-ის თავდაცვის ... საბჭოს სხდომაზე ...ეული კომუნიკეს იმ ...რომელშიც გამოთქმუ-...ლი ჩრდილოატლა-...ლიანსის შესაძლო ...თან დაკავშირებით. ... ნათქვამია, რომ ...ების თავდაცვის ... საბჭო მოუწოდებს ... და აღმოსავლეთ ...ქვეყნებს, ბალტიის ...ზე თანხმდებოდნენ თავიანთი ...ზე ფარგლებში გაწევრიანე-...ბამდე...ებით.

## საქართველოს პროკურატურა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის მე-6 სართულზე საშინელებები ხდება! ყოველი პირი, რომელიც იქიდან გამოდის, არის ნაცემი, ამ სართულზე სპეციალურად საცემად აჰყავთ".

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:

„პროკურატურა საეჭვო ლოიალობას იჩენს იმ პოლიციელების მიმართ, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულში ამხილა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ურიგო არ იქნება, თუ საინფორმაციო საშუალებებით პოლიციისადმიდაუსაბუთებელი ბრალდებების წაყენების ნაცვლად, პროკურატურაში შეუდგებიან თავიანთი უღირსი თანამშრომლების გამოვლენას და დასჯას, რომელთა რიცხვი არც ისე მცირეა".

# პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ურთიერთბრალდებათა ქარცეცხლში

იხილეთ მე—4 გვერდი

## უშიშროების საბჭოს წარმომადგენლობა სოხუმში

გაეროს უშიშროების საბჭოს აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს — ასეთი წინადადებით მიმართა გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ღალიმ უშიშროების საბჭოს. მისი თქმით, სოხუმში მსგავსი წარმომადგენლობის გახსნას ერთი მიზანი აქვს — მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

ამ წარმომადგენლობის განთავსება იმ შენობაშია დაგეგმილი, სადაც დღეს გაეროს სამხედრო მეთვალყურენი არიან განლაგებულნი.

• BGI

# სახიფათო რეისი

საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალებზე ჯერ კიდევ ერთიორდე წლის წინ. მაგრამ „მეგაპოლის ექსპრესში" გამოქვეყნებულ მასალაში რუსეთის გზებზე აღწერილი დანაშაულებრივი ფაქტების გაცნობის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველი თვალნათლივ დაინახავს, თუ რამდენს მიაღწიეს სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს გზებზე ვითარების გამოსწორების საქმეში. თუმცა, ერთი კია, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. უპირველეს ყოვლისა კი, უნდა აღდგეს პოლიციელის პრესტიჟი, რომელიც ცალკეული არაკეთილსინდისიერი, ხელმრუდი თანამშრომლების გამოისობით, დღეს ძალზე დაბალია. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ხალხი ვერ ხედავს, ან არ იჯერებს იმ სასიკეთო საქმეებს, რომელთა განხორციელებაც ადმინისტრაციულ ორგანოებს უზარმაზარ ძალისხმევად უჯდებათ. არადა, რუსი ჟურნალისტის მონათხრობთან შედარების შემდეგ საქართველოს გზებზე მოგზაურობა მართლაც სასიამოვნო გასეირნებად მოჩანს.

დაწვრილებით მე 5 გვერდზე

## კონტროლის პალატამ „თელასის" ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა

გუშინ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქ თბილისის კონტროლის პალატამ მოისმინა სააქციო საზოგადოება „სამშენებლო ტრესტ №2-ის" საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და მუნიციპალური საწარმო „თელასის" 1994-1995 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტალური რევიზიების შედეგები.

იხილეთ მე—2 გვერდი

## საკონსტიტუციო სასამართლოს სამუშაო პირობების შექმნა სჭირდება

15 აგვისტოს გაიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი პლენუმი, რომელმაც მიიღო რეგლამენტი, აირჩია თავმდომარის ორი მოადგილე და სასამართლოს მდივანი. რეგლამენტის შემუშავებისას გამოყენებულია გერმანიის, უნგრეთის, რუმინეთის და რუსეთის გამოცდილება, რაც საქართველოს კანონებთან შესაბამისობაშია მოყვანილი.

რეგლამენტით განისაზღვრა, რომ თავმჯდომარე წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქვეყნის შიგნით და გარეთ. მის კომპეტენციაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მოწვევა, სხდომებისა და აპარატის საქმიანობის გაძღოლა, ეთიკის კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტება და რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

გაგრძელება მე 2 გვ.

# «ტელეარხ რუსთავი 2»-ის გაუქმებით უხეშად დაირღვა კონსტიტუცია»

## აცხადებს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საქმეთა და კანონიერების კომიტეტი

გუშინ „რუსთავი 2"-თან დაკავშირებით კიდევ ერთი პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე მოწვეულმა პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის აპარატის უფროსმა კობა დავითაშვილმა განაცხადა: „ამ ფაქტთან დაკავშირებით რიგმა თანამდებობის პირებმა უხეშად დაარღვიეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა. არაფერი გამოსაკვლევი არ არის, დარღვევები ზედაპირზე დევს. კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ ლიცენზიის ჩამორთმევა არ შეესაბამება ლიცენზიის ჩამორთმევის წესს. სალიცენზიო კომისიამ შარშან სხვა გადაწყვეტილება მიიღო, წელს სხვა. გამოდის, რომ მათ ან შარშან ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, ან წელს, რაზედაც პროკურატურაში უნდა აღიძრას საქმე უფლებების გადამეტების ბრალდებით. უფრო მეტიც, არ არსებობს „რუსთავი 2"-ის გაუქმების გადაწყვეტილება, რაც ზრდის მისი გაუქმების უკანონობას".

გაგრძელება მე 2 გვერდზე

# საკონსტიტუციო სასამართლოს სამუშაო პირობების შექმნა სჭირდება

პირველი გვერდიდან

პლენუმმა აირჩია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ორი მოადგილე — იაკობ ფუტკარაძე და გია მეფარიშვილი და სასამართლოს მდივანი — ოთარ ბენიძე. შეიქმნა ორი კოლეგია — თითოეული ოთხ-ოთხი წევრით.

მოქალაქეებისთვის წარდგინების შევსების გასაადვილებლად პლენუმმა გადაწყვიტა არ შემოელო წარდგინების შემოტანის რაიმე სპეციალური შაბლონი. სარჩელის შემოტანისთვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი განისაზღვრა სამი ლარით, რისი გადახდაც მოქალაქეებს მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეთ.

პლენუმმა არ მიიღო სარედაქციო ჯგუფის წინადადება იმის შესახებ, რომ სასამართლოს განჩინებაზე, გადაწყვეტილებაზე ან დასკვნაზე ჯერ სასამართლოს წევრებმა მოაწერონ ხელი და მერე თავმჯდომარემ, როგორც ეს დასავლეთის მრავალ ქვეყანაშია მიღებული, რათა სასამართლოს წევრებზე თავმჯდომარის ზეგავლენა გამოირიცხოს. სასამართლოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ არ იყო საჭირო თავმჯდომარესთან „დამოკიდებულების განსაზღვრა“ და გადაწყვიტეს, ამ საკითხს მაშინ მიბრუნებოდნენ, როცა გარკვეული გამოცდილება დაგროვდება. ამავე მიზეზით უარი ითქვა კენჭისყრის შემოთავაზებულ წესზე — ჯერ სასამართლოს წევრებმა აწერონ ხელი და შემდეგ თავმჯდომარემ.

ამ პლენუმით საკონსტიტუციო სასამართლომ დაამთავრა სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა. პირველი სარჩელების შესვლამდე კი, როგორც ჩანს, ჯერ სასამართლოსთვის სამუშაო პირობების შექმნა იქნება საჭირო.

კვირიკე სუბარი

# ტრანსკავკასიური დიალოგი კონფლიქტების მოგვარებისთვის

გუშინ ტაბახმელაში დაიწყო ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის (ჰმა) მრგვალი მაგიდა — **„ტრანსკავკასიული დიალოგის მეხუთე წელი — შემდგომი ნაბიჯები მშვიდობისა და სამართლიანობის დასამყარებლად“. „ამ შეხვედრას შეიძლება ვუწოდოთ არა მრგვალი მაგიდა, არამედ თანამშრომლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, რომლის მიზანი ტრანსკავკასიაში მშვიდობის დამყარებაა“**, — თქვა ტრანსკავკასიური პროგრამის საერთაშორისო კოორდინატორმა მარტენ ვან ჰარტენმა.

ტრანსკავკასიის პრობლემებზე მსჯელობა პირველად ხუთი წლის წინ დაიწყო მოსკოვში. მას შემდეგ შედგა 4 საერთაშორისო შეხვედრა — თბილისში, თელავსა და ტაბახმელაში. ამ შეხვედრებს ორი ძირითადი მიზანი აქვთ: 1) დიალოგი და შერიგება ტრანსკავკასიაში; 2) საზოგადოების მომზადება კონფლიქტის მოგვარებისთვის. აქ იგულისხმება არა მხოლოდ აფხაზეთისა და ყარაბახის, არამედ ყირიმისა და ჩეჩნეთის კონფლიქტებიც.

შვეიცარიელმა საინფორმაციო საშუალებების ექსპერტმა ვიკენ ჩეტირიანმა განაცხადა, რომ ამიერკავკასიაში მასმედია ვერ ახდენს სათანადო გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. **„გაზეთების ყიდვა მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეუძლია, ტელევიზიას კი ხელისუფლება აკონტროლებს,** — თქვა მან. — **ახლა, როდესაც ომები შეჩერდა, საჭიროა პლურალისტური სივრცის შენარჩუნება, რათა არ ჩამოყალიბდეს პოლიციური სახელმწიფო. შეინიშნება პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების შერწყმის ტენდენცია, რამაც, შეიძლება, ახალი კონფლიქტების შექმნის და ძველების არგადაწყვეტის საშიშროება წარმოშვას“.**

მარტენ ვან პარტენის თქმით, დასავლეთში კავკასიურ კონფლიქტებსა და მილიონზე მეტ ლტოლვილს ან ვერ ხედავენ, ან თითქმის ვერ ხედავენ. დაისახა სპეციალური ყოველთვიური ანალიტიკური ბიულეტენის შექმნის გეგმა, რომელიც დასავლეთს ამიერკავკასიის პრობლემებს გააცნობს და სწორ წარმოდგენას შეუქმნის მათზე. მრგვალი მაგიდა კიდევ ორი დღე განაგრძობს მუშაობას.

სოზარ სუბელიანი

# სასამართლო სერიალებს ბოლო არ უჩანს

გუშინ საბურთალოს
ნის სასამართლოს უნდა
ლა აფხაზეთის ავტონ
რესპუბლიკის ტელერადი
ნიის დირექტორის ყოფი
რველი მოადგილის მალხ
ტარაიას სამუშაოზე აღ
თან დაკავშირებული სამ
სარჩელი. საქმის განხილ
იდო მოპასუხის — აფხ
უმაღლესი საბჭოს თავმ
რის თ.ნადარეიშვილის პრ
გამოუცხადებლობის გამო

აღსანიშნავია, რომ ე
სხვადასხვა მიზეზების გამ
მეცხრედ იხილება. საქარ
საპროცესო კოდექსის თან
მოპასუხის არასაპატიო მ
გამოუცხადებლობის შემ
ში, თუ მისი არგამოც
მიზეზს სასამართლო არა
ოდ მიიჩნევს, მას დააჯა
ხოლო განმეორებითი და
სას გამოუცხადებლობის
ვევაში, იგი იძულებით
წარდგენილი.

იფრ

# კონტროლის პალატამ «თელასის» ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა

პირველი გვერდიდან

თბილისის კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ 1993 წლის 1 იანვრიდან 1996 წლის 1 აპრილამდე პერიოდის შემოწმების შედეგად აღმოჩენილია სერიოზული დარღვევები, რაც გამოიხატება საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის არასწორად წარმართვაში.

ტრესტში სათანადოდ არ არის დაცული სალაროს ოპერაციების წარმოების წესები — 6 შემთხვევაში ნაღდი ანგარიშსწორებით აქვს შეძენილი 15 ათას 401 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამშენებლო მასალა იურიდიული პირებისაგან, რისთვისაც მას ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 3 ათას 850 ლარი.

გარდა ამისა, მასალების რეალიზაციიდან სალაროში შემოსული ამონაგები თანხა — 5 ათას 540 ლარი, გახარჯულია ბანკის გვერდის ავლით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა პერიოდული ინვენტარიზაციები ტარდება ვადების უხეში დარღვევით.

ამ და სხვა დარღვევათა გამო, კონტროლის პალატამ არასაკმარისად ჩათვალა სააქციო საზოგადოება „სამშენებლო ტრესტ №2-ის“ საბუღალტრო-სააღრიცხვო საქმიანობა და დაავალა მას განიხილოს ტრესტის მთავარი ბუღალტრის პასუხისმგებლობის საკითხი.

რაც შეეხება მუნიციპალური საწარმო „თელასის“ 1994-1995 წლების საფინანსო- სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგებს, კონტროლის პალატა უფრო პრინციპული აღმოჩნდა.

აღინიშნა, რომ შემოწმების პერიოდში „თელასში“ სრული უკონტროლობა სუფევდა რეალიზებული ელექტროენერგიის ბუღალტრული აღრიცხვა-ასახვის და ანგარიშსწორების კუთხით. 1994-1995 წლებში შესყიდულ ელექტროენერგიაში (3 მილიარდ 566 მილიონი კილოვატსაათი) დანაკარგებმა 344,5 მილიონ კილოვატსაათს, ანუ შესყიდულის 38 პროცენტს მიაღწია.

ამ დანაკარგების წარმოქმნის მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ „თელასის“ ყველა ქვესადგურში არაა დადგმული მრიცხველები.

„თელასის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი გაბრიჭიძემ შემდგომ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მრიცხველების დადგმის პროცესი დაწყებულია და 10 სექტემბრისთვის დამთავრდება, რაზეც კმაყოფილება გამოთქვა თბილისის კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ჯემალ ჭკუასელმა და დასძინა, რომ დათქმულ ვადაში კიდევ ერთხელ გადაამოწმებს აღრიცხვიანობის საკითხს, რადგან გამოცდილება კარნახობს, რომ ასეთი ვადები ხშირად არ სრულდება.

პრეზიდიუმის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა იმ სიძნელეებზეც, რაც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას შეუქმნა თბილისის მერიის მიერ ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ განსაზღვრული წესების დარღვევით მიღებულმა განკარგულებამ ტარიფების დაწესების შესახებ.

კონტროლის პალატის რევიზიის მიერ დადგენილია, რომ 1994 წლის 15 აპრილიდან ამავე წლის 1 მაისამდე საქენერგოდან 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია შესყიდულია 3000 კუპონად, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2700 კუპონისა. ამასთან დაკავშირებით, მომსახურების თვითღირებულება გაძვირდა 16,6 ათასი ლარით და ფინანსურ სანქციებთან ერთად „თელასს“ ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 33,7 ათასი ლარი.

მოხმარებული ელექტროენერგიის გადაუხდელობის გამო, წარმოქმნილი დავალიანებების ორგანიზაციებთან ურთიერთჩათვლების დროს დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად, „თელასის“ შემოსავალი შემცირებულია 296,2 ათასი ლარით, რისთვისაც მას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 594,3 ათასი ლარი.

ამავე სამმართველოში საჭირო ზომები არ არის მიღებული ხანდაზმული, კრედიტორული დავალიანებების ბიუჯეტში დროულად ჩარიცხვის და სალაროს ოპერაციების წარმოების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად. შემოწმებით დადგინდა, რომ დეპარტამენტი „თბილენერგო“, რომელიც შექმნილია თბილისის მუნიციპალიტეტის 1995 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით, ფაქტობრივად, მძიმე ტვირთად აწვა „თელასს“, რაც გაითვალისწინეს დადგენილების მიღების დროს.

არსებული დარღვევების გამო, თბილისის კონტროლის პალატამ მოითხოვა „თელასის“ გენერალური დირექტორის ა. გაბრიჭიძის, მისი მოადგილისა და მთავარი ბუღალტრის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან.

მუნიციპალიტეტის ვიცეპრემიერმა ზ.ბიბილეიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ „თელასის“ ხელმძღვანელობამ დაიწყო სისტემატური მუშაობა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ქვესადგურებში მრიცხველების დადგმის პროცესი მალე დამთავრდება, რაც მის ხელმძღვანელობას რეალიზებული ელექტროენერგიის აღრიცხვა-ასახვის მოწესრიგების საშუალებას მისცემს.

მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი კადრების მისვლა „თელასში“ ამ ეტაპზე დიდად ვერ გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას, რის გამოც მოითხოვა კონტროლის პალატის დადგენილების შეცვლა და საკითხის მუნიციპალიტეტში გადატანა.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრთა ნაწილმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი დადგენილების პროექტს, რაზეც ბატონმა ჯემალ ჭკუასელმა ბრძანა, რომ თუ „თელასის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი განხილვა დაევალება მუნიციპალიტეტს, იგი დაწვრილებით წარუდგენს მას „თელასში“ არსებულ დარღვევათა ნუსხას, რაც არამც და არამც არ იქნება შეღავათი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიმართ.

— შეღავათი ისაა, რომ ბატონ გაბრიჭიძეს და მის თანამშრომლებს არ მოუწევთ სამართალდამცავ ორგანოებთან პასუხისმგებლობა, — ბრძანა ჯემალ ჭკუასელმა.

ამრიგად, მუნიციპალური საწარმო „თელასის“ ხელმძღვანელობის ყოფნა-არყოფნის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. დაველოდოთ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებას.

მაია ტორაძე

# „ტელეარხ რუსთავი 2“-ის გაუქმებით უხეშად დაირღვა კონსტიტუცია“

### აცხადებს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საქმეთა და კანონიერების კომიტე[ტი]

პირველი გვერდიდან

სააგენტო „გამა +“-ის დირექტორ ეროსი კიწმარიშვილის თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოა და მას საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრებენ. „თუ მაუწყებლობის უფლება არ გვქონდა, მაშინ კავშირგაბმულობის სამინისტროს უნდა მოეთხოვა წესდების შეცვლა, რისთვისაც სამი თვეა გამოყოფილი,“ — თქვა მან.

„გამა +“-ის წესდებაში წერია, რომ რაც კანონით არ არის აკრძალული, ის ნებადართულია. მსგავსი მუხლი დასავლეთში ტელემაუწყებლობის უფლებას იძლევა. მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება დემოკრატიულ სტანდარტებს, რაც დასავლელ ინვესტორებში გამოიწვევს შიშს, რომ საქართველოში ქონების დაცვა არ არის გარანტირებული“, — თქვა რობერტ ლამონტმა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოსიაციის წარმომადგენელმა.

„კავშირგაბმულობის სამინისტრო ამბობს, რომ ტენდერს გამოაცხადებს მეთორმეტე არხზე. ეს იქნება მორიგი უკანონობა ინჯიას მხრიდან. თანაც, არხი უკვე სხვაზეა გადაცემული, რაზე აცხადებენ ტენდერს?“ — განაცხადა ეროსი კიწმარიშვილმა.

ადვოკატ ლია მუხაშავრიას თქმით, სასამართლო რამდენიმე პირის წინააღმდეგ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საქართველო დღეს ამისთვის ჯერ მზად არ არის. „სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნამ მხოლოდ ირონიული ღიმილი გამოიწვია“, — თქვა მან.

პრესკონფერენციაზ
ცელუს პარლამენტის სა
ტუციო, იურიდიულ საქ
კანონიერების კომიტე
ციალური განცხადება,
შიც ნათქვამია, რომ „პ
მასობრივი ინფორმაციის
შუალებების შესახებ“ კან
12 მუხლის თანახმად, მ
ინფორმაციის საშუალებ
ანობის სრული შეწყვე
ლია მხოლოდ სასამართ
დან გამომდინარე, კავშ
ლობის სამინისტრო,
„არ იქნებოდა უფლებ
შეეწყვიტა ტელერადიო
ლობა, რაც მხოლოდ სა
ლოს პრეროგატივაა“.
ჰქონოდა უფლება, ფაქტ
კავშირგაბმულობის სამ
იგი არ განუხორციელე
გან ამ გადაწყვეტილებ
ბად არ შეკრებილა სა
კომისია, როგორც ამას
სი დებულება მოითხოვს

„ზემოთქმულიდან გამ
ნარე, — ნათქვამია გა
ში, — შეიძლება დ
რომ რიგი თანამდებობ
მიერ ტელეარხ „რუსთ
მაუწყებლობა უკანო
შეწყვეტილი, რითაც უ
ირღვა კონსტიტუციის 2
ლით აღიარებული და
რებული უფლებები და
ლებები. პრესისა და
ინფორმაციის სხვა საშ
შესახებ კანონის 26-
განსაზღვრულია, რომ
ნამდებობის პირებს
შეიძლება აღიძრას სის
რთლის საქმე (რომ
ვთქვათ დისციპლინარ
ხისმგებლობაზე)“.

ბესიკ კურ

# მოსალოდნელია ლიბერალურ გადასახადო პოლიტიკაზე გადასვლა

...ნ პრეზიდენტის პრეს-... ხელმძღვანელმა ვა-... აბაშიძემ ბრიფინგი გა-... ჟურნალისტებთან შეხვე-... მონაწილეობდნენ ფინა-... მინისტრი დავით იაკობიძე ... პრეზიდენტის თანაშემწე ... ური რეფორმების სა-... თეიმურაზ ბასილია. ... აბაშიძემ ისაუბრა იმ ... შესახებ, რომელ-... პრეზიდენტმა შეაფასა კა-... შექმნილი ვითარება და ... ჩიბიროვს და ვლადი-... ინბას მიმართა შეხვე-... რაზე.

...მსახურის უფროსმა ... ხანს გავრცელე-... ინფორმაცია, თითქოს სა-... არაა მიღწეული კო-... კრილობაზე, რო-... ლანბეკოვის ინიცია-... მართება.

...რამდენიმე დღის წინ ედუ-... შევარდნაძე შეხვდა ევრო-... შროებისა და თანამშ-... ორგანიზაციის მისი-... ხელმძღვანელს დიტერ ბო-... შეხვედრაზე იმსჯელეს ... დიალოგის შესაძ-... მკაცრად შეაფასეს ... რესპუბლიკაში გამოქვეყნებუ-... პუბლიკაციები, რომლე-... ოსური კონფლიქ-ტის გამწვავებას მიზანმიმართულად უწყობს ხელს.

გუშინწინ, 15 აგვისტოს გაეროს გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვის მისიის წარგზავნის წინადადებით მიმართა. მისიამ უნდა უზრუნველყოს დაბრუნებული მოსახლეობის უფლებების დაცვა და ამასთანავე, მათი უსაფრთხოების გარანტი უნდა გახდეს.

ვახტანგ აბაშიძემ ისაუბრა რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდლის გენერალ ანდრეი ნიკოლაევის ვიზიტზეც. პრეზიდენტის შეფასებით, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ურთიერთობებში სიძნელეებს ქმნიდა, მიღწეულია შეთანხმება. აბაშიძის თქმით, მაინც რჩება რამდენიმე საკითხი, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს.

ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ ჟურნალისტებს გააცნო 1997 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები, ისაუბრა ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებებზე. სადღეისოდ მომავალი წლის ბიუჯეტი პარლამენტის კომიტეტებში განიხილება. საბოლოო შეჯერებულ ვარიანტს კი პრეზიდენტი წარადგენს პარლამენტში დასამტკიცებლად. ალსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებში ასახულია არა მხოლოდ რაოდენობრივი პარამეტრები, არამედ შემოსავლები, ხარჯები, გრანტები, კრედიტის სახით გაწეული დახმარებები საკუთარი შემოსავლების ხარჯზე; მსოფლიო ბანკის კრედიტები ცალკეული სექტორების განვითარებას მოხმარდება.

იაკობიძის თქმით, მოსაწესრიგებელია საგადასახადო სისტემა, ვინაიდან, საგადასახადო პოლიტიკა ხშირად რეპრესიულია იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ. მოუწესრიგებელია საბუღალტრო აღრიცხვა, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

საბაჟო ტერმინალების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ბიუჯეტის შესახებ კანონში შევიდა ცვლილება ტრანზიტულ პროდუქციაზე ახალი გადასახადების დაწესების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდა, რომ ტრანზიტული პროდუქცია არ გავიდა ქვეყნის ტერიტორიიდან, მაშინ პროდუქციის მეპატრონე ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები. როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მთავრობის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს შესაფუთ მასალებზე, ნახევარფაბრიკატებზე დამატებული ღირებულების გადასახადის გაუქმებას. ამიტომ, ეს საკითხი ოთხშაბათს გამართული მთავრობის სხდომის დღის წესრიგიდან მოიხსნა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, ხელისუფლების წარმომადგენლებს (1000 კაცი) უნდა მომატებოდა ხელფასი. ხელფასები პარლამენტში მხოლოდ 450 კაცს გაეზარდა. სახელისუფლებო სტრუქტურებში ამჟამადაც მიმდინარეობს შემცირებები. იაკობიძის აზრით, გამოთავისუფლებული თანხები აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომუშავეთა ხელფასების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. „როცა ხელფასი 220 ლარი მექნება, აღარავინ მკითხავს, ეს პიჯაკი საიდან გაცვიაო", — ბრძანა მეტი სიცხადისთვის ბატონმა დავითმა. მანვე აღნიშნა, რომ 100 პროცენტით გაიზრდება განათლების სისტემაში მომუშავეთა ხელფასებიც.

**დინარა მაჭავარიანი**

# „მანა-96" — ...ბადისი გრძელდება

...ვრდა საერთაშორისო ფესტივალი „მანა-... პირველი, მოსამზადებელი ეტაპი. მეორე ეტაპი ... კონკურსო ხასიათისაა და ჟიურის მიერ ... ნომინაციიდან სამ-სამი ნომინანტის შე-... და საქართველოს ტელევიზიის პირველი ... მის მიწოდებას გულისხმობს.

...ფესტივალი „მანა-96"-ის გენერალური დი-... თამაზ კაპანაძის განცხადებით, საქართვე-... რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და ისრაე-... სხვა ტელეკომპანიებისა და ტელეარხები-... ორგანიზაციო კომიტეტში უამრავი შეკვეთა ... კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამო-... მა ცნობილმა რუსმა ტელეჟურნალისტებმა, ... არიან: ლეონიდ პარფიონოვი (НТВ), ... რაპოვა (ОРТ), ტატიანა მიტკოვა (НТВ), ... ხვანიძე (РТР), ქსენია სტრიჟი (РТР), ... ერნსტი (ОРТ), არტიომ ტროიცკი ... ლდის შელში (ОРТ) და სხვები. ყველა ამ ... წინასწარი შეთანხმებით, გადაწყვეტილი ... ემბერს თბილისში გამართულ ... დაჯი-... დასკვნით ცერემონიალს ... კაპანაძემ ტელეფესტივალის მიმდინარეო-... ბისას განსაკუთრებით ... ხაზი ... „ტელესახლის" გენერალური დირექტორის ... რატიშვილის მიერ გაწეულ დახმარებას, ... საორგანიზაციო კომიტეტს უანგაროდ ... ყველა აუცილებელი აპარატურა. გაზეთ ...ს"-ს კი დაგეგმილი აქვს ტელეფესტივა-... მიძღვნილი რამდენიმე სპეციალური ნომრის ...

...შეიძლება გვერდი ავუაროთ სპონსორების ... ყურადღებასა და დახმარებას, რის გარეშეც ... ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა", — ... თამაზ კაპანაძემ. მათ სიას სათავეში დგას ... „BAT"-ი. მის გარდა, ტელეფესტივალს ... ბენ ადგილობრივი კომპანიებიც — ფირმა ... ავიაკომპანია „ეირ ჯორჯია", კონცენტრა-... ქარხანა, საწარმო „ყაზბეგი", კორპორაცია ... საზღვაო კომპანია „ალდაგი" და სხვები. ... პარალელურად მზადდება მრავალფეროვანი და ... საკონცერტო პროგრამა. მოლაპარაკებები ... ბორის გრებენშიკოვთან, ალექსანდრე ...თან, სოსო პაველიაშვილთან, ნინო ანანია-... შოუ-პროგრამა „თოჯინების" კოლექტივთან ... ცნობილ მსახიობებთან. ვარსკვლავების ... შემადგენლობა, რომლებიც 8 ნოემბერს ... თბილისელი მაყურებლის წინაშე, ჯერ-... უცნობია. იგი ტელეფესტივალის გამარჯ-... დაჯილდოების საზეიმო ცერემონიამდე ... დარჩება.

**BS-PRESS**

# ...აციაზე შემოდგომაზე ...მბენ

...ანაბრების ინდექსაციის საკითხს საქართველოს ... სექტემბერში განიხილავს — აცხადებს საქართველოს ... მინისტრი დავით იაკობიძე. მისი თქმით, შემუშავებულია ... ინდექსაციის რამდენიმე სქემა. მთავარი ფაქტორია — მყარ ... შეფარდებაში რა თანხის ეკვივალენტური იყო ანაბარი ... ბანკში მისი შეტანის დღისთვის.

**BGI**

# საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესკონფერენცია

საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიერ მერაბ კოსტავას ეზოში გამართულ პრესკონფერენციაზე კავშირის პოლიტიკური ბიუროს წევრებმა ანა ჭავჭავაძემ, ავთანდილ დავითაიამ და ლია ბერუაშვილმა ჟურნალისტებს წარუდგინეს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სახელზე მოსკოვიდან გამოგზავნილი ფაქსები.

პირველ მათგანში ღრმა შეშფოთებაა გამოთქმული იმის გამო, რომ აუტანელ პირობებში მყოფი პოლიტპატიმრების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. წერილში მოხსენიებულია 27 წლის ხვიჩა ჯოხაძე, რომელსაც ტუბერკულოზის უკანასკნელი სტადია აქვს და დამოუკიდებლად სუნთქვა აღარ შეუძლია. ამის მიუხედავად, იგი, ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას მოკლებული, ქსნის ციხეში იმყოფებოდა. ფაქსის ავტორები მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებასა და მკურნალობას მოითხოვენ. ფაქსი გამოგზავნილია 10 აგვისტოს. ამიტომ მისი ავტორები ნუგზარ მოლოდინაშვილის მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც მოითხოვენ (შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც მოლოდინაშვილთან შეუშვეს პარლამენტის წევრი ელენე თევდორაძე, ჟურნალისტი ნინო რატიშვილი და „IGFM"-ის წევრი ლალი ლოლაძე, მსჯავრდებულმა შიმშილი შეწყვიტა).

წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ სიკვდილის ზღვარზე არიან: დავით კაჭარავა, ზურაბ წირღვავა, ნემო ბურჭულაძე, ვალტერ შურღაია, ზაზა ნიკლაური, ზურაბ ბარძიმაშვილი, ბადრი ზარანდია. 29 წლის ზარანდია, — ვკითხულობთ ფაქსში, — ფეხის მოკვეთის შემდეგ სეფსისის განვითარების მიუხედავად, სიკვდილმისჯილთა საკანში იმყოფება, სადაც წელიწადნახევარია იმყოფებიან დოკვაძე და გელბახიანი.

წერილში მოხსენიებულია, აგრეთვე, პოლიტემიგრანტი ელგუჯა მესხია, რომელიც რუსეთის კანონმდებლობის უხეში დარღვევით რუსეთიდან ზუგდიდში გადაუყვანიათ.

ფაქსის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ უმძიმეს პირობებზე, რომლებშიც აღმოჩნდნენ ვიქტორ დომუხოვსკის ჯგუფისა და „ყვარლის ჯგუფის" წევრები და სხვები.

ფაქსში ნათქვამია, რომ ქვეყნის ეკონომიკური გაჭირვება არ უნდა იყოს ხალხის დალუპვის გამამართლებელი ფაქტორი. ამ მიმართვის მიზანია აღნიშნული ხალხის სიცოცხლის გადარჩენა, რადგან მათი მდგომარეობა რუსეთში და სხვა ქვეყნებში მუდმივ ინტერესს იწვევს. ასე მთავრდება ფაქსი, რომელსაც ხელს აწერენ:

ადამიანის უფლებათა დაცვის მოსკოვის ცენტრის დირექტორი ა.სმირნოვი;

„ლენკომის" თეატრის მთ.რეჟისორი მ.ზახაროვი;

პოეტი ბულატ ოკუჯავა;

რუსეთის „პენ" ცენტრის გენერალური დირექტორი ა.ტკაჩენკო;

რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტის თავმჯდომარე მ.კირბასოვა;

რუსეთის ანტიფაშისტური მოძრაობის მდივანი ე.ლებედევა;

სახელმწიფო დუმის დეპუტატები: პოპოვი, ბორშოვი, რიბაკოვი, იუშენკოვი, ვორობიოვი, შეინისი, მიტროხინი, იანკოვსკი, ივანენკო, ავერჩევი, სტაროვოიტოვა.

იგივე დეპუტატები აწერენ ხელს მეორე ფაქსსაც, რომელიც ტელეარხი „რუსთავი-2"-ს დახურვას ეხება და საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზეა გამოგზავნილი.

წერილში პროტესტია გამოთქმული „რუსთავი-2"-ის, როგორც თავისუფალი ტელეარხის დახურვის გამო. ავტორები ამის მიზეზად პოლიტიკურ მოტივს ასახელებენ. კერძოდ, რუსთავის ტელევიზიის მიერ პოლიტპატიმრის ნუგზარ მოლოდინაშვილის შიმშილობის შესახებ სიუჟეტის ჩვენებას, რომელსაც, თითქოს, არხის დახურვა მოჰყვა.

წერილის ავტორები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს თავისუფალი პრესის ინტერესების შელახვის ფაქტებს და ყოველგვარი პირობები შეუქმნას თავისუფალი პრესის წარმომადგენლებს ინფორმაციის მოპოვებისთვის.

პრესკონფერენციაზე ჰელსინკის კავშირმა ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ მონაწილეობას არ მიიღებს აჭარის არჩევნებში. მიზეზი ჩამოყალიბებულია სამ პუნქტად: 1. უკანონო რეჟიმის პირობებში ჩატარებული ნებისმიერი არჩევნები უკანონოა; 2. აჭარის უზენაეს საბჭოს არ მიუცია 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის გადატრიალებისთვის პოლიტიკური შეფასება. 3. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება აჭარაზე და აჭარის უზენაესი საბჭო ემორჩილება საქართველოს უკანონო ხელისუფლებას.

**ზაზა ფარუაშვილი**

ჟურნალისტის სვეტი

თეიმურაზ ქორიძე



# რაც არ უნდა აქაგონ, ვამბობ, ღვინო კარგია

წლეულს კახეთში, ვაზისა და ღვინის ქვეყანაში, ნესვისა და საზამთროს უზარმაზარი მოსავალი მიიღესნესვი, საზამთრო და სხვა ბაღჩეული კულტურები კახეთის მადლიან მიწაზე ყოველთვის მოდიოდა. ამაში არც გასაკვირია რამე და არც დიდად გასახარელი. დიდად სამწუხარო ის არის, რომ კახეთში „საზამთროს ბუმი" მევენახეობის გაჩანაგების ხარჯზე ხდება.

გურჯაანი ოდესღაც მევენახეობის ყველაზე მსხვილ რაიონად მიიჩნეოდა. ის წლებიც გვახსოვს, როცა აქაურ მევენახეებს 100 000 (ასი ათასი) ტონაზე მეტი ყურძენი დაუკრეფიათ. ყურძნის შესასყიდი ფასები არც მაშინ ყოფილა მაინცდამაინც მაღალი, მაგრამ მუშაკაცი ბედს არ უჩიოდა, ოჯახსაც არჩენდა და სტუმარსაც ღირსეულად ხვდებოდა.'

ქართული ვაზის ოქროს ხანა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ აქ არის მიწა და აქ არის (ჯერჯერობით არის) მისი მოსიყვარულე ხალხი. მონდომებისა და გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მევენახეობის აღორძინება შეუძლებელი სულაც არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვაჟა ბერულაშვილი. თუმცა, ბატონ ბერულაშვილთან საუბრისას მომეჩვენა, რომ იგი ცდილობდა დელიკატურად აევლო გვერდი მევენახეობის უმძიმესი პრობლემებისთვის. ვისაუბრეთ მარცვლეულზე, სახნავ-სათესი ნაკვეთების განაწილებაზე, ენერგეტიკულ კრიზისზე, უცხოურ კრედიტებზე და სხვა ძალიან მწვავე პრობლემებზე. მევენახეობაზე საუბარი კი ბატონ ვაჟა ბერულაშვილს ისე უჭირდა, როგორც დალუპული შვილის გახსენება. უნდა გავუგოთ მასაც და სხვებსაც. ყველაზე მეტად ვაზზე მაინც კახელ კაცს სტკივა გული.

ნგრევის დაწყებამდე გურჯაანის რაიონში ვაზი 12000 ჰექტარზე იყო გაშენებული (კერძო და სახელმწიფო სექტორებში). მაშინ ვენახებზე სახელმწიფო ზრუნავდა. მეურნეობებს (და კერძო პირებსაც) იგი ამარაგებდა ტრაქტორებით, საწვავით, შხამ-ქიმიკატებით, სარწყავი წყლით, ავტომანქანებითა და ა.შ. მართალია, ყურძენი იაფი ღირდა, სამაგიეროდ, მისი მოვლა-მოყვანისთვის საჭირო კომპონენტებს სახელმწიფო, ფაქტობრივად, უფასოდ იძლეოდა.

ახლა სხვა დროა. საზოგადოებრივი მეურნეობები განადგურდა, მიწები ზოგი დაიტაცეს, ზოგი კანონიერად განაწილდა, დანარჩენი უახლოეს მომავალში იჯარით უნდა გაიცეს. დღეისთვის სახელმწიფოს (ანუ რაიონის გამგეობის) ხელში მხოლოდ 1400 ჰექტარი ვენახია დარჩენილი. სახელმწიფომ დიდი ხანია ხელი აიღო მევენახეობაზე — სახსრები არ გააჩნია. ბატონი ბერულაშვილის მეტისმეტად თავმდაბლური გაანგარიშებით, თუ ერთ ჰექტარზე საშუალოდ ხუთ ტონა ყურძენს მივიღებთ, ერთი კილოგრამი ყურძნის თვითღირებულება 49 თეთრს შეადგენს (შეგახსენებთ, რომ ყურძნის შესასყიდ ფასად სახელმწიფო 17-20 თეთრს ვარაუდობს). ვენახს კი მტერი ბევრზე ბევრი ჰყავს — ჭრაქი და ნაცარი, სეტყვა და გვალვა, ჩანდაბა და დოზანა...

წლეულს ერთი კილოგრამი კირი 50 თეთრი ღირდა, შაბიამანი — 2 ლარი, ზოგიერთი აუცილებელი ქიმიკატის ღირებულება 25 ლარამდეც ავიდა. სარწყავი სისტემები დიდი ხანია მოშლილი და უმოქმედოა. არ არის ტრანსპორტი. არ არის ვენახების სარემონტო საშუალებები...

ბედნიერია, ვისაც არ უნახავს გაუსაძლის სიცხეში როგორი ტანჯვით, ნელ-ნელა კვდება ვაზი, მშველელი კი არსაიდან ჩანს. ვისაც არ უნახავს გვალვისგან გადამწვარი, აღმურადენილი ვენახი და სიმინდის ყანები, ხელჩაქნეული და იმედდაკარგული ადამიანები, მას შეუძლია გრილ კაბინეტში გულგრილად იანგარიშოს, კიდევ რამდენ ხანს გაძლებს ქართველი გლეხი საოცრებათა მოლოდინში.

იმედები არისო, ბრძანა ბატონმა ვაჟა ბერულაშვილმა. მართალია, ჯერჯერობით სახელმწიფო ვერაფერს გვეხმარება, მაგრამ ტასისის პროგრამით, ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, წლიური 24 პროცენტიანი გადასახადით, მთელ რესპუბლიკაზე 12 მილიონი ლარის კრედიტია გათვალისწინებული. ბატონი ბერულაშვილი ძალიან დელიკატური კაცია და ამ თორმეტმილიონიანი და უცნაურად მაღალპროცენტიანი კრედიტის თაობაზე კომენტარისგან თავს იკავებს. ეტყობა, არ უნდა, უნებლიეთ ვინმე გაანაწყენოს.

თორმეტი მილიონი ლარი, ტასისი რომ კრედიტად გვთავაზობს, მხოლოდ ჩუმლაყის კოლმეურნეობას თუ ეყოფა სანახევროდ, ისიც პირდაპირი დანიშნულებით — ერთწლიანი კულტურების (პურეულის) მოსაყვანად. მევენახეობაზე ჩვენი ძვირფასი საზღვარგარეთელი ჰკუის დამრიგებლები, ჯერჯერობით, მხოლოდ იმას გვეუბნებიან, რომ მსოფლიო ბაზარზე ღვინო და სხვა ალკოჰოლიანი სასმელები ისედაც ბევრია. ვთქვათ პირდაპირ: ჩვენი უცხოელი პარტნიორები არ არიან დაინტერესებული საქართველოში მევენახეობის აღორძინებით. ჩვენ თვითონ, ამ კეთილშობილური, მაგრამ ძვირადღირებული საქმის მოგვარებას ვერ ვახერხებთ — არ შეგვიძლია, ან არ გვსურს. შედეგი სახეზეა — ვენახების ორ მესამედზე მეტი უკვე განადგურებულია. დანარჩენი უახლოეს ორ-სამ წელიწადში განადგურდება. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩება, რომ შესაბამისად ბაღჩეულის კიდევ უფრო დიდ მოსავალს მივიღებთ. ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება საჭირო არ არის, მას, ალბათ, ამის საფუძვლიანი არგუმენტებიც აქვს.

ისე, ალბათ, აჯობებს ჩვენ თვითონ ვიანგარიშოთ, რა გვჭირდება და რა არ გვჭირდება. ომარ ხაიამისა არ იყოს, ზოგჯერ იმასაც აქებენ, რაც არაფრად არ ვარგა და იმას არ აქებენ, რაც ნამდვილად ვარგია.



# სიტყვა-ყველას

## კიდევ ერთხელ აფეთქდა სიძულვილი

„ლანა ღოღობერიძე — მოქალაქე და რეჟისორი" — ამ სათაურით რამდენიმე ხნის წინ გაზეთ „მერიდიანის" 41-ე ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელმაც საზოგადოებაში აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. თუმცა, „მერიდიანის" რედაქციამ უარი განაცხადა ამ და სხვა საპასუხო პუბლიკაციების გამოქვეყნებაზე.

მოკიდან გამოსვლის შემდეგ, რაც ამ „თხზულების" წაკითხვისას გეუფლება, არის განცდა, რომ სიძულვილი აფეთქდა. გეუფლება მძიმე და შავი ნაღველი, რადგან საზოგადოების ნაწილი ხარ და მთელი სიცხადით ხედავ მის ღია სისხლიან ჭრილობას.

განა საქართველოს თავისი შვილების წუმპეში გორაობა სჭირდება? როგორ დავიძინოთ ღამე, ან როგორ გადავყლაპოთ ლუკმა, როდესაც ვიცით, რომ შესაძლებელია ჩვენს თვალწინ თამამად, შეიძლება ითქვას, ლაღად, ადამიანმა, ჩვენი თანამოქალაქე რომ ჰქვია, ლანძღოს, თათხოს, წყევლა-კრულვა დაატეხოს თავს მის გვერდით მცხოვრებ თანამოძმეებს, ქალს, ხანდაზმულს, დედას, ბებიას, მოქალაქეს, რეჟისორს.

მაინც ყველაზე გამაოგნებელი ეს წყევლა-კრულვაა:

„ბოლო (იქნებ, სულაც უკანასკნელი), ქმნილება..."

„შემოქმედებითი კლიმაქსის ჟამს..."

„სანეკროლოგო სტილით თუ დავწერთ..."

„სანამ რეჟისორი ცოცხალია..."

„იცეკვებს უკანასკნელ ვალსს პენორაზე..."

„მისი მემკვიდრეები თუ მოესწრებიან..."

„თუმცა, რომელ მემკვიდრეებზეა ლაპარაკი..."

ერთი ადამიანი შეიძლება მოაქციო, აუხსნა, ან სულაც, ყურადღების ღირსი არ გახადო, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ეს არის დახტა ადამიანებისა (ე.ი. ჩვენი საზოგადოების ნაწილი), რომლებსაც — რა სურთ? როგორ მინდა, ღრმად ჩავწვდე, გავაანალიზო, დასკვნა გამოვიტანო — რა? რომ ჩვენს შორის არ იყვნენ ისეთები, ვინც უცხო ენაზე ლაპარაკობს, თანაც, რამდენიმეზე??? რომ როდესაც ჩვენი კინემატოგრაფი სულს ლაფავს, ჩვენმა (დიახ, ჩვენმა და არა ვილაცისამ) ფილმებმა არ მოიპოვონ საერთაშორისო აღიარება, რომ ადამიანებმა არ იმოღვაწეონ საზოგადოებრივ ასპარეზზე, არ თარგმნონ, არ გამოსცენ წიგნები და ა.შ. და ა.შ... რა სურვილია ეს, ან ვის წინააღმდეგ ბრძოლის, რისი დამხობის, ჩაწიხვლის, მოსპობის სურვილი ამოძრავებს... ვის? არ ვიცი. რა თვალსაზრისი უნდა გააჩნდეს ბეჭდვის ორგანოს, რომ ფაანდაზად გაუშალოს თავისი სივრცე შურს, ბოღმას, მკვლელობის სურვილს? ვითომ არ გვყოფ ამდენი მსხვერპლი?

არც ის არის ერთი, ვინც წერს და არც ის, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ეს ნაწერი.

ვთქვათ, არ მოგწონს ფილმი. მიგაჩნია, რომ ცუდია და უცებ სადღაც პრიზი მიიღო — განა ეს შეიძლება გახდეს ასეთი გამძვინვარების საბაბი? ასეთი ვნებათაღელვის? მნიშვნელოვანია ის, რომ ქართულმა ფილმმა მიიღო პრიზი, მიუხედავად იმისა, რომ შენ არ მოგწონს, კიდევ ერთხელ სადღაც გაიმარჯვა ქართულმა კულტურამ. განა ეს ვინმეს უბედურების მიზეზი შეიძლება გახდეს?

„ჩვეულებრივად უსახური..." „უდღეური შვილი..." „უცხვირპირო მიღება..." „აცხობს ამ ტიპის ქმნილებებს..." „შეაყაროს თვალში ნაცარი..." „აჩხრიალოს ბამბა..." „წყალ-წყალა თარგმანები..." „ქუჩის მოპიტინგე..." „გამოცანცვლა..." „ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ტარტარი..." „დემაგოგიური ენაგატლეკილობა..." „ქუდის ქიცინი..." „ფეხის გულების მოფხანის კულტურა..." „ცბიერი მანდილოსანი..." რა დონეზე უნდა იდგეს ამის დამწერი, რომ ეს ეკადრებოდეს მის ღირსებას.

ის, ვისშიც სიძულვილი იმარჯვებს სიყვარულზე — განწირულია დასაღუპავად. ჯოჯოხეთი არის იქ, სადაც არ არის სიყვარული.

რაც არ უნდა სჭირდეს ამ ზღვარგადასული სიძულვილის ობიექტს, ერთი რამ ვქვს გარეშეა. მას ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ თვითონ არავის მტერი არ არის.

**ნანა ხატისკაცი.**

## სახელმწიფო რეესტრში შეტანილია კიდევ 6 ტიპის სალარო აპარატი

რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურში საკონტროლო-სალარო აპარატების რეესტრის წარმოების კომისიის სხდომამ განიხილა სხვადასხვა ფირმების მიერ წარმოდგენილი საკონტროლო სალარო აპარატების 6 მოდელი და შეიტანა სახელმწიფო რეესტრში. ესენია:

„თბილისის აღორძინების ფონდის" მიერ წარმოდგენილი იაპონური წარმოშობის „კასიოს" ფირმის 2 მოდელი „კასიო 110" და „კასიო 150".

სააქციო საზოგადოება „ჯი-ბი-ეხი"-ს მიერ წარმოდგენილი ინგლისური სალარო აპარატი „ბლიპ-200" და იაპონური წარმოშობის „შარფის" ფირმის სალარო აპარატის 2 მოდელი: „შარფი 100" და „შარფი 130".

„საქართველოს პენტბოლის ეროვნული ასოციაციის" მიერ წარმოდგენილი ბულგარული აპარატი „ზიტ-ელიტ-82".

სულ სახელმწიფო რეესტრში გატარებულია 13 ტიპის სალარო აპარატი, აქედან გაყიდვაში 11 მოდელია. მომხმარებელს შევახსენებთ, რომ შესაძლებელია სავაჭრო ქსელში დღეისთვის არსებული ძველი „ოკა" ტიპის ელექტრო-მექანიკური სალარო აპარატების დროებით 1996 წლის ბოლომდე გამოყენებაც.

საკონტროლო-სალარო აპარატების დადგმასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც ბროშურის სახით გამოსცა სახელმწიფო საგადასახადო სამსახურმა, მეურნე სუბიექტებს საშუალება აქვთ, შეიძინონ საგადასახადო სამსახურებში და იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით განსაზღვრულია სალარო აპარატების დადგმის ვადები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში სალარო აპარატების დადგმა განხორციელდება 1996 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო სხვა ქალაქებსა და რაიონებში 1996 წლის ბოლომდე.

და ბოლოს შევახსენებთ, რომ 1996 წლის 1 სექტემბრიდან საგადასახადო სამსახურის მიერ დაიწყება შემოწმებები და გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

**საგადასახადო სამსახურის პრესცენტრი**

# რედაქციის ფოსტა

## პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრ[ო] ურთიერთბრალდებათა ქარცეცხლში

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ბრალი დასდო შინაგან საქმეთა ორგანოებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ქვეყანაში გახშირდა პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევები, უკანონო ჩხრეკები, ეჭვმიტანილთა ცემა და ა.შ. ამის საპასუხოდ, **შინაგან საქმეთა სამინისტრომაც** გააკეთა განცხადება:

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული რესპუბლიკის პროკურატურის განცხადება არის მოსახლეობის თვალში პოლიციის დისკრედიტაციის უხეში მცდელობა, შეურაცხყოფს შინაგან საქმეთა ორგანოების ათეულ ათასობით მუშაკს, რომლებმაც ძალა და ენერგია, საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურეს, რათა ჩვენი ქვეყანა და მოსახლეობა ეხსნათ კრიმინალური ქაოსისა და განუკითხაობისგან.**

**ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ პოლიციის რიგებში არ არიან ულირსი თანამშრომლები, რომლებიც სჩადიან სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. ასეთ პირებს სასტიკად ებრძვის თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც სამართალდამცავ ორგანოთა შორის პირველმა დაიწყო თვითგანწმენდის პროცესი, ულირსი თანამშრომლების გამოვლენა და კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა.**

**ყველა დანაშაული, რომელიც ჩადენილია პოლიციის თანამშრომლის მიერ, გამოავლინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და რეაგირებისთვის გადასცა პროკურატურას. თვით პროკურატურას არ გამოუმჟღავნებია პოლიციელის მიერ ჩადენილი არც ერთი დანაშაული.**

**მეტიც, პროკურატურა ხშირად, ჩვენთვის გაუგებარ, საეჭვო ლოიალობას იჩენს იმ პოლიციელების მიმართ, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულში ამხილა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და შემდეგი რეაგირებისთვის პროკურატურას გადასცა. მარტო წლეულს, სამინისტროდან გადაგზავნილი საქმეების მხოლოდ 20 პროცენტზეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე.**

**გაუგებარია, რატომ ცდილობს პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი დანაშაულობანი თავის თავზე მიიწეროს და საზოგადოებრიობას მოაჩვენოს, თითქოს მხოლოდ იგი იბრძვის ადამიანის უფლებების დასაცავად, სამართალდამცავი ორგანოების ულირსი თანამშრომლების მხილებისა და დასჯისთვის.**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც მკაცრ რეაგირებას მოახდენს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების თითოეულ ფაქტზე, გაგრძელდება სისტემაში დაწყებული თვითგანწმენდის პროცესი.**

**ურიგო არ იქნება, თუ ამგვარი პროცესი დაიწყება თვით პროკურატურაშიც. საინფორმაციო საშუალებებით პოლიციისადმი დაუსაბუთებელი ბრალდებების წაყენების ნაცვლად, პროკურატურაში შეუდგებიან თავიანთი ულირსი თანამშრომლების გამოვლენას და დასჯას, რომელთა რიცხვი არც ისე მცირეა"**, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ორ ძალოვან სტრუქტურას შორის უთანხმოების მიზეზების უკეთ წარმოჩენისთვის ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა პროკურატურის პრესცენტრის უფროსს თემურ კვირკველიას, რომელმაც განაცხადა:

„შსს ჩვენ ბრალს გვდებს უმოქმედობაში, თითქოსდა დამნაშავე პოლიციელების გამოვლენით მხოლოდ თვითონაა დაკავებული. ეს რომ ასე არ არის და ადგილი აქვს მიზანმიმართულ დეზინფორმაციას, პოლიციელ კავთელაშვილისა და მასთან საქმეში გამავალი პირების საქმეც ადასტურებს, რომელთა წინააღმდეგ სწორედ პროკურატურამ აღძრა საქმე. კავთელაშვილსა და მის თანამზრახველებს გამოძიების პერიოდში თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ეს არ მოეწონათ შსს-ში დაინტერესებულ პირებს და მათ მთელი პროკურატურა აანრიალეს ხსენებული პირების თავდებში გათავისუფლებისთვის. იქნებ თქვენ, ჟურნალისტებმა, გაარკვიოთ, რა მიზანს ემსახურებოდა მათი ამგვარი მოქმედება და ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი?

შინაგან საქმეთა სამინისტრო ბრალს გვდებს დამნაშავე ელემენტებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში, თითქოსდა მათ მიერ გადმოცემულ საქმეთა მხოლოდ 20 პროცენტზე მოვახდინეთ რეაგირება, ხოლო 80 პროცენტი კანონის დარღვევით გავუშვით სახლებში. ამასთან დაკავშირებით მინდა მივმართო შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაასახელოს კონკრეტული ფაქტები ჩვენს მიერ უკანონოდ გათავისუფლებული პირის შესახებ და დაგვიმტკიცონ, რომ ეს პიროვნება ნამდვილად დამნაშავე იყო.

პროკურატურაში მათ მიერ მოკვლეული საქმის გადმოგზავნა არ ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის პირი ნამდვილად ბოროტმოქმედია. შეიძლება გამომძიებელს ჰქონდეს ამის რწმენა, მაგრამ თუკი არ იქნება სათანადო მტკიცებულებები, მარტო რწმენის საფუძველზე პიროვნებას ვერ გაასამართლებ. ამიტომ ისეთ საქმეებზე, რომლებზედაც პროკურატურა მიიჩნევს, რომ სათანადო მტკიცებულებები არ არის, საქმე წყდება. საქმე სასამართლოშიც რომ იქნეს წარმართული, ასეთ შემთხვევაში ეჭვმიტანილი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან იქნება გათავისუფლებული.

იმას, რაც დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხდება, შეიძლება ცემა-ტყეპის დაავადება ვუწოდოთ. მე არ ვამტკიცებ, რომ ყველას მიმართ აქვს ადგილი ფიზიკურ შეურაცხყოფას, მაგრამ ასეთი ფაქტები ბევრი რომ არის, ამის შესახებ შეიძლება საზოგადოებამ ჩემზე უკეთესად იცოდეს. მსგავსი დაავადების აღმოფხვრას შსს-ს მინისტრის მკვეთრად გამოხატული ნეგატიური პოზიცია სჭირდება და არა დამნაშავე პოლიციელებზე თავზე ხელის დაფარება. ჩემთვის ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ დაიბარა ჟურნალისტები, რომ[...] ლი ფაქტის შესახებ [...] გადოებას და ტყავი [...] როგორ გაბედეთ ამის [...] ეფიქრობ, ასე საქმე [...]

ძნელია, ერთ წელ[...] რხო 70 ათასი პოლი[...] ლვა, მაგრამ მსგავსი [...] სწრაფვა დღესვე უნდა [...] არ შეიძლება პიროვნ[...] გენელ საშიშროებად [...] ნაგან საქმეთა სამინის[...] ძიებო ორგანოების ს[...] მე სრული პასუხისმგ[...] დებ, რომ შინაგან საქ[...] როს შენობის მე-6 სა[...] ნელებები ხდება! ყოვე[...] მელიც იქიდან გამოდი[...] ამ სართულზე სპეცია[...] აპყავთ, რაზედაც მოგ[...] დებენ ნაცემ-ნაბეგვი [...] ს წარმომადგენლებს [...] ასეთ ფაქტსაც: მათ, [...] ვიმეორებ, მოწმე და [...] ლი ან ეჭვმიტანილი, [...] ვილაცას მისი ჩვენება [...] სასტიკად სცემეს, [...] ყიფშიძე საავადმყო[...] დაინტერესებულმა [...] იგი ისე დააშინეს, რ[...] ბული ყიფშიძე საავად[...] იპარა. ამით არ შ[...] მიმართ რეპრესიები. [...] სამსახურიდან გაათავ[...] ვე ჩვენების გამო(!?) [...] მოქმედების მეთოდი.

საზოგადოებას [...] ვთავაზობ: გამოკითხ[...] დივისტი (რომლებიც [...] მათი განვილილი ცხო[...] და დარწმუნდებით, რ[...] სისხლის სამართლის [...] სული აქვს, როცის [...] საქმე პროკურატურას, [...] რომ პროკურატურის [...] კური ზემოქმედება გ[...]

მცდარია აზრი [...] რომ პროკურატურა [...] უფლებების აღდგენის [...] მე მიმაჩნია, რომ პ[...] უფლებები კი არ და[...] გაიფართოეა და ჩ[...] არავითარი ძალთა გ[...] თვის ბრძოლას შს[...] არა აქვს. პროკურ[...] როგორც წინათ, ახლ[...] ზედამხედველობის ო[...]

პროკურატურა დ[...] ქმიანობას აწარმოებს [...] გარეული მაღალი სახ[...] ბის გამოსაველენად, გა[...] ყოფილი ვიცე-პრემიერ[...] საქმეთა მინისტრის მ[...] მიმართ, რომელიც, იმ[...] ცემა პასუხისგებაში. [...] რომელთაც სახელმწი[...] აშკარა უგულებელყოფ[...] დარღვევით მიიღონ[...] ჯული არ დარჩება. [...] არცთუ ცოტანი არ[...] ხელისუფლების პირვე[...] მოადგენდნენ".

## პროკურატურისა და პოლიციის ჩხუბში საზოგადოება გაიჭყლიტება

პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადებიდან ჩანს, რომ უწყებას, რომელსაც კანონზე ზედამხედველობა ევალება, არ შესწევს ძალა, გამოიყენოს რეაგირების სხვა ფორმები და... საზოგადოებას მიმართა დასახმარებლად. ამასთან დაკავშირებით იქმნება ერთგვარი გაუგებრობა — თუ შინაგან საქმეთა ორგანოებში მოქალაქეებს სცემენ, უხეშად არღვევენ კანონს და პროკურატურას ვერაფერი გაუწყვია, საზოგადოებამ რაღა უნდა ქნას? ანდა, თუ პროკურატურას მიაჩნია, რომ ჟურნალისტებმა უნდა გაარკვიონ, ვინ არღვევს კანონს პოლიციაში, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქვეყანაში საგანგაშო ვითარებაა შექმნილი? ამ ეჭვს ადასტურებს ისიც, რომ ბრალდებებს, როგორც ყოველთვის, კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს. ისევ თავს იჩენს გაუბედაობის სინდრომი. არ სახელდება კონკრეტულ დამნაშავეთა გვარები. შინაგან საქმეთა ორგანოების მიმართ წაყენებული ბრალდებების საფუძველზე არა ერთი და ორი თანამდებობის პირის დაპატიმრება მაინც შეიძლება და ეს, სხვათაშორის, პირდაპირ ევალება პროკურატურას. ამის სანაცვლოდ კი ფარატინა განცხადებებს ვხედავთ. ამ შემთხვევაში ან პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პროკურატურა უძლურია ებრძოლოს დანაშაულს, ან კონკრეტულ მოქმედებაზე გადასვლაა საჭირო, თორემ საზოგადოების საშველად მოხმობა არავითარ შედეგს არ მოიტანს.

როგორ უნდა მოიქცეს რიგითი მოქალაქე, რომელსაც პროკურატურა ეუბნება, რომ პოლიცია ბოროტმოქმედია, ხოლო პოლიციისგან პასუხად ესმის, რომ პროკურატურაში საეჭვო ლოიალობას იჩენენ დამნაშავეების მიმართ? ალბათ, პესიმიზმმა უნდა შეიპყროს და... ასეც ხდება. ამგვარი ტრაგიკომიკური ვითარება იქმნება იმის გამო, რომ ბევრ სახელმწიფო უწყებაში აშკარად შეიმჩნევა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი. ქვეყანაში უამრავი დარღვევა ხდება და მომავალშიც მოხდება სწორედ იმის გამო, რომ მასთან ბრძოლა მიმდინარეობს განცხადებებით, რომელნიც საქმის გაკეთებას კი არ ისახვენ მიზნად, არამედ პოპულიზმს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — მთელი ეს აჟიოტაჟი[...] არის ატეხილი, რომ[...] თანამდებობის პირებმა[...] გაიყვეს ერთმანეთში[...] წინასწარმეტყველება [...] გორც განვითარდება მ[...] დაპირისპირებული მხ[...] დებიან (ან მიახვედ[...] გადააჭარბეს და მერ[...] თომ არაფერი მომხ[...] პატარა ბავშვები წაკ[...] ნეთს ფოჩიანი კამფეტ[...]

იქნებ მოსაპეზრებ[...] ვეტლივ დასავლეთის [...] გალითების მოხმობა, [...] შემთხვევაში მაინც [...] გვეჩვენება. ამგვარ [...] დაუყოვნებლივ სოჰყვ[...] თანამდებობის პირის [...] აღიძვრებოდა სისხლის [...] საქმე და დაიწყებოდ[...] პროცესი. ასე მოხდებ[...] ან ერთი უწყება, ამ[...] სერიოზულად კანონის [...] — მეორე და ან ო[...] რა გასაკვირია, რომ [...] თარებაში მოქალაქე[...] რწმენას კარგავდეს?!

კითხვები ? ! ? ! ? ! ? ! პასუხები

„კავკასიონის" ლიტერატურული გაზეთი

# არილი

17 აგვისტო, 1996 წ.

დიალოგი მწერალთან



## გივი ალხაზიშვილი

1. როგორ წარმოგიდგებათ მწერლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მიგაჩნიათ თუ არა, რომ მწერლობას კვლავ ერის წინამძღოლის ფუნქცია.

2. თქვენი აზრით, აქვს თუ არა ლიტერატურას ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება. თუ ფიქრობთ რომ აქვს, კონკრეტულად როგორ ვლინდება ეს.

3. რამდენად შეძლო ქართულმა ლიტერატურამ იმ რთული და დრამატული პროცესების განჭვრეტა, რომლებიც ჩვენში წარიმართა.

4. რა მიგაჩნიათ ამ პროცესების გამომწვევ მიზეზად, რა არის, თქვენი შეხედულებით, იმის საზრისი, რაც საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხდა.

5. როგორ გგონიათ, შეგცვალათ თუ არა თქვენ, როგორც შემოქმედი და პიროვნება, ამ წლებმა.

6. როგორ აფასებთ დღეს საკუთარ შემოქმედებას, რას მიიჩნევდით მასში მეტად ან ნაკლებად სიცოცხლისუნარიანად.

7. რა ხარვეზებს ამჩნევთ ქართულ კულტურაში, კერძოდ, ლიტერატურაში რისი შეძენა სჭირდება მას (და, პირიქით, რა არის მასში „ზედმეტი").

8. თვლით თუ არა, რომ საჭიროა კლასიკური ლიტერატურის ხელახალი შეფასება; რა არის თქვენთვის უფრო ძვირფასი და რა — ნაკლებად ღირებული, ნაკლებად მისაღები.

9. როგორ გესახებათ ქართული ლიტერატურის პერსპექტივა, როგორი შეიძლება იყოს მისი მომავალი.

III

პოეზია

## ლალი კეკელიძე

ვზივარ და ვაწვალებ
გაცრეცილ გარეკანს.
ვზივარ და არ ვფიქრობ.
თუ უნდა დარეკავს.
ძილი? — ეს კარგია! —
დრო უცებ გარეკავს.
ოთახში ვგდივარ,
თუმცა, სად წავიდე?!
რაღაცა დამთავრდა,
იხე, ვერც გავიგე.
ვზივარ და ვაწვალებ
გაცრეცილ გარეკანს.



IV

XX საუკუნის ხელოვნება



## კარლ გუსტავ იუნგი

# პიკასო

VIII

დრამატურგია



## ეჟენ იონესკო

### მომავალი კვერცხებშია, ანუ ყველაფერი უნდა გაკეთდეს მსოფლიოს შესაქმნელად

VI VII

## ვლადიმერ სოლოვიოვი

რაკურსი

# რუსული ფილოსოფიის პატრიარქი

II

პროზა

## ირაკლი ლომოური

# ჩიჩილაკად ქცეული ქალის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ლამაზი ქალიშვილი. ლამაზი კი იყო, მაგრამ ერთობ ამპარტავანი გახლდათ, თავი მზეთუნახავი ეგონა და იმიტომ. ცხოვრობდა ერთ სოფელში, მივარდნილსა და მიყრუებულში. ცხოვრობდა მშობლებთან, ცივ ნიავს არ აკარებდა მოხუცი დედ-მამა. ცხოვრობდა გულხელდაკრეფილი, მთელი დღე სარკეში იცქირებოდა, თანაც მალი-მალ გზა-გზას გაჰხედავდა ხოლმე, თავის ბედს ელოდა — უფლისწულს ელოდდა გინდა თუ არა! ელოდა, ელოდდა, მაგრამ არა და არ გამოჩნდა უფლისწული. დრო კი გადიოდა, დღეს ღამე მოსდევდა, წელს წელი. მოდა, დადგა ახალი ჩუჩუ წელი. გათენდა ახალი წლის დილა, გამოვიდა ქალი ეზოში, ხედავს კართან, ლობის გადაღმა, წელამდე თოვლში მოხუცი მათხოვარი დგას, მხარზე აბგა ჰკიდია.

მათხოვარმა გასძახა — მრავალ ახალ წელს დაესწარით, კალანდობა არ დაგელიოთო!

— თქვენაც, თქვენაცო... — ცალყბად მიუგდო ქალმა.

— შვილო, კარი გამიღე, მეკვლე ვიქნებიო — უთხრა მოხუცმა — ტაბლა დამიდგი, დაგლოცავ, ბედი სიკეთეც შეგეწიოს იქნებაო...

ქალმა აათვალიერ-ჩაათვალიერა, აიმრიზა.

— ბაკაცო, კარს ვერ გაგიღებ და ვერც სახლში შემოგიყვან, დედ-მამა შინ არა მყავსო, — უთხრა მათხოვარს — ბაღდადში გავისტუმრე საყიდლებზე, ამ საკადრისი კაბა-სამოსი ამ ქვეყანაში ჯერ არ შეკერილაო!

უთხრა და ზურგი შეაქცია, წასვლა დააპირა.

— მაშინ, კარში გამოდიო, — გააჩერა მოხუცმა — ახალ წელს მოგილოცავ, შუბლზე გაკოცებო!

— მაკოცებო?! — გაგულისდა ქალი — ერთი ამას დამიხედეთ, რეებსა ბედავს, ვინ შენ და ვინ მეო!

— შუბლზე კოცნა რაღა ბედენააო... — გაიოცა მოხუცმა.

— ჩემს კოცნას აქეთ ივერიკის სულთანი ნატრულობს და იქით იმის მეტოქე კუნძულელი ხელმწიფეო! — გამოაცხადა ქალმა — ახლავე გაეცალე აქაურობას, თორემ დავუძახე მამაჩემსო!

— აკი ბაღდადშიაო? — ჩაეცინა გლახას.

— ისაო... — დაიბნა ქალი — მფრინავი ხალიჩა აქვს, ხან იქაა და ხან აქაო!

— ჰოო... — ერთი წამით ჩაფიქრდა მოხუცი — აქეთობისას გზაზე გულსაკიდი ვნახე, ფუთფუთად მამაშენს გადმოუვარდებოდა ხალიჩიდან, გამოდი და მოგცემო!

უთხრა და ბრჭყვიალა სამკაული ამოიღო აბგიდან. ამის დანახვაზე ქალმა სწრაფად გააღო კარი, შარაზე გამოვიდა. მათხოვარმა გულსაკიდი მიაწოდა, ჰკითხა — არც ახლა შემიყვან სახლშიო?

— სახლში რა გინდაო, — უთხრა ქალმა და სამკაული ყელზე ჩამოიკიდა — აქ გამოგიტან გოზინაყს და დოქით ღვინოსო...

— შენს თავს დააბრალე, რაც მოგივიდესო, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და ხელი დაჰკრა.

იქაურობა დაბნელდა, იელვა და განათდა.

ქალი ჩიჩილაკად გადაიქცა.

მათხოვარი ჯადოქრის მოსასხამში გაეხვია.

— ახალწლის დილას მეკვლეს რომ იუკადრისებ, უარესიც დაგემართებაო! — გამოაცხადა ჯადოქარმა — არა ვარ მე ბოროტი ჯადოქარი, ის მოგეზღო მხოლოდ, რასაც საკუთარი ავზნეობით ეწიე... და მიბრძანებია ჩიჩილაკობა შენი სამარადჟამოდ, ოღონდაც ნაშუაღამევს ერთი წუთით დაგიბრუნდება ადამიანის სახე... ყოველღამე, მხოლოდ ერთი წუთით... და იცოდე, არც საქაოში და არც საიქიოში ვერ გიშველის ვერავინ, საკუთარი თავის გარდაო...

გაქრა ჯადოქარი.

ჩიჩილაკი დარჩა ღობეზე მიყუდებული, გულსაკიდი ღელვის ჩირად გადაიქცა, საწყლად კონწიალობდა...

ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული, იმ გზაზე ერთმა ობოლმა ვაჟმა ჩამოიარა, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობდა და ფიჩხის ზიდვით ირჩენდა თავს. დაინახა ჩიჩილაკი, დაავლო ხელი და სახლში წაიღო.

დაღამდა. ვაჟმა თავის ქოხში ცეცხლი დაანთო, ჩმუნლი პურითა და წყაროს წყლით იუზმა, დასაძინებლად გაემზადა... უეცრად თვალეფ ქოხში, ჩიჩილაკი ქალად იქცა. ვაჟი დაფრთხა, თავზე საბანი აიფარა, შესძახა — ფუი ეშმაკს, გაქრი, გაქრიო!

ქალი უღონოდ დაეშვა მიწაზე და აქვითინდა.

ვაჟი ფრთხილად მიუახლოვდა, ჰკითხა — ვინა ხარ, მოჩვენება თუ ალქაჯიო?

— ერთი საწყალი ქალი ვარ მეზობელი სოფლიდან... — ტირილით უპასუხა ქალმა — დილით ჯადოქარმა ჩამოიარა, სახლში არ შევუშვი და — მომაჯადოვა... მალე ისევ ჩიჩილაკად ვიქცევიო...

— ვაი, შე უბედუროო... — გული დაეწვა ვაჟს.

ქალი ვაჟის წინ მუხლებზე დაემხო და შეევედრა — უნდა მიშველო, შენს იქით გზა არა მაქვსო!

— როგორ გიშველოო? — ჰკითხა ვაჟმა.

— ის ჯადოქარი უნდა იპოვო და ჯადო მოახსნევინოო! — მუდარით უთხრა ქალმა.

ვაჟი შეფიქრიანდა — მეც რომ მავნოსო?

— რა, გეშინიაო?! — ჰკითხა ქალმა.

— არა, შიში რა სახსენებელია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო... — მიუგო ვაჟმა.

— რა სიფრთხილეზე ლაპარაკობ, თუ არ დამიხსნი, ისევ... — სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ქოხში იელვა... ქალი ჩიჩილაკად გადაიქცა.

ჩავარდა ვაჟი საგონებელში. ქალი ისეთი ლამაზი იყო, ერთი შეხედვით შეუყვარდა, მაგრამ ჯადოქრისა ეშინოდა.

უცებ ჩიჩილაკმა დაგუდული, ყრუ ხმით იკითხა — მიშველი თუ არაო?!

ვაჟი მოულოდნელობისგან უკან გადახტა, შუბლზე ხელი მოისვა და უთხრა საყვედურით — რას მაშინებ ქალო სულ, გასკდა გულიო!

ჩიჩილაკი არ მოეშვა — მიშველიო?!

— ისეთი ლამაზი ხარ, რომ არ გიშველო არ იქნებაო... — უთხრა ვაჟმა.

— სილამაზემ მიყო ყველაფერიო! — გამოაცხადა ჩიჩილაკმა — ყველაზე ლამაზი ვარ ამქვეყნად და ჩემი შურითო!

ჩაფიქრდა ვაჟი. ჩიჩილაკის წინ მუხლებზე დადგა, ღელვის ჩირი ხელში აიღო და ჰკითხა — რომ გიშველო, ცოლად გამომყვებიო?

— ჯერ მიშველე და მერე ვილაპარაკოთო! — ჩიჩილაკმა.

— გიშველი, მაგრამ როგორ გიშველოო, — დაღონდა ვაჟი, — მეც, შენი არ იყოს, ფიჩხის კონად არ მაქციოს ჯადოქარმაო...

— თუ აგრე გეშინია, მიმიყვანე მამაჩემთანო... — თქვა ჩიჩილაკმა — მართალია მოხუცდა, ალბათ, ვერც ვერაფერს გააწყობს, მაგრამ შენგან ხეირი მაინც არ იქნება, ლაჩარი ყოფილხარო!

— არა ვარ მე ლაჩარი, უბრალოდ, ფრთხილი ვარო, — აუხსნა ვაჟმა — ჯერ ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოო...

— დედალი ყოფილხარო! — არ გაჩერდა ჩიჩილაკი — აი, ჩემი გულისათვის კუნძულელი ხელმწიფე...

— რა, კუნძულელიო?! — გააწყვეტინა ვაჟმა.

— არა, არაფერიო... — ჩიჩილაკმა — მიმიყვანე მამაჩემთანო!

— არა, გიშველიო! — გადაწყვეტით თქვა ვაჟმა — დილაუთენია გავუდგეთ გზასო!

ირიჟრაჟა თუ არა, ვაჟმა ქამარში წალდი გაირჭო, ჩიჩილაკი ზურგზე მოიკიდა და გზას გაუდგა. შევიდა ულრან ტყეში, მიდის, მიდის და მიდის...

ჩიჩილაკმა ჰკითხა — იარაღი რომ არა გაქვს, ჯადოქარს როგორ შეებრძოლები, შენი წალდით გინდა გაუმკლავდეო?

V

# ვლ. სოლოვიოვი — რუსული ფილოსოფიის პატრიარქი

უხსოვარი დროიდან ადამიანი ღმერთს ეძიებდა. წარმოდგენა უმაღლეს, აბსოლუტურ ყოფიერებაზე წარუშლელ დაღს ასვამდა ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს. ადამიანი მუდამ ცდილობდა თავის ღმერთებს დამსგავსებოდა, თავისი ყოფიერების ის ასპექტები განევითარებინა, რომელსაც ის ღვთაებრივი ყოფიერების გაცხადებად მიიჩნევდა. თავის მხრივ, უმაღლესი, აბსოლუტური ყოფიერების გაგების სპეციფიკა ყოველთვის განსაზღვრავდა ამა თუ იმ ისტორიული ტიპის საზოგადოებაში მოქმედ ღირებულებათა იერარქიის თავისებურებას, კულტურის მაკონსტრუირებელ ძირეულ ტენდენციებს. რადგან ადამიანის რელიგიური ცნობიერება არასოდეს წარმოადგენდა რაღაც ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებულ სიდიდეს, არამედ საკაცობრიო ისტორიის გასწვრივ თანდათან ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, ამიტომ გაღრმავებასა და გაფართოებას განიცდიდა რელიგიური გამოცხადების შინაარსიც, თანაც იმგვარად, რომ გამოცხადების უფრო მაღალ ფორმებში უკვალოდ არ იკარგებოდა გამოცხადების უფრო დაბალი ფორმების თავისებურებანი. ამ მოსაზრების ილუსტრაციისათვის ვლ.სოლოვიოვი ასეთ ანალოგიას მიმართავს: ისევე, როგორც მზის მოცულობის შინაარსი უსინათლოსათვის არ უარიყოფა თვალხილული ადამიანის გამოცდილებით, არამედ უფრო ღრმავდება და ფართოვდება (სითბო პლუს სინათლე), ხდება უფრო ფართო გამოცდილების ნაწილი და ამ კონტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენს, ასევე, რელიგიურ განვითარებაშიც, გამოცხადების ქვემდგომი საფეხურები კარგავენ დამოუკიდებელი მთელის მნიშვნელობას და უფრო სრულყოფილი გამოცხადების მომენტებს ქმნიან. კაცობრიობის რელიგიური ცნობიერების განვითარების ამგვარი ინტერპრეტაცია ვლ.სოლოვიოვს საფუძველს აძლევდა, ლ.ტოლსტოის საწინააღმდეგოდ ემტკიცებინა, რომ რელიგიური განვითარების მიზანს წარმოადგენს არა ის მინიმალური შინაარსი, რაც ერთია ყველა რელიგიისთვის, არამედ მაქსიმალური რელიგიური მრავალფეროვნების ის ერთიანობა, რომელიც მოიცავს ყველა რელიგიის დადებით შინაარსს და სწორედ ამის გამო, არ დაიყვანება ამ მრავალფეროვნების არც ერთ მომენტზე.

აბსოლუტის გამოცხადების უმაღლეს საფეხურად ვლ.სოლოვიოვს ქრისტიანობა მიაჩნდა, თუმცა, ამავე დროს, თვლიდა, რომ გამოცხადების ქრისტიანულ საფეხურზე ასასვლელად კაცობრიობას მოუხდა გამოცხადების ქვემდგომი საფეხურების ავლაც. ქრისტიანული სულიერება, ვლ.სოლოვიოვის აზრით, რელიგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულქმნილი ფენომენია. იგი სრულად პასუხობს ადამიანის უღრმეს რელიგიურ მისწრაფებებს, რადგან სწორედ ქრისტიანობამ ორგანულად გააერთიანა თავის წიაღში ყოველივე ის ღირებული, რაც კი კაცობრიობამ აითვისა ღვთაებრივი პირველსაწყისის გამოცხადების მსოფლიო-ისტორიულ პროცესში. ქრისტიანობა არ უარყოფს ბუნების ღვთაებრიობას, რაც პოლითეისტური ბუნების რელიგიების ძირეულ თავისებურებას გამოხატავს. ოღონდ, ქრისტიანული ცნობიერებისთვის ბუნება ღვთაებრივია არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც ღვთის ქმნილებაა და ღვთაებრივი ძალების მოქმედების ასპარეზია. ღმერთის განსხეულება ქრისტეში, ქრისტეს სხეულებრივი აღდგომა და ამაღლება ადასტურებს ბუნების პოზიტიურ შეფასებას ქრისტიანობის მიერ. ბრაჰმანიზმი და ინდუიზმი ღვთაების მრავალმხრივ და მრავალსახოვან გაცხადებაზე ლაპარაკობს. ესეც შეიძლება იქნას აღმოჩენილი ქრისტიანობაში. ოღონდ, ქრისტიანობისთვის ღვთაების მრავალმხრივი გაცხადება, არა უპიროვნო და ბრმა აუცილებლობას დაქვემდებარებული მოვლენაა, არამედ, ის პიროვნული, საზრისიანი, თავისუფლებაზე დაფუძნებული სიყვარულის კოსმიურ-ისტორიული მანიფესტაციის მიზანმიმართულ პროცესს უკავშირდება. ღვთაებრივი სანქციით გამართლებული ცხოვრების რეგლამენტაცია, წინაპართა და ტრადიციული ადათ-წესების კულტი, ჩინური მსოფლშეგრძნების ეს საფუძველთა-საფუძველიც, შეიძლება იქნას აღმოჩენილი ქრისტიანობაში. მაგრამ აქ, ყოველივე ამას წართმეული აქვს რაღაც თავისთავად ღირებულის შარავანდედი და მხოლოდ აღმზრდელობით-პედაგოგიური მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანის ბოროტებისაგან ხსნის პათოსი, ასე ღრმად რომ წარმოაჩინა ბუდიზმმა, ორგანულად შეითვისა ქრისტიანობამაც, თუმცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ვლ.სოლოვიოვი, ადამიანის ხსნის საშუალებასა და საბოლოო მიზნის ქრისტიანული გაგება ბუდისტურისაგან არსებითად განსხვავდება: ქრისტიანობისათვის უცხოა სიცოცხლის ნეგატიური შეფასება, სიცოცხლისა, რომელიც ბუდიზმისთვის ტანჯვა-ვაებით მოცულ ილუზიას წარმოადგენს. ამიტომ, ქრისტიანობისთვის ადამიანის ხსნა უკავშირდება არა სიცოცხლისაგან განრიდებას და ნირვანაში უნაშთო გათქვეფას, არამედ სიცოცხლის გადარჩენას, მის განწმენდა-განსულიერებას, სიცოცხლის გამოხსნას ცოდვითდაცემის შედეგად მასში ჩაბუდებული ბოროტებისაგან. ქრისტიანობამ შეითვისა, აგრეთვე, პლატონიზმის ძირეული ინტენცია: მგზნებარე ლტოლვა ზებუნებრივი, ზეგრძნობადი, იდეალური სამეფოსაკენ. მაგრამ თუ პლატონიზმი ვლ.სოლოვიოვს მიაჩნდა უპირატესად ჭვრეტის მსოფლშეგრძნებად, ქრისტიანობაში, მისი აზრით, ჭვრეტას დაქვემდებარებული როლი ენიჭება. ქრისტიანობა უპირატესად ადამიანისა და პიროვნული ღმერთის დიალოგზე დაფუძნებული მოქმედების რელიგიაა. თუ ღმერთის ობიექტური ასპექტი — იდეალური კოსმოსი, წმინდა სა-



## ნაწილი II. ღმერთკაცობრიობა და საკაცობრიო ისტორიის საზრისი

ხით გაცხადდა პლატონიზმში, ღმერთს სუბიექტური ასპექტი, განხილული, როგორც ყოვლისშემძლე ნება, ძველი აღთქმის გამოცხადების შინაარს შეადგენს. ადამიანის მხრიდან ამგვარად გაცხადებული ღმერთის უპირობო ერთგულება ქმნის იუდაიზმისა და ისლამის ძირეულ თავისებურებას. ასეთ ერთგულებას ქრისტიანობაშიც აღმოვაჩენთ. მაგრამ იუდაიზმი, ძველი აღთქმის რელიგია, მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ცნობიერებაში ნათლად გაცხადდა, რომ კანონის ფორმაში გამოხატული გარეგანი მიმართება ადამიანსა და ყოვლისშემძლე ღმერთს შორის არ ამოწურავს მათ ურთიერთობებს. ღმერთის, როგორც აბსოლუტური ნების ნდომის საგანი, არ შეიძლება იყოს რაიმე განსაკუთრებული, მას, როგორც აბსოლუტს, შეიძლება უნდოდეს მხოლოდ ყველაფერი. ყველაფრისადმი დასტური, მისწრაფება იმისაკენ, რომ ყველაფერი ნაზიარები იყოს ყოფიერებას, წარმოადგენს სიყვარულს.

მაშასადამე, ღმერთი, როგორც სიყვარული, ვლ.სოლოვიოვის თანახმად, უკვე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს გამოეცხადა. სწორედ ძველი აღთქმის გამოცხადების ეს მაცოცხლებელი სიტყვა ყველაზე უფრო ძლიერად ჟღერს ქრისტიანობაში. ქრისტიანობის იდეური შინაარსის ჩამოყალიბებაში ვლ.სოლოვიოვი, აგრეთვე, დიდ ადგილს უთმობდა ალექსანდრიულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასა და ანტიკურ ნეოპლატონიზმს. ალექსანდრიულ მსოფლმხედველობაში, ვლ.სოლოვიოვის აზრით, განხორციელდა ღმერთის პლატონისტური და იუდაისტური გაგების ერთგვარი სინთეზი. მასში ინტუიციურად ნაგრძნობი იქნა და თეორიულად დადგინდა მიმართება — ღმერთს, როგორც განუყოფელ ერთიანობასა და იმ მრავალფეროვან შინაარსს შორის, რომელსაც ეს ერთიანობა აწარმოებს და აერთიანებს. ღვთაებრივი ყოფიერების სუბორდინაციული სტრუქტურის სამწევროვანი დახასიათება კი, რაც შემდგომში კოორდინაციული ფორმით ქრისტიანული ცნობიერების შემადგენლობაში შევიდა და წმ. სამების სტრუქტურის აღსაწერად იქნა გამოყენებული, ვლ.სოლოვიოვის თანახმად, ნეოპლატონიზმის ძირითადი დამსახურებაა.

ამგვარად, როგორც გაირკვა, ქრისტიანობაში ვლ.სოლოვიოვმა სხვადასხვა რელიგიების ძირეული ნიშანთვისებანი აღმოაჩინა. ხომ არ მიანიშნებს ეს იმაზე, რომ ქრისტიანობა, უბრალოდ, სხვა რელიგიების ეკლექტიკური ნაზავია, რომ მან არაფერი ახლით არ გაამდიდრა ღვთაებრივი გამოცხადების მსოფლიო-ისტორიული პროცესი. ვლ.სოლოვიოვი უკუაგდებს ამგვარ მოსაზრებას. იგი დარწმუნებულია, რომ არც გამოცხადების ყველა ზემოჩამოთვლილი ეტაპი ერთად აღებული და არც თითოეული ცალ-ცალკე არ გამოხატავს ქრისტიანობის იმ სპეციფიკურ შინაარსს, რაც ასხვავებს და აამაღლებს მას ყველა სხვა რელიგიაზე. ეს შინაარსი უკავშირდება თვითონ ქრისტეს, როგორც ადამიანის თვისებრივად ახალი სულიერების პირველწყაროს, ქრისტეს, რომელმაც საკუთარ თავს ჭეშმარიტება და ცხოვრების გზა უწოდა. როგორ წარმოუდგება ვლ. სოლოვიოვს ქრისტე, როგორც რელიგიური გამოცხადების კულმინაციური წერტილი? როდესაც სახარების კითხვისას ქრისტეს პიროვნებას ვეცნობით და მას სხვა დიდ პიროვნებებს ვადარებთ, ჩვენს ყურადღებას ერთი, მეტად საოცარი ფიქრი იპყრობს. საკაცობრიო კულტურის ისეთ ბუმბერაზთა შემოქმედებითი მონაპოვარი, როგორიც იყვნენ ბუდა, მუჰამედი, სოკრატე, პლატონი, მიქელანჯელო და სხვები, როგორც წესი, უდიდეს სულიერ ძალისხმევასთან, მძიმე შრომასთან, ხანგრძლივ და მომქანცავ სულიერ და ფიზიკურ წვრთნასთან იყო დაკავშირებული. ჭეშმარიტების, სიკეთის და მშვენიერების მწვერვალების დალაშქვრა ამ გენიალურ ბუმბერაზებს ხშირად საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებოდათ. ამ უმაღლესი ღირებულებების ათვისება მათი, არაიშვიათად დრამატული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ამოცანას შეადგენდა. ქრისტეს პიროვნება დიამეტრალურად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებს. სახარებისეულ ქრისტეში სრულიად არ იგრძნობა ჭეშმარიტების მოპოვებასთან დაკავშირებული ქანცგამომლევი ძალისხმევა, არ ჩანს ძიების და მიღწეულით აღფრთოვანების პათოსი. ქრისტე იმთავითვე ფლობს ჭეშმარიტებას, იგი თვითონ განსხეულებული სიკეთეა. იგი მიილტვის არა ზევით, უმაღლესი ღირებულებების მოსაპოვებლად, რათა გახდეს უფრო სრულყოფილი, არამედ პირიქით, ქრისტეს სულიერი მოძრაობის ვექტორი საწინააღმდეგოა, ის ზევიდან ქვევით არის მიმართული. ის ჩამოდის ადამიანებთან გონითი ყოფიერების მწვერვალებიდან, იგი იმთავითვე ფლობს სრულყოფილებას და სურს ჩვენი სამყაროს მკვიდრთ უწილადოს ყველაფერი, რაც კი გააჩნია. იესო ქრისტე უსასრულო ღმერთის ადამიანური სახეა. ის არის სამყაროსა და მისი მეტაფიზიკური ცენტრის — ადამიანის მიმართ გაცხადებული ღვთაებრივი სიყვარულის დემონსტრაცია. სიყვარულისა, რომელიც თვითუარყოფას, თვითგანწირვასა და მსხვერპლს მოითხოვს. ქრისტე, ვლ.სოლოვიოვის აზრით, ღმერთკაცია — განხორციელებული იდეალია, იგი არის მომავალი ღმერთკაცობრიობის გზისმკვლევი და ღვთაებრივი სასუფევლის დამკვიდრების გარანტი. ეს გარანტი არ გამორიცხავს ადამიანის თავისუფლებასა და პიროვნულ ძალისხმევას. ამაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების მსოფლიო-ისტორიული პროცესი სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. აღმოსავლეთში და დასავლეთში მოქმედმა ათასწლოვანი სულიერი გამოცდილების განსხვავებულმა ფორმებმა, განსხვავებულმა კულტურულმა გარემომ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქრისტიანული ცნობიერების განსხვავებული ფორმების აღმოცენება. ვლ.სოლოვიოვი თვლიდა, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება, იკარგება მაშინაც, როდესაც ღმერთი აუქმებს ადამიანს და მაშინაც, როდესაც ადამიანი აუქმებს ღმერთს. პირველმა ტენდენციამ, მისი აზრით, თავი იჩინა აღმოსავლეთში. ეს მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრებამდე გაცილებით ადრე. ამ ტენდენციამ გარკვეული დაღი აღმოსავლურ ქრისტიანობასაც დაასვა. აღმოსავლეთში, სულის მჭვრეტელობითი უნარის განსაკუთრებულად ინტენსიური განვითარების გამო, ადამიანში სუსტდება მოქმედების უნარი, ზეგრძნობადის ჭვრეტით მონუსხული, იგი მთლიანად ივიწყებს თავის თავს, მთლიანად იკარგება ყველაფრისადმი „გულგრილ" აბსოლუტში. ამას შედეგად მოსდევს ადამიანის საზოგადოებრივ-კულტურული აქტივობის მოდუნება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთფეროვნების, ინერტულობისა და უძრაობის გაბატონება. ვერ ხერ
ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრ
ზოგადოებრივ სტრუქტურებში. აღმოსავლ
სხვადასხვა ინტენსივობით და სხვადასხვა ფ
მით გაბატონებულია „უადამიანო ღმერთის
ყვანისცემა. საპირისპიროდ ამისა, დასავლ
ადამიანურმა დაჩრდილა ღვთაებრივი. დას
თის ცივილიზაციის საყოველთაო კრიზის
რითად მიზეზად, ვლ.სოლოვიოვს ევროპ
ტორიის სიღრმისეული ლოგიკის გამომხ
ლი ცენტრალური ფაქტი — ღმერთის თან
ნობითი უარყოფა და შესაბამისად, უღმერთ
მიანის გაღმერთება მიაჩნია. ეს პროცესი დ
რგვინდა ევროპული ადამიანის თეორიულ ც
ბიერებაში პოზიტივიზმისა და ნატურალ
ზოლო პრაქტიკულ სფეროში მიშველი
ლიტარიზმის გაბატონებით, დაუნდობელი
კურენციით, ფულისა და ტექნიკის კულტის
კვიდრებით. აქ გაბატონდა „უღმერთო ადამ
თაყვანისცემა. ადამიანის თვითმყოფ
სწორედ ამგვარი გაგება იწვევს პიროვნებ
წვრილმანებას, ადამიანს ხელიდან ეცლება
ერი განვითარების ორიენტირი, მან აღარ
თუ ვისთვის ან რისთვის იცხოვროს. ორ
გზა, ვლ.სოლოვიოვის თანახმად, კაცობრ
მხოლოდ განვითარების შეფერხებით
არამედ დაღუპვითაც კი ემუქრება. კრიზის
საძლევად აუცილებელია კაცობრიობამ
ლის ახალი გზები გამონახოს. თანამედროვ
მიანის მზერა უკან, ქრისტიანობის სათავე
კენ უნდა წარიმართოს. სწორედ აქ უნდა
აღმოჩენილი ქრისტიანობაში ჩადებული
ზიტიური შესაძლებლობები, რომელიც მ
ლა ჯერ ისტორიული ქრისტიანობის, ხოლ
მდეგ ახალი დროის სეკულარული კულტ
მიერ. უნდა აშენდეს ახალი ქრისტიანულ
ტურა, რომლის წიაღშიც სათანადო ადგი
ეთმობა ყოველივე ღირებულს, რაც კაც
ობის, როგორც რელიგიური, ასევე სეკუ
ლი განვითარების შედეგად იქნა მოპოვებ
ამოცანის განსახორციელებლად, თავის
აუცილებელია ქრისტიანულ ეკლესიათა
ერთიანობის აღდგენა, აღმოსავლეთისა
ვლეთის შერიგებ
თკაცობრიობის
მათი ცხოვრებ
საწყისების სინთ
ლი ქრისტიანული
ერების მოწოდებ
მიანის შემოქმე
ენერგია ბუნებისა
ზოგადოების გან
ფლებისა და გაუ
ბის საკაცობრიო
სამსახურში
ჭეშმარიტი ერ
კი, როგორც ვლ
ვიოვი აღნიშნავ
ხორციელდებოდ
ძო და ინდივიდ
ელემენტების უდ
მოუკიდებლობას
ვისუფლებაში. მა
თით და მათ
რომ, ამ ყოვლის
საკაცობრიო ერთიანობაში მთელი ძალ
მოჩინდება ყოველი ცალკეული პიროვნ
თოეული ერის შინაგანი პოტენცია, რომ
ლით ისინი ერთმანეთს კი არ გამორ
არამედ ურთიერთადსტურებენ, ნახულ
თითოეული სხვაში თავისი საკუთარი
ლის სისრულეს.

თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ნ
რომელიც ეძღვნება დიდი პოლონელ
მიცკევიჩის ხსოვნას, ვლ.სოლოვიოვი
იყო ჭეშმარიტად. დიდი ადამიანი. მას
შეეხედა ცხოვრებისათვის სიმაღლიდ
ცხოვრება ამაღლებდა მას. უფრო ც
სიმაღლიდან სრულიადაც არ ნიშნავს
ქედმაღლურად. ის დიდი იყო იმით, რო
რა ზნეობრივი სიმაღლის ახალ საფეხურ
თან აქჩნდა იმავე სიმაღლეზე არა ამყ
ელი უარყოფა, არამედ სიყვარული იმის
ზეც ის მაღლდებოდა. ვლ.სოლოვიოვ
სოფიური ცხოვრება, მთელი მისი ეხოვ
ლმხრივი შემოქმედება სწორედ ამგვარ
ლზე დაფუძნებული სინთეზის იდეით
ვალული. სხვა საკითხია, თუ რამდენად
ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრა, რამდ
ხერხა ყოვლისერთიანობის მეტაფიზ
ველზე მოეცა ფილოსოფიური სინთ
განსხვავებული ფენომენებისა, როგორ
ქრისტიანული რელიგიების მისტიკური
ნეოპლატონიზმი, ახალი დროის ფილ
ბუნების მეცნიერება და ა.შ., მაგრამ უდა
რომ ღმერთკაცობრიობის იდეაში ფ
სათანადო ადგილი მოუნახა ყველა ი
რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფ
მოძრაობისთვის, რითაც ასე მდიდარი
რიო კულტურა.



ოთახი ტრუბეცკოების საგვარეულო სახლში

არჩილ ბა

17 აგვისტო, 1996 წ.

კ ითხვები — პ ასუხები

# გივი ალხაზიშვილი
# ჩვენ ვცხოვრობთ წარმავალ აწმყოში!

ბოლო წლებში ერთი თვალშისაცემი და მეტად მტკივნეული ტენდენცია გამოიკვეთა, რამაც ოპტიმიზმის საფუძველი გამოაცალა და მწარე საფიქრალი გაუჩინა მწერალს; მწერლობა და ცხოვრება, მწერალი და მკითხველი თანდათან დაშორდა ერთმანეთს. ყველა თავისი ეგოისტური ზრახვების მომვლელად თუ პატრონად იქცა. ასე რომ, ცოტა უხერხულია მწერლის, როგორც „ერის წინამძღოლის ფუნქციაზე" საუბარი. გათიშულობამ (გათიშულობის პოლიტიკურ ხასიათს არ ვგულისხმობ) მწერალსა და მკითხველს შორის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა, მწერლობა და მწერლური სახელენი მხოლოდ ცალკეული, ელიტარული წრეებისთვის იქნება ცნობილი და იგი (მწერლობა) ისე მძლავრ ზეგავლენას ველარ მოახდენს ერის ცნობიერებაზე, როგორც წინათ. შესაბამისად, დაიკარგება (თუ უკვე არ დაიკარგა) მწერლის, როგორც ერის წინამძღოლის ფუნქცია. „ერის წინამძღოლობა" თავის თავში პოლიტიკურ მოღვაწეობას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩარევის შესაძლებლობასაც გულისხმობს. დღესდღეობით ეს ფუნქცია პოლიტიკურმა პარტიებმა იტვირთეს (როგორ ახორციელებენ პარტიები ერის წინამძღოლის ფუნქციას — ეს უკვე სხვა საკითხია), რაც უფრო ლოგიკურია ცივილიზებული ქვეყნისთვის, ხოლო მწერლობა (მისი გარკვეული ნაწილი მაინც), ერის წინამძღოლის როლს თამაშობს მხოლოდ და მხოლოდ და მისი მწერლურ-პოლიტიკური დანიშნულება უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა კვერის დაკვრით ან უფრო იშვიათად უძლური დაპირისპირებით იხატება.

ბევრიც რომ ვეცადოთ, ჩვენ ვერ გავიმეორებთ გასული საუკუნის სამოციანელთა — „ერის წინამძღოლთა" ფუნქციებს, თუმცა მათგან ბევრი რამის სწავლა დღესაც შეიძლება. მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელები მართლაც იყვნენ ერის წინამძღოლნი — რუსეთის იმპერიის ქართულ პროვინციაში, როცა ეროვნული პარტიის მოვალეობებს წარმატებით ითავსებდა ქართული მწერლობა.

ბევრიც რომ ვეცადოთ, ჩვენ ვერ გავიმეორებთ გასული საუკუნის სამოციანელთა — „ერის წინამძღოლთა" ფუნქციებს, თუმცა მათგან ბევრი რამის სწავლა დღესაც შეიძლება. მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელები მართლაც იყვნენ ერის წინამძღოლნი — რუსეთის იმპერიის ქართულ პროვინციაში, როცა ეროვნული პარტიის მოვალეობებს წარმატებით ითავსებდა ქართული მწერლობა.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში მწერლის „ერის წინამძღოლობა" უფრო მოჩვენებითი იყო და პროპაგანდისტული; მაშინ სამშობლო, ერთდროულად, საქართველოც იყო და საბჭოთა კავშირიც, ასე რომ, საბჭოთა საქართველოში „ერის წინამძღოლის" სახელით კეთდებოდა კარგი და ავი საქმეებიც (ავი ჭარბობდა მაინც).

ქართულმა მწერლობამ შეინახა და გადაარჩინა ეროვნული ცნობიერება, ეროვნული იდეა და ამ დამსახურებას ვერავინ დააკნინებს. დღევანდელ ვითარებაში მწერალს კვლავ დარჩა ფართო ასპარეზი, კერძოდ, პუბლიცისტიკით, მხატვრული სიტყვით (მართალია, საზოგადოებრივ საწყისებზე, უჰონორაროდ) ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ამ ასპარეზს კი დღეს ქართველი მწერლები ისე ვერ იყენებენ, როგორც სამოციანელები მეცხრამეტე საუკუნეში. ამის მიზეზი უფრო ღრმა შრეებშია საძებნი და საამისოდ, ამჟამად, ვერ მოვიცლი.

დროთა განმავლობაში — ამ სამმა სიტყვამ — „მწერალი — ერის წინამძღოლი" — მრავალი მიზეზის გამო, ერთგვარი დევალვაცია განიცადა და ცალკეულ შემთხვევაში გაშარჟდა კიდეც. დღეს, ჩემთვის, ცხადზე ცხადია, რომ მწერალი ერის წინამძღოლად შეიძლება იქცეს მხოლოდ თავისი მწერლობით და არა პოლიტიკური ამბიციებით. თუ ერის წინამძღოლობა გსურს, ერის ინტერესებს უნდა იცავდე. ერის ინტერესებს თუ უარყოფ და ამავე დროს ერის წინამძღოლის პრეტენზია გაგაჩნია, ვერაფერს მიაღწევ, გარდა საკუთარი თავის გაშარჟებისა. ეროვნულობით თამაშმა ლიტერატურასა და პოლიტიკაშიც მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა. ფსევდოეროვნულობის კულტმა, გაფეტიშებამ არარად აქცია საერთოდ ეროვნულობის იდეა და ნიჰილიზმი გაბატონა ჩვენში, რომელიც უფრო დამღუპველია, ვიდრე „აგრესიული ნაციონალიზმი".

არასოდეს გამაჩნდა „ერის წინამძღოლობის" პრეტენზია, თუმცა ამგვარი პრეტენზიებით შეპყრობილი არაერთი მწერალი მინახავს. მსგავსი სურვილი არ გამაჩნდა ორი მიზეზის გამო: 1. ამ გზაზე დამდგარი კაცი, თანდათან, ძალაუნებურად, უნდა ჩამოსცილდეს მწერლობას, მე კი მიმაჩნია, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობით, ხმაურის გარეშე უფრო მეტი საქმის გაკეთება შემიძლია. 2. მასები რომ აიყოლიო და წინ წარუძღვე, უეჭველ წარმატებაში უნდა იყო დარწმუნებული, ამგვარი პასუხისმგებლობა კი ძლიერმა ადამიანებმა უნდა იტვირთონ. მე გამოუსწორებელი ინდივიდუალისტი ვარ და საამისოდ არ გამოვდგები. ამასთან, ყოველთვის მაკვირვებდა, თანამედროვე „ერის წინამძღოლთა" გაბედულება, თავს ელოთ ასეულ ათასების (იქნებ მილიონების) მეგზურობა (გაიხსენეთ ბრეიგელის „ბრმები").

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო დროს წიგნი კარგავს მკითხველს (არა მხოლოდ სიდუხჭირის გამო), ძირითადად იმ მკითხველს, ვინც აღიზარდა პატრიოტული ლიტერატურის ტრადიციებზე და რომელმაც პატრიოტულ გრძნობათა თუ სურვილთა რეალიზაცია ვერ მოახერხა უახლეს პოლიტიკურ ვითარებაში. გაუცხოება მწერალსა და მკითხველს შორის უეჭველად უნდა მომხდარიყო. მწერალიც და მკითხველიც უნდა დაფიქრდეს, როგორ იპოვნონ ერთმანეთთან მისასვლელი ახალი გზები.

მწერლობა შიშველი პატრიოტიზმი რომ არ არის, ეს ჩემთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ისე დიდხანს გრძელდებოდა მასების გამოთაყვანება მხოლოდ ერთი, ახირებული თემით — სამშობლოს „სიყვარულით", რომ ლამის პროფესიად იქცია ზოგმა მწერალმა „სამშობლოსმოყვარეობით" თავმომწონეობა; ასეთ პოპულისტურ, ხშირად კი სპეკულაციურ თამაშს უეჭველად უნდა მოჰყოლოდა ეროვნული ნიჰილიზმის ჩიხი, რაც ყველაზე სამწუხაროა, ახლადგამოჩეკილ თაობათა ერთი ნაწილი ხელაღებით უარყოფს ყოველგვარი ქართული კულტურის არსებობას.

ლიტერატურას, რა თქმა უნდა, გააჩნია ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება კი არა, მე ვიტყოდი, ზნეობრივ-აღმზრდელობითი ზეგავლენის უნარი. არც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები არ იწერება თვითმიზნური პედაგოგიური დანიშნულების თანხლებით. დიდაქტიკურ-მორალისტური მწერლობა ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა. ახლა სხვა გზები და სხვა მხატვრული ხერხებია მოსაძებნი.

ლიტერატურას, რა თქმა უნდა, გააჩნია ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება კი არა, მე ვიტყოდი, ზნეობრივ-აღმზრდელობითი ზეგავლენის უნარი. არც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები არ იწერება თვითმიზნური პედაგოგიური დანიშნულების თანხლებით. დიდაქტიკურ-მორალისტური მწერლობა ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა. ახლა სხვა გზები და სხვა მხატვრული ხერხებია მოსაძებნი.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ქართულმა მწერლობამ ვერ მოასწრო „იმ რთული და დრამატული პროცესების განჭვრეტა, რომლებიც ჩვენში წარიმართა". ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება" ფეხდაფეხ მოჰყვა 90-91 წლების იანვარ-თებერვლის მოვლენებს და ამ მოვლენების მიზეზებიცა და შედეგებიც მაღალმხატვრულად აისახა ამ რომანში. ახლახან გამოიცა ოთარ ჭილაძის „აველუმი" — მრავალმხრივ საინტერესო, თანამედროვეობის სულის მაძიებელი, შემნახველი და გადამრჩენი რომანი. ამ ორი რომანის გამოქვეყნება საყურადღებოა იმითაც, რომ მსგავს პრობლემატიკაზე შეიქმნა ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ეპიკური სამყარო, ასევე განსხვავებული მხატვრულ-ესთეტიკური ხერხებით. არანაკლებ საინტერესოა ბოლო წლებში გამოქვეყნებული რამდენიმე პოეტის სხვადასხვა პუბლიკაცია.

რაც ჩვენში მოხდა (დეკემბერ-იანვრის მოვლენებს ვგულისხმობ), იყო შედეგი ჩვენივე დანაშაულისა, ჩვენივე შეცდომებისა, დაუოკებელი სურვილისა — ნებისმიერ მსხვერპლის ფასად აგვეჩქარებინა დრო, შეიძლება უკიდურესად შეგვეცვალა პოლიტიკური სინამდვილე. ახლა იმის აღიარება, რომ თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა გარედან იმართებოდა, ჩვენ ვერ შეგვიმსუბუქებს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ანკესზე წამოვეგეთ და ყველა მახეში საკუთარი სურვილით გავებით. ყველა ანკესს და ყველა მახეს, გარეთაც და შიგნითაც, თავისი იდეოლოგები ჰყავდა: ცნობილი და დაშინებული ხალხი კი ბრმად იქცა, ბრბოს მართვა ადვილია, ერის, ხალხის მართვა უფრო რთულია.

თანდათან ვბრუნდებით იმ ფუნქციებს, იმ თვისებებს, ერს რომ გააჩნია, თუმცა დემოკრატიზაციის პროცესი მოულოდნელ და უჩვეულო პრობლემებს ბადებს. სიმძიმის ცენტრმა კუჭისკენ გადაინაცვლა და თავდაყირა დადგა ყველაფერი. ყოველდღიური საზრუნავით დამძიმებულ ადამიანებს აღარ სცალიათ ამაღლებულზე დასაფიქრებლადაც კი, პოლიტიკური ვნებათაღელვა აღებმიცემობით გაჩაღებულმა აჟიოტაჟმა შეცვალა. ახლა ყველა გზა ლართან მიდის...

გაუცხოებას და გათიშულობას, სასოწარკვეთას და უმომავლო ყოფას დღევანდელობა ჯიუტად ამკვიდრებს. ჩემთვის თანდათან უფრო გასაგები ხდება აბსურდულის განცდა და აბსურდულობის მნიშვნელობა. ფეოდალური ცნობიერების ტრადიციები — რაინდული სულისკვეთება, იდეალისთვის თავგანწირვა და კიდევ მრავალი სხვა რამ ახალი თაობის წარმომადგენელთა თვალში გაშარჟებულ ანაქრონიზმად იქცა. სამაგიეროდ, ყოველ ნაბიჯზე ვხვდები კამიუს მერსოს მაგვარ ადამიანებს, სულაც რომ არ არიან გამოგონილი პერსონაჟები და რომლებიც მშვენივრად იცნობენ საკუთარ მშობელს — ანუ აწმყოს, ერთადერთ რეალურ დროს; ამავე დროს, იციან, რომ გზის დასასრული გარდუვალი სიკვდილით მთავრდება და ამიტომაც უმომავლოდ და უწარსულოდ არჩევენ ცხოვრებას მხოლოდ კონკრეტულ დროში — აწმყოში.

ჩვენი მცდელობა — დაგვენგრია არსებული რეალობა და დაგვეჩქარებინა ახალი სინამდვილის მშენებლობა — საკუთარი სულის ნგრევით დამთავრდა. სულის კრიზისი, რაც დასავლეთის მოურჩენელი სენია, საბაზრო ეკონომიკის ფონზე ჩვენშიც ვრცელდება დიდი „წარმატებით" და ზოგჯერ მას უფრო შევიწროებულად, ვფიქრობ, შეცდომით, კულტურის კრიზისს უწოდებენ. სულის კრიზისი, სხვა მრავალ რამესთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, კულტურის კრიზისსაც მოიცავს.

ნებისმიერი ტრანსცენდენტურობის არსებობის ხელაღებით უარყოფამ და პრაგმატიზმის გაბატონებამ, შეიძლება, საზოგადოების ერთ ნაწილს მატერიალური კეთილდღეობა მოუტანოს, მაგრამ აუცილებლად შეჰყრის ყველაზე მძიმე სენს — სულის, სულიერების კრიზისს.

ყველა ჭეშმარიტება, გარკვეულწილად, სიმწრის თუ სიმკაცრის შემცველია და არ ტოვებს ადგილს ილუზიებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსიც ზედმეტი სამკაულების გარეშე აღწევს პოეტურ სიმაღლეს; ჰერაკლიტეს სიტყვებიც, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, შეკამათების არა, მაგრამ აზრის გაგრძელების სურვილს მაინც ბადებს. წარსული შემოქმედებს ჩვენზე, რა დოზით, არ ვიცი, მაგრამ როგორღაც ცვლის აწმყოს, ისევე, როგორც „აწმყო ცვლის წარსულს". ნუთუ მხოლოდ აწმყოა დროის ყველაზე უფრო რეალური მონაკვეთი — მარადმცოცავი, მარადმედინი, მარადცვალებადი?! მაშ, რად უთხრა მომაკვდავმა შოპენჰაუერმა გრიზებახს: „თუკი ზოგჯერ ვრწმუნდებოდი იმაში, რომ უბედური ვიყავი, ეს იყო სრული გაუგებრობა და შეცდომა. მე ჩემს თავს იმად არ ვთვლი, რაც ვიყავი". რა გამოსჭვივის ამ სიტყვებიდან: სინანული თუ სიამაყე?! ახლა ამის გარკვევა ძნელია, მაგრამ იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ ჩვენზე გამუდმებით ზემოქმედებს წარსული, ანუ ჩავლილ აწმყოთა მთლიანობა. რა კვალს ტოვებს ჩვენს სულში, საით გვიბიძგებს იგი ხვალ და რისი კეთებისთვის აღგვიძრავს სურვილს? ჩავლილი აწმყო ისე მძლავრადაა აღბეჭდილი ჩვენს სულში, რომ ზოგჯერ ვერც კი ვაცნობიერებთ, როგორ მართავს დღევანდელობას — სიყვარულით, შურისძიებით, იმედით, უიმედობით, შენებისა და ნგრევის წადილით. „მე ჩემს თავს იმად არ ვთვლიდი, რაც ვიყავი" — კვლავ მინდა გავიმეორო შოპენჰაუერის ეს სიტყვები იმათ გასაგონად, ვინც თავის თავს დიდი ხანია იმად თვლის, ვინც არ არის და არც არასოდეს იქნება.

კლასიკა მუდამ ახლებურად იკითხება. სწორედ ის გახლავთ კლასიკის ღირსება, რომ იგი მარადიულიცაა და ცვალებადიც. რამდენადაც იცვლება ჩვენი დამოკიდებულება კლასიკისადმი, იმდენად იცვლება იგი ჩვენთვის და მისი მნიშვნელობა სხვადასხვა კუთხით წარმოჩნდება სხვადასხვა დროში.

საბჭოური პერიოდის შემდეგ მეტადრე საჭიროა კლასიკის ახლებური წაკითხვა. არა მხოლოდ წაკითხვა, არამედ გაზრება, გათავისუფლება იდეოლოგიური კლიშეებისაგან. მით უმეტეს შესასწავლია უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე შექმნილი ლიტერატურული „პროდუქცია". ამ ზღვა მასალიდან საჭიროა მნიშვნელოვანი მხატვრული ტენდენციების გამოყოფა, მათი შეფასება, ცრუკულტების „ჩამოწერა", მახვილების ახლებურად დასმა. მწყინს ამის აღიარება, მაგრამ ბოლო წლების მოვლენებმა უკან ჩამოიტოვა არაერთი მწერალი და დღეს, ვგრძნობ, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ვერც აცნობს ადგილს ახალ დროს — ესეც მოსალოდნელი და ლოგიკური შედეგია.

ვისაც ჰგონია, რომ უკვდავება გარანტირებული აქვს და ქედმაღლობს უმნიშვნელო წარმატებების გამო, მინდა ბორხესის სიტყვები შევახსენო: „საბოლოოდ, პოეტის დიდება უსახელო თაობების გულმხურვალებასა და აპათიაზეა დამოკიდებული, იმ უსახელო ადამიანებზე, რომლებიც ბიბლიოთეკების სიმყუდროვეში სცდიან და ამოწმებენ მათ".

დღევანდელ ჩვენს ყოფას, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, იქნებ ვცდები, მაგრამ მაინც ასე მგონია, აბსურდის მეთოდი უფრო შეეფერება, ვიდრე რომელიმე სხვა. მე აქ იმ მწერლებს არ ვგულისხმობ, რომელთაც „თავიანთი ცხოვრება საკუთარ ხელოვნებას შესწირეს". სამწუხაროდ, რაც უფრო აბსურდულია ცხოვრება, მით უფრო ამაო უნდა იყოს. ასეთ ვითარებაში, კვლავ ვაღიარებ, რომ „ხელოვნება ამაო დიდსულოვნებაა".

იდეალურ სახელმწიფოზე ოცნებასაც ვერ გავბედავ, თუნდაც იმ ეგოისტური მოსაზრების გამო, რომ იქ პოეტის ადგილი არ დატოვა პლატონმა, ჩვენს დღევანდელ ქვეყანაში კი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, სულაც არ არის იდეალური, ბუნებრივია, რომ გასაქანი მიეცა აბსურდს. მე არ ვიცი, დილეტანტებმა დასავლეთის ლიტერატურული გამოცდილების გადმოღება სცადეს თუ ჩვენმა დღევანდელობამ შეუქმნა მათ ნაყოფიერი ნიადაგი. ორივე შემთხვევაში რალაც ახალი ხდება ჩვენში და ამ სიახლეს თან სდევს სულის კრიზისი.

არ შეიძლება ღმერთმებრძოლობამ, რწმენის უარყოფამ, ადამიანის ხვედრის ტრაგიკულობამ არ შვას აბსურდი, რომელიც წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით მეტად საინტერესო მოვლენაა, მაგრამ მაინც ჩიხია, საიდანაც სხვა გზა აღარ ჩანს, უკან დასახევი გზის გარდა. აბსურდის ადამიანმა თავიდან უნდა შეაკოწიწოს თავისი თავი, ხელახლა უნდა ირწმუნოს ღმერთი, რათა დაიბრუნოს ძველი ჰარმონია, რენესანსული სიმწყობრე, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ყოველივე ეს, გაურკვეველია. ტრაგედია მაშინ იწყება, როცა ადამიანი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს თავს და ყველაფრისგან თავისუფალია. სულის კრიზისის უმთავრესი მიზეზი თვით ადამიანშია საძებნელი.

მწერლისთვის საკმარისი არაა მხოლოდ აწმყოს დაემგვანოს, რადგან აწმყოც წარმავალია და ყოველ წარმავალ აწმყოში, ჩვენ რომ გვეძლევა სამოღვაწეოდ თუ საარსებოდ, გაბნეულია მარადისობის წუთები, რომელთა აღმოჩენა და ასახვა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე სიცოცხლის აზრის უარყოფა, დაცინვა და იგნორირება, ანუ საკუთარი უსუსურობის და უმწეობის თუნდაც მაღალმხატვრული მტკიცება.

17 აგვისტო, 1996წ.

## ლალი კეკელიძე

I

საბაგირო დაკეტილია.
ობის გემო აქვს
ახალ შამპანიურს.
წყვილები დგანან
და გამვლელებზე
ამოწმებენ
ბედნიერებას.
შენ ხარ პოეტი
ავანგარდისტი,
შენ უცხო ხარ
ამ ქალაქში
და მეც უცხო ვარ,
უცხოებს შორის.
მხატვრები ყიდიან
თბილისის ქუჩებს.
მე და შენ
არ ვართ ბედნიერები
და არ ვამოწმებთ
გამვლელებზე.
ჩემი შვილის
დახატულ სახლში
მინდა ვიცხოვრო.
თვალს არიდებენ
ბედნიერ წყვილებს.
მათ ენატრებათ ისე,
როგორც ბავშვებს
ნაყინი.
მე მინდა ვიჯდე
პატარა კაფეში
მთელი ცხოვრება
და ვწრუპავდე
ერთ ჭიქა კონიაკს.
პატარა გოგონა
ელოდება მამას,
რომელიც
აღარ ჩამოვა.
მამა კაცია
55 წლამდე,
მერე კი ნელ-ნელა
გაახსენდება,
რომ უნდა
დაბერდეს.
მე მინდა ვიყო
მათხოვარი,
ვიჯდე და ვიჯდე.
საბაგირო დაკეტილია.

II

მზე არის, მაგრამ
მე წვიმა მიყვარს.
სამი ძაღლი
უკვე დავმარხე.
ალმართი,,რომელიც
მჭირდებოდა,
აღარ მჭირდება.
მე ვენატრები ჩემს
ალმართს და
ტურისტივით ვისმენ
შენს საუბარს.
ექსკურსია მოსაწყენია,
რადგან ჩვენ ვგავართ
ყველანი ერთმანეთს.
ჩვენ ან ვშიმშილობთ,
ან გვშია.
ხო, ის ჩამოვა,
მაგრამ მე არასოდეს
აღარ ვიქნები.
წავალ და ვიცხოვრებ
ჩემი შვილის
დახატულ სახლში.
მე მენატრება
დაულეველი
3 მანეთიანი
წითელი ღვინო ..
და
მე მახსოვს ის ღამე.



* * *

პროპორციულად
აგებულ სამყაროს
ვუმზერდი.
ზევიდან იუველირი
დამყურებდა.
მუჭაში მეყარა
მზესუმზირა.
მზესუმზირა უმზერდა
შემოდგომის მზეს,
შემოდგომის მზე
ირონიით ლექავდა
ფოთლების ყუნწებს.
ზამთარი იწყებოდა
ხვალ,
არა,
ზეგ.
დედამიწა,
უპატრონო ბავშვივით
სულ ქუჩაში ეგდო.
დრო ჩაატარეს
სიცილ — ხარხარით.
მხიარულმა და
სევდიანმა კლოუნებმა.
შემცივდა
და ჩემი მეგობრების
გაქცეული ქალაქი-პალტო
მოვიხურე.
ჩემი სულის
დახვრეტილი სარჩულიდან
იმზირებოდა
შემოდგომის მზე,
რომელიც ირონიით
ლექავდა ფოთლების ყუნწებს.
ქუჩაში იჯდა მათხოვარი,
ნაბიჯი შევანელე,
იქნებ ეს არის
მაცხოვარი, გავიფიქრე.
დრო ჩაატარეს
შავს და თეთრს შუა
და ის დამთავრდა,
ისე, როგორც
ერთი მუჭა მზესუმზირა,
რომელიც უმზერდა
შემოდგომის მზეს,
რომელიც ირონიით
ლექავდა
ფოთლების ყუნწებს.



### მაროკოს ფორთოხალი ანუ P. S.

სამყაროს ვწრუპავ კოქტეილივით
და ველოდები კოკტოს
,,ადამიანის ხმას‘‘.
სიჩუმეს ავიწყდება
ბოლო რეპლიკა
და იწელება პაუზა უსაქმური.
მაროკოს ფორთოხალი არომატულია.
და ჩემი ყოფნა
უხერხულია მაროკოს ფორთოხალთან.
გამებს მიყვებიან თითები
მუსიკის პაემანთან.
ჯოკონდას ღიმილით გამიღიმებენ
მიტოვებული ,,ალუბლის ბაღის‘‘
ახალი პატრონები.
და ჩეხოვის კომედია — სამყაროს
მომაწვდიან,
რომელსაც მოვწრუპავ
კოქტეილივით.
სად არ გაუკვირდებათ
მაროკოს ფორთოხლის გემო.
და შემომთავაზებენ
კოქტეილ —სიყვარულს.
კედელზე ეკიდება
ჟანგიანი თოფის ირონია.
სიზიფეს ლოდივით
ვზიდავ მოთმინებას.
სითხარტახავით
დავჯდები მდინარესთან
და დონკიხოტის
კინდერებს ავაწყობ.
გათენება შემომანათებს
და ის იქნება ლამაზი,
თურქული ხილივით.
მე გავიღვიძებ,
ავუწევ ხმას
ქუჩის ხმაურის მუსიკას
და გავუყვები.
სად არ ხარობენ
მაროკოს ფორთოხლები.
გავეჩხირები გამებს შუა,
თვალებში შემომხედავს
ბებერი დო
და ჟანგიანი, კედელზე
დაკიდული ჩეხოვის თოფივით
გამიღიმებს ირონიულად.
მე, მელნის საყიდლად
გამოხული,
ხარმსის ერთ-ერთი
პერსონაჟივით
ავირევი ნარცისთა ქალაქში,
სადაც ყიდიან
მხოლოდ ნარცისებს.
მელანი გატყდება
და მელნისფერ ღამეში
მე ვერ ვიპოვი
ჩაკარგულ სიტყვებს
და P.S.-ი
იქნება ცარიელი,
რომელიც ელოდა
ჩემს გახსენებას.
მე დამავიწყდება
რა დავივიწყე
ან რა მახსოვდა
და ნაცნობებთან
ან უცნობებთან
განშეორდება ერთი და იგივე,
რომელიც იდგება
ლენინის ძეგლივით.
მე სითხარტახავით
ჩამოვჯდები მდინარესთან,
დონკიხოტის კინდერებს
ავაწყობ
და მომენატრება
კოკტოს ,,ადამიანის ხმა‘‘.



17 აგვისტო, 1996წ.

# ჩიჩილაკად ქცეული ქალის ზღაპარი

პირველი გვერდიდან

— შენი თავი თუ გამომიგზავნა მაღალმა ღმერ-
არც იარაღს დაიშურებს ალბათო, — უპასუხა

— ისე, რომ დამტაცე ხელი და გამაქანე სახლ-
პატრონი მყავდა, გეკითხა! — უთხრა

— გზაზე ვდგევ, ვისთვის უნდა მეკითხა! —
ვაჟმა.

— არაფერიც არ ვდგევ, ჩემი ეზოს ყორეს
ნობდი! — გამოაცხადა ჩიჩილაკმა.

— ვურდნობოდიო! — გაეცინა ვაჟს — მაშინ
რდნობოდი, ახლა რა, ალბათ, ბედაურს მაჯე-

— მადლობის მაგიერი ხარო! — იწყინა ჩიჩი-
— შენისთანა იბოლი და იხერტიალი რო-
ვიდა ჩემისთანა ლამაზ ქალს, ერთი მითხა-

— ქალს თუ ჩიჩილაკსო?! — ვაჟმა.

— თუ გადამარჩენო... — მრავალმნიშვნელო-
ლაპარაკა ჩიჩილაკმა — შენს ხელში არა ვარ,
ვეჯმორო?!

— ნუ გამომიჭედე ყურები ჰახჰახით, ქალო!
რებით დაუცაცხანა ვაჟმა, გაჩერდა, ჩიჩილაკი
და ხის ძირას ჩამოჯდა.

— რატომ გაჩერდიო? — ჰკითხა ჩიჩილაკმა.

— დავიღალეო! — მოუჭრა ვაჟმა.

— რამ დაგღალაო! — გაწყრა ჩიჩილაკი —
სათიც არ იქნება, რაც მოვდივართო!

— შენ რა გენაღვლება, ზურგით დაგათრევო!
მოუვიდა ვაჟს.

— რა მენაღვლებაო?! — აღშფოთდა ჩიჩილაკი
ტანი დაბუჟებული მაქვს, გაკავებული და
ლი, შენ კიდევ მხართეძოზე გორაობ!

— მე ვგორაობო?! — გაცხარდა ვაჟი — უმა-
და მეტი არაფერი, შენი გულისთვის ჯადო-
ს შევებრძოლო, შენ კიდევ ერთ წუთს არ
ო!

— რას მამადლიო! — ითაკილა ჩიჩილაკმა —
გეშინია, მიმიყვანე მამაჩემთანო!

— კუნძულელთან ხომ არ მიმიყვანე, ბარელა-
— ვაჟმა.

— ჰო, კარგი, კარგიო... — ჩიჩილაკმა — დაიხ-
ვებატონოო!

რო იარა ვაჟმა თუ ცოტა იარა, განსაცვიფრე-
ადგილში ამოჰყო თავი. გარშემო კლდეები
ებოდა, ალაგ-ალაგ მიწა ბუყბუყებდა და
აქა-იქ ორთქლი ამოდიოდა. ვაჟი სიცოცხ-
ლაკს მიუყვებოდა, უცებ დაინახა ლამაზი,
რი ველი ბილიკზეა გართხმული. ვაჟი შე-
ნ დაიხია. გველი გვერდზე გაიწია, გზა დაუ-
ფეხაკრეფით ჩაუარა. გველს ცრემლი
და, დაიკვნესა. ვაჟი შეჩერდა, დააკვირდა.
ლაკმა ჰკითხა — რატომ გაჩერდიო?

— უხსენებელი წვალობს, — უპასუხა ვაჟმა —
დახეთმა, ტირის... ცოდოა, ეგეც ღვთის გაჩე-
ნახე რა ლამაზია, ოქროსფერიო...

ვმა ლოდის გადაგორება დაიწყო.

— დრო რომ იკარგება, მაგაზე არ ფიქრობ?
ა ჩიჩილაკმა.

— ერთი წუთის საქმეა, მეტის ხომ არაო! —
ვაჟმა.

— ხემი გულკეთილოო, — უთხრა ჩიჩილაკმა
რომ გეცეს და გიკბინოს, მე ვინღა გადამა-
?!

მა არაფერი უპასუხა, ქვას აგორებდა.

ლაკმა გააგრძელა — შენ ეგ მცურავი მო-
ლი მზეთუნახავი ხომ არ გგონია, ასე რომ
?

გაჩერდა, ჩიჩილაკს შეხედა, თქვა — მარ-
ეშენთან ხომ არ მიმეყვანეო?!

ლაკი გაჩუმდა. ვაჟმა ლოდი გადააგორა და
გაათავისუფლა. ოქროსფერი წამოიმართა და
— მოჯადოებული მზეთუნახავი არა ვარ,
ოგიერთ ლამაზებს იქნება ვჯობდე კიდევა-

გაგონებაზე ჩიჩილაკმა შესძახა — რას
ბიჭო, წავიდეთო!

— მოიცაო! — დაუცაცხანა ვაჟმა და გველს
— ხომ არ იცით აქ სადმე ჯადოქარი
ბდესო?

ცხოვრებით სადა ცხოვრობს არავინ
ტა ხნის წინ ჩაიარა აქ, ისე გადაჭდა კლდე-
იარა და ლოდმა დამიტანაო, — უპასუხა
— მადლობას გწირავ, წამოდი, ისეთი ფარ-
ქამარ-ხანჯალი მოგცე, წინ ვერაფერი
ო...

ლი გამოქვაბულში შეძვრა, ვაჟი შეჰყვა და
მოვიდა აბჯარასხმული და შეიარაღებული.
გველი კუდის ქნევით დაემშვიდობა.

დის და მიდის ვაჟი კლდეებში, მიდის და
ზურგზე ჩიჩილაკი ჰკიდია.

— რატომ გაჩუმებულხარო? — ჰკითხა ვაჟმა.

როცა გელაპარაკებოდი, მეჯავრებოდიო,
ა ჩიჩილაკმა.

მეჯავრებოდიო? — დაფიქრდა ვაჟი —
ს იტყოდი, თორემ... არა, ილაპარაკე, მე კი

გითხრაო? — ჩიჩილაკმა.

ე კარგი, ტკბილი და საამურიო — ვაჟმა.

რა ვითხრა კარგი... დედ-მამა გამახსენდა,
— დანაღვლიანდა ჩიჩილაკი — ეჰ,
უშნო ვყოფილიყავიო...

უმდ ვაჟმა უზარმაზარი ძვლები, ვებერთე-
დაინახა და შესძახა — ერიჰაა! ეს რა

რა მოხდაო? — ჩიჩილაკმა.

და აქაურობა დახრული ძვლებითაა მო-
— უთხრა ვაჟმა — თან იმხელა ძვლებია,

დევების ბუნაგიაო? — მიხვდა ჩიჩი-

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კლდის
ველებელი სამთავიანი დევი დაინახა. იქვე
ყო ხეზე მიბმული.

მაშ! სამთავიანი! თანაც იმხელა, იმხე-
ლა, რომ... ვაი, დედაო! — თქვა ვაჟმა ჩურჩულით — სუფრა გაუშლია... ვიღაც კაცი ხეზე ჰყავს მიბმუ-ლიო...

— უნდა შეჭამოსო?! — აღელდა ჩიჩილაკი.

— აბა, მე რა ვიციო? — ვაჟმა — იქნება ამხანაგია, იქნება ხუმრობით მიაბაო!

— ეგ ისეთივე ამხანაგი იქნება, როგორიც მე ჩიჩილაკი ვარო... — თქვა ჩიჩილაკმა ჩუმად — უთუ-ოდ შეჭამს... შველა უნდაო...

— ქალო, ყველას მე ხომ ვერ გადავარჩენო?! — ვაჟმა.

— შენ თუ არ გადაარჩენ, ვინ გადაარჩენსო? — კიდევ უფრო ჩუმად თქვა ჩიჩილაკმა.

— ვინმე ჩამოივლისო, — დაამშვიდა ვაჟმა.

— კი, როგორ არა, რიგი დგას ამ საცოდავის გადასარჩენადო... — ჩაილაპარაკა ჩიჩილაკმა — დევის შეეშინდა... რა კეთილი ხარ, მომაკვდავი უხსე-ნებელი გადაარჩინე, ცოცხალი ადამიანი კი დევის ხახაში დატოვეო...

— რა ვქნა, ჯერ შენა მყევხარ დასახსნელიო! — თავი იმართლა ვაჟმა — ჯადოქარს დავამარცხებ და მერე ამასაც ვუშველიო!

— და ეს კაცი მოგიცდის აქ, დაგხვდება სალ-სა-ლამათიო! — მწარედ ჩაეცინა ჩიჩილაკს — ეჰ, შენ ვერც ჯადოქარს გაუმკლავდები, ასეთი მხდალი, მში-შარა, ლაჩარი და ქალაჩუნაო!

— არა ვარ მე ქალაჩუნაო! — შესძახა ვაჟმა, იშიშვლა ხმალი და მიიჭრა დევთან — დევო, ერთი აქეთ მოიხედეო!

— ეს რა ჭრიჭინებს მანდაო? — გაოცდა შუა თავი.

მარცხენა თავმა გაიცინა, წაილღინა — ჭრიჭი-ნობელა პაწია ხმალლით არყის ყანწია...

— ვახშამიც თავის ფეხით მოსულაო! — გაიწ-ლამუნა პირი მარჯვენა თავმა.

— მე თქვენ გაჭრიჭინებთ ახლაო! — ვაჟმა დევს ფეხში ხმალი შეურჭო. გამწარებული დევი წამოვარდა.

— ცერა თითით გაგაბრტყელებ, შე უდღეუ-როო! — დაიღრიალა შუა თავმა.

— აფერუმ! ჭრიჭინას ნესტარიც ჰქონიაო! — ისტიბარი არ გაიტეხა მარცხენამ.

დაიწყო ბრძოლა. დევი ძირფესვიანად გლეჯდა ხეებსა და კლდეებს. ვაჟს უშენდა, ცდილობდა მის მოხელთებას, მაგრამ ვაჟი მარჯვედ უსხლტებოდა. დევი გაგიჟდა.



— მარცხნიდან დაუარეთ, ბრიყვებოო! — ცოფები გადმოჰყარა შუა თავმა.

— დაუარე და დავლურიც დაუკარი, თუ ეგეთი მაგარი ხარო! — არ შეარჩინა მარცხენამ.

— თქვენი ბრალია, სარმა უნდა გამოგვედო, არ დამიჯერეთო! — მარჯვენამ.

ვაჟმა მარჯვენა თავს მიმართა — სამში უფროსი თქვენა ბრძანდებითო?

— ეგ კი არა, მე ვარ, მეო! — აბღუვლდა შუა თავი.

— უფროსი არა, ბელადიო! — მარცხენამ — სასიქადულოო!

მარჯვენა თავი გაიბადრა, დაიბუხუნა — ისე, ერთი კოლექტივი კი ვართ, მაგრამ მაინც მეო...

— მაგრამ ხელმძღვანელი თქვენ უნდა იყოთო, — გააწყვეტინა ვაჟმა — როგორც ყველაზე მსუნაგი, ესე იგი, ყველაზე ღირსეულიო!

— რაო?! — დაიღრიალა შუა თავმა — უფრო-სი მე ვარ! მსუნაგი ღირსეულიო!

— შუაში დასკუპდი სოკოსავით და ამიტომ?! — ხმა აიმაღლა მარცხენა თავმა — სადაც სამართა-ლია, მთავარი მე უნდა ვიყო, პოეტი ვარ, შემოქმე-დიო!

— მე ვარ მთავარიო! — მარჯვენამ — არ გაუშვა, დაიჰი, დაიჰი!

— ლექსი დავწერეო! — მარცხენამ — ჭრიჭინა შემხვდა ტაიჰა, შტერი ყვიროდა, დაიჰა!

— შტერიცა ხარ და მუდრეგიცო! — გაალმა-სდა მარჯვენა თავი, უნდოდა მარცხენასთვის ცხვირ-ზე ეკბინა, მაგრამ ვერ მოახერხა, მარცხენამ გაწევა მოასწრო და მარჯვენას ენა გამოუყო. შუა თავი გაცოფდა, ჯერ მარცხენას ხეთქა შუბლი, მერე მარ-ჯვენას.

— ბრიყვებო, ხმა გაიკმინდეთო! — დაიღრიალა შუა თავმა.

— ბრიყვიცა ხარ და ნაბრიყვალიცო! — მარცხენამ.

— ბრიყვი თავი გაბიაო! — მარჯვენამ.

მარჯვენა და მარცხენა თავებმა ერთდროულად უკბინეს შუა თავს ორივე მხრიდან. ვაჟმა ამით ისარ-გებლა, დევს კოჭებზე ხმალი გადაუსვა, დევი მიწაზე დაეცდო და აფართხალდა.

— ბეჩა! მუესები გადამიჭრა ამ შერჩვენებულმაო! — აღმოხდა შუა თავს.

— ვაი! — დაიყვირა მარჯვენამ.

— ვუი! — დაიყვირა მარცხენამ.

— ახლა სათითაოდ წაგაყრევინებ მაგ ბილწ თავებს, შე მურდალო დევოო! — უთხრა ვაჟმა, გულში ხმალი უნდა ჩაეცა, მაგრამ დევი შეევედრა, შემიწყალეო.

— ოღონდ ნუ მომკლავ... ლოჯებს დავიძრობო, — თქვა შუა თავმა.

— ადამიანს აღარ გავეკარებით... — თქვა მარცხენამ.

— ბალახის ჭამას დავიწყებთ... — თქვა მარჯ-



ვენამ.

ვაჟი დაფიქრდა.

— კარგი, აგრე იყოსო! — დაეთანხმა.

თავები მთელი ძალით შეასკდნენ ერთმანეთს და ეშვები დასცვივდათ.

ვაჟმა უბრძანა — დაალეთ პირებიო!

დააღჩინეს. ვაჟმა ჩაჰხედა.

— რა სუნი გდით, რაო! — დაიმანჭა ვაჟი — კბილებს ხეხვა უნდა, არ იცოდით?! კარგი, ახლავე მოსწყდით აქაურობასო!

გაფოფხდა დევი.

— ბოჩოლო! — დასცინა მარცხენა თავმა მარჯვენას.

— ერთი შენა მყავხარ რა... ზვიგენიო! — ჩიფ-ჩიფით უპასუხა მარჯვენამ.

— ხმა! კრინტიო! — დაიღმუვლა შუა თავმა.

დევი თვალს მიეფარა. ვაჟი ხეზე მიბმულ კაცთან მივიდა, თოკი უნდა შეეხსნა, მაგრამ უეცრად თოკი თავისით ჩამოვარდა. კაცმა ხელი დაჰკრა, იელ-ვა და ვაჟის ფარ-ხმალი გაქრა, თითქოს არც ყოფი-ლაო. განცვიფრდა ვაჟი, გაოგნდა. დაბნეულმა ჰკითხა — ვინა ბრძანდებითო?!

— ვისაც ეძებდიო — უპასუხა კაცმა და ჯადოქრის მოსასხამში გაეხვია.

— ის ჯადოქარი ხარო?! — გაშტერდა ვაჟი.

— დიახ, ბატონო, — მშვიდად მიუგო ჯადოქარმა.

— კი მაგრამო... — ვაჟმა აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— რა, შებრძოლებას ხომ არ მიპირებო? — გაეღიმა ჯადოქარს.

— მე... არა... მე თქვენი გადარჩენა მინდოდა, მეგონა, დევს უნდა შეეჭამეთ... — უთხრა ვაჟმა — თუ ჯადოქარი ხართ, დევს რატომ არ მოუგზმარეთო?!

— ამ იდიოტებთან? უბრა მაკლია! ეგრე უნდა მაგ დოლბაიებსო! — თქვა ჯადოქარმა — გამოგცადეო...

— გამომცადეთო? — ვერ გაიგო ვაჟმა.

— კარგად იბრძოდი, მომეწონაო, — უთხრა ჯადოქარმა.

ვაჟმა ჩიჩილაკი მოიხსნა ზურგიდან, ჯადოქარს აჩვენა და უთხრა — ერთი სათხოვარი მაქვს, ადამიანის სახე დაუბრუნეთ, კეთილი ჯადოქარი ყოფილხართო...

— კეთილი არა ვარ, სამართლიანი ვარო, — თქვა ჯადოქარმა — თავის ბრალია, გულქვა იყო ქალბატონი და იმიტომაც დაისაჯა... შენ კი ვაჟკაცურად იბრძოდი, კაცი დაიხსენი, მაგრამ მაგას ვერ ვუშველიო...

— კი მაგრამ, რატომაო?! — ჰკითხა ვაჟმა სასოწარკვეთით.

— ისეთი ჯადო დავადე, მხოლოდ თვითონ თუ აიხსნის, თვითონო! — უპასუხა ჯადოქარმა.

— და როგორ უნდა აიხსნასო?! — ვაჟმა.

— ეგ მე არ ვიცი. - თვითონ უნდა მიხვდეს, თვითონ უნდა გახდეს... თვითონ... და ეშველებაო... — თქვა ჯადოქარმა და გაქრა.

ვაჟმა ჩიჩილაკი ხელში აიყვანა პატარა ბავშვივით და შინისკენ მიმავალ გზას დაადგა დამწუხრებული.

– მიდის და მიდის ვაჟი, მიდის და მიდის, ხელში ჩიჩილაკი ჰყავს.

— ხომ გაიგე, რა თქვა ჯადოქარმაო — უთხრა ვაჟმა.

— გავიგეო — უპასუხა ჩიჩილაკმა.

— ყველაფერი შენზეაო... — გააგრძელა ვაჟმა.

— და რა ვქნა, რაო... — აქვითინდა ჩიჩილაკი — ერთი შტერი ქალი ვარ, რა ვქნა, რა მეშველებაო...

— ნუ სტირი, გვეშველებაო... — დაამშვიდა ვაჟმა — იმედით ცოცხლობს ადამიანიო...

იარა ვაჟმა, იარა და თვალუწვდენელ ჭაობს მიადგა. ჭაობი ცოცხალივით სუნთქავდა, ირწეოდა და თახთახებდა.

— რამხელა ჭაობიაო! — გაოცდა ვაჟი.

— ვიღაც ყვირისო! — ჩიჩილაკმა.

ვაჟმა მიაყურადა... ჭაობის შუაგულიდან სუსტი ძახილი შემოესმა — მიშველეთო!

— არ გესმისო?! — აღელდა ჩიჩილაკი — იხრჩობა ვიღაცო!

— შველას ითხოვსო! — დაუდასტურა ვაჟმა.

— უნდა გადავარჩინოთო! — შესძახა ჩიჩილაკმა.

— უნდა გადავარჩინოთო! — დაეთანხმა ვაჟი.

— ჭაობმა რომ ჩაგვითრიოსო? — ჰკითხა ჩიჩილაკმა.

— არ ჩაგვითრევსო... — უპასუხა ვაჟმა.

— არ გეშინიაო? — ჩურჩულით ჰკითხა ჩიჩილაკმა.

— მეშინიაო, — გამოტყდა ვაჟი — მაგრამ უნდა გადავარჩინოთო!

— გადავარჩინოთო... — ჩაილაპარაკა ჩიჩილაკმა.

ვაჟი ჭაობში შევიდა, ძალიან ნელა და ფრთხილად მიიწევდა წინ, ტალახში ეფლობოდა, მაგრამ არ ჩერდებოდა.

— მეშინიაო! — შეჰკივლა უცებ ჩიჩილაკმა — უკან გავბრუნდეთო!

— რას ამბობო! — საყვედურით უთხრა ვაჟმა.

— ჩვენც რომ დავიღუპოთო?! — ჩიჩილაკმა.

— ადამიანი იხრჩობა, როგორ დავტოვოთ?! — ვაჟმა — ერთი წამის წინ სხვას ამბობდიო!

— მეშინია, დავიღუპებითო! — ხმა აუკანკალდა ჩიჩილაკს.

— არ დავიღუპებითო, — უთხრა ვაჟმა დარწმუნებით, შემდეგ დაამატა — და თუ გაგვწირა ღმერთმა, ერთად მოვკვდებითო...

— კარგი, მოვკვდეთ ერთადო... — თქვა ჩიჩილაკმა ჩუმად — მაგრამ კეთილი საქმისათვის ღმერთი არ გასწირავსო ადამიანს, ამბობენო...

როგორც იქნა, ვაჟმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ადამიანი იხრჩობოდა. დაინახა, ვიღაც ბიჭია ყელამდე ტალახში, ცოტაც და, ჩაყლაპავდა ჭაობი. ვაჟმა ჩიჩილაკი გაუწოდა ბიჭს და რის ვაივაგლახით ამოათრია, გამოვიდნენ სამშვიდობოს. ბიჭი მთლად გალუმპული იყო, აძაგძაგებდა.

— ბიჭო, რა გინდოდა ამ უბედურ ადგილას, როგორ მოხვდი ჭაობშიო? — ჰკითხა ვაჟმა.

— მწყემსი ვარ ძია, კრავი დამეკარგა, ვეძებდიო, — უპასუხა ბიჭმა — ჰგონა, გაყინული იყო ჭაობი და... ვაიმე, როგორ ... ...

— სულ მთლად გათოშილხარ, შე საწყალოო — უთხრა ვაჟმა და თავისი ტყაპუჭი გადააცვა ბიჭს, პერანგის ამარა დარჩა.

— დიდი მადლობა ძია, დიდი მადლობაო! — თვალები აუციმციმდა ბიჭს — ღმერთი გადაგიხდითო!

ბიჭი ერთ მხარეს წავიდა, ვაჟი მეორეს, ჩიჩილაკი ხელით მიჰყავდა.

უკვე ღამდებოდა, როცა ვაჟმა თავის ქოხს მიაღწია, ბარბაც-ბარბაცით მიდიოდა, თვალთ უბნელდებოდა. ლონემიხდილმა ძლივს დაანთო კერა და ტახტზე მიწვა, ავად იყო, აცახცახებდა, ჭაობის ციება დამართნოდა. კერაში ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა. ჩიჩილაკი იქვე კედელზე იყო მიყუდებული.

— ვაიმე დედა, როგორ მცივაო, — თითქმის ბოდავდა ვაჟი — მცივა, მცივაო...

— რითი გიშველო, რითიო... — ჩუმად მოთქვამდა ჩიჩილაკი — ვეწვეწები ნუ გცივა, გეხვეწები, გევედრები, გემუდარებიო...

ვაჟი ბუტბუტებდა — მცივა... ჭაობზე ყინვამ დამკრა... მცივა... შეშაც აღარა მაქვსო...

— ცოტაც მოითმინე, გათენდება, მზე ამოვაო! — ემუდარებოდა ჩიჩილაკი.

— ფეხები წამერთვაო... — ვაჟმა — ვკვდებიო?!

— არ მოკვდე, უშენოდ როგორ ვიყოო... — შეევედრა ჩიჩილაკი.

ვაჟი ერთ სიტყვას იმეორებდა მხოლოდ — მცივა, მცივა, მცივაო...

— მოითმინე, ცოტაც მოითმინე, იქნება ვინმე მოვიდეს, იქნება ის ბიჭი მოვიდეს და შეშა მოგვიტანოსო... — უსასოოდ ჩაილაპარაკა ჩიჩილაკმა და ატირდა.

— ვკვდებიო... — თქვა ვაჟმა და გონება დაკარგა.

— არ მოკვდე... მიყვარხარო! — უთხრა ჩიჩილაკმა, მაგრამ ვაჟს უკვე აღარაფერი ესმოდა.

ქოხში იელვა, ჩიჩილაკი ქალად იქცა, ვაჟს მივარდა, ეფერებოდა, მდუღარე ცრემლებით ტიროდა — როგორ გაგათბო, როგორ გიშველო, ერთი წამი მაქვს მხოლოდ და როგორ გიშველო ამ ერთ წამში, როგორ გაგათბოო...

ქალი აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ვერაფერს პოულობდა, რომ შეშად გამომდგარიყო. ცეცხლი მიინავლა, თითქმის ჩაქრა. უცებ ქალი შედგა ერთი წამით, კერიაში შეაბიჯა, ჩიჩილაკად იქცა. ცეცხლი მოეკიდა, ალი ავარდა, კერა აგიზგიზდა, იქაურობა განათდა...

– გათენდა. გაისმა მამლის ყივილი, ჩიტები აჭიკჭიკდნენ... ვაჟის ... ქალი იჯდა, თმები ჩიჩილაკივით ხვეულ... ჰქონდა, გრძელი და გაშლილი. ვაჟმა თვალი გაახილა, წამოიწია.

— იწექი, უნდა გამოზუშდეო! — უთხრა ქალმა და გაუცინა.

— უკვე მოვრჩიო! — შესძახა ვაჟმა, წამოხტა და ქალი გულში ჩაიკრა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!

# ახალი თარგმანები

ეჟენ იონესკო (1912-1995) „აბსურდის თეატრის" ერთ-ერთი დამაარსებელია. თავის გროტესკულ ფარსებსა და ალეგორიებში ობივატელს დასცინის, დასცინის მის გაცვეთილ სალაპარაკო ენას, განგებ ქმნის უაზრო, გაუგებარ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ წინადადებებს, მნიშვნელობას უკარგავს სიტყვას, გვიჩვენებს ადამიანის მარტოობას, სიცარიელეს, აბსურდულ ყოფას, მომაკვდინებელ ერთფეროვნებას.

პიესაში „მომავალი კვერცხებშია", იონესკო ცდილობს აჩვენოს, როგორ კარგავს საზოგადოებასა და მის კანონებს დამორჩილებული ადამიანი თავის იდენტურობას და იქცევა უსულო რობოტად, ავტომატურად ასრულებს იმას, რასაც მისგან საზოგადოება მოელის. საზოგადოება კი მისგან პროდუქციის შექმნას ითხოვს. იგი გვიჩვენებს, გრანდიოზული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ინდივიდუალობა დაკარგული ადამიანის სტანდარტიზაციას.

ფარდის ახდისას ჟაკი და რობერტა II ჩაცუცქულნი ჩახვევიან ერთმანეთს.

სიღრმეში, მარცხნივ, გრძელი მაგიდა თუ ფართო დივანი მოჩანს. მოგვიანებით იგი წიწილების გამოსაჩეკად უნდა გამოდგეს. სურათის ჩარჩოში, რომელიც კედლის შუაში ჰკიდია, პაპა ჟაკის პორტრეტია, ანუ თვით პაპა ჟაკი დგას შიგ. წიწილების გამოსაჩეკის ირგვლივ სკამები აწყვია. ისმის წვიმის ხმა.

დედა და მამა ჟაკები, დედა და მამა რობერტები, ჟაკლინი, დიდედა ჟაკი ჟაკი-შვილისა და რობერტას ირგვლივ დგანან, ზემოდან დაჰყურებენ, ერთმანეთს გადახედავენ, თავს აქნევენ, მხრებს იჩეჩენ და ბურტყუნებენ: „ისევ ისე არიან!" ერთმანეთის ალერსში ჩაფლული ჟაკი-შვილი და რობერტა მათ ვერ ხედავენ.

**რობერტა.** შა... შა...

**ჟაკი.** შა... შა...

**რობერტა.** შა... შა...

**ჟაკი.** შა... შა...

**რობერტა.** შა... შა...

**ჟაკი.** შააა... შააა!..

(რობერტა და ჟაკი კრუტუნებენ. ოთხივე მშობელი, დიდედა და ჟაკლინი უკმაყოფილონი არიან. ისმის მათ ხმა).

**მამა ჟაკი.** ეს უკვე მეტისმეტია...

**დიდედა ჟაკი.** ჩემ დროს ამდენი რამე საჭირო არ იყო...

**მამა რობერტი.** აჭარბებენ.

**დედა რობერტი** (ქმარს). ყველაფერი ჟაკის ბრალია.

**დედა ჟაკი** (ქმარს). ნამდვილად რობერტას ბრალი.

**შვილი ჟაკი** (ალერსში ჩაფლული). შშშააა... შშშააა...

**რობერტა და ჟაკი** (კრუტუნით). შშშააა... შშშააა...

**მამა რობერტი.** ეს უკვე თავის აგდებაა.

**ჟაკლინი.** მამა, ვერ ხედავ, ქუჩაში, მეტროში თუ სხვაგან, ახალგაზრდებს აღარაფრის ერიდებათ...

**დედა რობერტი.** ასეთი სპექტაკლის გამართვა, რობერტას ბრალი სულაც არ არის.

**დედა ჟაკი.** ჩემს შვილს ასეთი რამ თავში არ მოუვიდოდა.

**მამა ჟაკი.** სპექტაკლია თუ არა, ერთია მთავარი: ნაყოფიერება. ამ საქმეს კი სხეირო არაფერი ემჩნევა!

**დედა ჟაკი** (ქმარს). ცოტაც მოითმინე და მოსახდენი მოხდება...

**დიდედა ჟაკი.** პრაქტიკულები იყავით!

**დედა ჟაკი** (ქმარს). ნაყოფიერება არც შენ გაკლდა, მაგრამ აბა გაიხსენე, შედეგი უცბად არ მიგვიღია.

**რობერტა და ჟაკი** (ჩახვეულები). შშაა... რრრონ... რრრრონ... რონ...

**მამა ჟაკი.** ეს ამათ მაინც ვერ გაამართლებს...

**დიდედა ჟაკი.** სულაც არ ამართლებს.

**მამა რობერტი** (ცოლს). ამის უფლებას არ მივცემ!

**დედა რობერტი** (ქმარს). დამშვიდდი.

**მამა ჟაკი.** ჩუმად!

**დედა ჟაკი.** მუდამ ასეთი ბოროტი იყავი... და მაინც ასეთი კარგი ხარ!

**მამა რობერტი** (ცოლს). ეს დედა ჟაკი სულ ბლავის. კაცმა არაფერი არ უნდა ჰკითხოს.

**დედა რობერტი** (ქმარს). კარგს იზამს, ხმას თუ ჩაიწყვეტს.

**ჟაკლინიკო** (ცოლ-ქმარ რობერტებს). რა ბრძანეთ?

**მამა რობერტი.** არაფერი, მართალი თუ გნებავთ, მხოლოდ კარგი ვთქვით თქვენზე, ძვირფასო...

**რობერტა და ჟაკი** (კვლავ ჩახვეულ-ჩაცუცქულნი). შშშააა... რონ... რონ...

**დედა რობერტი.** რა საყვარლები არიან.

**მამა ჟაკი** (მამა რობერტს). სამი წელი გავიდა, რაც ქორწილი გადავუხადეთ. მას მერე ასე ჩაცუცქულან და დაუსვენებლად ირწევიან. ჩვენ ვდგევართ და ამაოდ შევცქერით. ასე არაფერი გამოვა! სწრაფი მოქმედებაა საჭირო.

**მამა რობერტი** (მამა ჟაკს). გიმეორებთ, ჩემი ქალიშვილი არაფერ შუაშია.

**მამა ჟაკი** (მამა რობერტს). იქნებ, ჩემი ბრალია? რა ქარაგმებით ლაპარაკობთ?

**დედა რობერტი** (მამა ჟაკს). გთხოვთ, ასე ნუ გაიგებთ!

**მამა ჟაკი.** რაღაც უნდა ვიღონოთ!.. ჟაკლინ, გამოიჩინე ინიციატივა...

ჟაკი და რობერტა (ისევ ისე). შშშააა!.. რრრონ... რრრონ... რრრონ...

**ჟაკლინიკო.** სულ ჟაკლინი და ჟაკლინი. რა ხელწამოსაკრავი მე მნახეთ!

**მამა ჟაკი** (მუქარით). ჟაკლინ! ჟაკლინ!

**ჟაკლინი** (თავს დახრის). მაპატიეთ, მამა.

**დედა რობერტი** (ქმარს). ამათ გამო ჩვენ კვლავაც ვიამაყებთ.

**ჟაკლინიკო** (მამას). გავიგე, მამა, კეთილი, მამა. როგორც თქვენ ინებებთ, მამა.

**დიდედა ჟაკი.** რა ყოჩაღი ბავშვია!




დედა ჟაკი. ჩემი ქალიშვილი ჩემი უდიდესი ნუგეშია!

**დედა რობერტი** (ქმარს). ამისი აღიარება კი ზედმეტი იყო.

**მამა რობერტი, დედა რობერტი, მამა ჟაკი, დედა ჟაკი, დიდედა ჟაკი** (ხელებს ჟაკლინისკენ იშვერენ. პაპა ჟაკი ჯერჯერობით ისევ უტყვი და უძრავია). ყოჩაღი ბავშვი! ყოჩაღი ბავშვი! ყოჩაღი ბავშვი!

**ჟაკლინიკო.** ჯერ ამათი დაშორება ვცადოთ, მერე უკეთ რომ შეერთდნენ! აბა, გეყოფათ კრუტუნი! (ორივეს ღონიერად ანჯღრევს. ჟაკი და რობერტა კრუტუნსა და ქანაობას წყვეტენ. თითქოს ღრმა ძილიდან უეცრად გამოერკვივნენო, გაოცებულნი უყურებენ ჟაკლინს. ძლივძლივობით დგებიან, მაგრამ მაინც ჩახვეულები არიან).

**ჟაკლინიკო** (იქით). ახ, ამ ქალს სამივე ცხვირიდან ჩამოხდის... (გადახვეულებს ჯოხით ცემს და დიდი გაჭირვებით დააშორებს ერთმანეთს). აბა... ასე... სწორად დადექით... (ჟაკისა და რობერტას მშობლები კმაყოფილები ბურტყუნებენ).

**შვილი ჟაკი.** მშია.

**რობერტა.** მშია.

**ჟაკლინიკო.** გამხდარხართ კიდეც.

**შვილი ჟაკი.** მცივა. ბრრრრ! მაკანკალებს.

(ორივე სიცივისგან კანკალებს).

**ჟაკლინიკო.** ესეც ასე...

**მამა ჟაკი.** ესეც ასე...

**შვილი ჟაკი** და რობერტა. მშია!

**დედა რობერტი.** საბრალო ბავშვები!

**მამა რობერტი** (ცოლს). ამ სახლში ბავშვებს საჭმელს არ აჭმევენ.

**ჟაკლინიკო.** მარტო თქვენს ფამფებზე ზრუნავთ, პროდუქციის წარმოებაზე კი არ ფიქრობთ; ეს ხომ თქვენი მთავარი მოვალეობაა.

**მამა ჟაკი, დედა ჟაკი, დიდედა ჟაკი, დედა რობერტი, მამა რობერტი.** ეს თქვენი მოვალეობაა!

**ჟაკი და რობერტა** (ერთმანეთს, ერთად). მართალია, ძვირფასო... ეს ჩვენი მოვალეობაა!

**მამა ჟაკი** (ჟაკსა და რობერტას). მერე?

**ჟაკი.** მშია.

**რობერტა.** მშია.

**დედა ჟაკი.** ოხ, ჩემო საბრალო წიწილებო, შიათ... ოხ...

**დედა რობერტი** (ქმარს). ამ ქალს კეთილი გული აქვს.

**მამა რობერტი** (ცოლს). გული ნუ აგიჩვილდება. არც რობერტები ვართ სხვაზე ნაკლები.

დიდედა ჟაკი (თეფშს მიაწვდის მათ, საიდანაც ხელით უნდა ჭამონ). აი, ჩემო პატარებო, ღორის ქონში შემწვარი კარტოფილი. (მშიერი ჟაკი და რობერტა კარტოფილს მივარდებიან).

**დიდედა ჟაკი.** ჭამეთ! ჭამეთ!

დედა ჟაკი. ჭამეთ!

ჟაკი (უცბად დაიმორცხვებს). არა... მე...

**ჟაკლინიკო** (ჟაკს). აღარა გშია?

რობერტა (ჟაკს). შშშააა... ჭამე! ჩემსავით ჭამე!

**ჟაკი.** მშია. (საჭმელს ეცემა).

**რობერტა.** ცოტა კიდევ მომეცით.

**მამა ჟაკი** (ცოლს). ეს ქალი ღორმუცელაა.

(დიდედა ქონში შემწვარ კარტოფილს კიდევ აძლევს)

ჟაკი (დიდედას). ცოტა ღორის ქონი კიდევ მომეცით.

**რობერტა.** ცოტა ქონი კიდევ. (აძლევს)

**ჟაკი.** ცოტა კარტოფილი კიდევ. (აძლევს).

**მამა ჟაკი.** საკმარისია.

**დედა ჟაკი.** ოხ!..

**მამა ჟაკი.** ვთქვი და გავათავე!

(დიდედა ჟაკი თეფშებს იღებს და მოშორებით დებს).

**მამა რობერტი** (ცოლს). სიძუნწის გამო უფრო მოსდით, ვიდრე — პრინციპის.

**დედა რობერტი.** ალბათ, პრინციპის გამოც!

**ჟაკლინიკო** (ჟაკსა და რობერტას). იცოდეთ... ამიერიდან თქვენი მუდმივი საზრუნავი პროდუქციის შექმნა უნდა იყოს.



**მამა ჟაკი.** ვატყობ, ჩემი ძალაუფლება უნდა გამოვიყენო.

**დედა რობერტი.** ჩვენცა გვაქვს რაღაც უფლება, გეთაყვათ.

**მამა ჟაკი.** თითოეულმა საკუთარი ძალაუფლება საჭიროებისამებრ გამოიყენოს!

**მამა რობერტი.** თანახმა ვარ.

**მამა ჟაკი** (შვილს). ჟაკ... ჩვენ გვინდა საზეიმოდ გამოგიცხადოთ! (შეიქმნება ორი ჯგუფი. ჟაკები შვილ ჟაკს შემოერტყმიან გარს, რობერტები კი — რობერტას, განზე გაჰყავთ და ელაპარაკებიან. დროდადრო ისმის რობერტას მორჩილი ხმა: „დიახ, მამა. დიახ, დედა...").

**მამა ჟაკი** (შვილს). ჟაკ! საშინელი ამბავი უნდა გაუწყო.

დედა ჟაკი (ტირის). ბეჰ! ბეჰ! ბეჰ!

**შვილი ჟაკი.** რა ამბავი, მამა?

**მამა ჟაკი.** შეხედე... დიდედას (ჟაკლინი დიდედას თავზე შავ რიდეს დააფარებს). ვერაფერს ამჩნევ?

**შვილი ჟაკი.** არა, მამა, ვერაფერს ვამჩნევ.

**ჟაკლინიკო.** კარგად შეხედე. ცოტა თავს ძალა დაატანე.

**შვილი ჟაკი.** ვერაფერსაც ვერ ვხედავ

დიდედა ჟაკი (ქვითინით). მე მთლად და... ლხული ვარ...

**შვილი ჟაკი.** რისი თქმა გინდათ?

**მამა ჟაკი.** აი, რაშია საშინელი ჭეშმა... ტება!.. ერთხელ მაინც რად არ იკითხე, რა... აღარ გესმის პაპაშენის სიმღერა?..

**ჟაკლინიკო** (სურათს აჩვენებს). და არც... რატომაა პაპაშენი იქ? ნაცვლად იმისა, რომ... იყოს, ჩვენს შორის.

(ჩარჩოდან პაპა თავს მეგობრული ღიმი... დაიქნევს).

**შვილი ჟაკი.** არცკი მიფიქრია.

**მამა ჟაკი.** არც ახლა არის გვიან, იფიქრე...

**შვილი ჟაკი.** ვფიქრობ.

**ჟაკლინიკო.** მერე და მოიფიქრე?

**შვილი ჟაკი.** ვერა.

**მამა ჟაკი** (შვილს). კარგად არ ფიქრობ... მაშინ მე მკითხე.

**შვილი ჟაკი.** რა გკითხო?

**მამა ჟაკი.** რატომ აღარ ისმის პაპაშენის სიმღერა?

**შვილი ჟაკი.** რატომ აღარ ისმის პაპაშენის სიმღერა? რატომ?

**მამა ჟაკი.** დიდედამ გითხრას.

**დიდედა ჟაკი.** იმიტომ, რომ პაპაშენი მოკვდა.

(შვილი ჟაკისთვის ყველაფერი სულერთია...)

**ჟაკლინიკო** (ჟაკს). პაპა მოკვდა (შე... რევს).

**მამა ჟაკი.** პაპაშენი მოკვდა (ი... ჰკრავს).

**დედა ჟაკი.** პაპაშენი მოკვდა (ი... ჰკრავს. ჟაკზე გავლენას მაინც არაფერი ახ... რობერტების კუთხიდან კი ისმის):

**მამა რობერტი.** პაპამისი მოკვდა.

**დედა რობერტი.** პაპამისი მოკვდა.

**რობერტა.** დიახ, მამა; დიახ, დედა.

**მამა ჟაკი** (შვილს). მაშ, ვერ გაიგე პაპაშენი რომ მოკვდა?

**შვილი ჟაკი.** არა, არ გამიგია.

**დედა ჟაკი** (სლუკუნით). შვილო, შე... რების სიმი ოდნავაც არ გერხევა. ხმა უნდა... რთოლოთ, ჩემო პატარავ.

(შვილი ჟაკი ჟაკლინს ხელებში ჩაუვარდება და ერთხანს უძრავადაა. ჟაკლინი ფეხზე... აჩერებს).

**დედა ჟაკი** (შვილს). აბა, იტირე, იტირე, ჟაკო, იტირე!

(ხიჩუმე. ჟაკი ერთბაშად ტირილს იწყებს...)

**მამა ჟაკი.** ბოლოსდაბოლოს აღსრულდა, აღსრულდა!

**ჟაკლინიკო.** აღსრულდა!

**შვილი ჟაკი.** ოოოოჰ! საბრალო პაპა... (გაჩერდება და იღიმება).

**დედა ჟაკი.** ისევ!

**შვილი ჟაკი** (გააგრძელებს). ... ოოოო! პაპილო!

დედა ჟაკი (ეხვევა მტირალ შვილს)... შვილიკო... როგორ იტანჯები!..

(ყველა ჟაკი ტირის. რობერტების მხრიდან ისმის):

**დედა რობერტი.** მიდი, სამძიმარი ... რი.

**მამა რობერტი.** მივიდეთ, ახლა ხომ ... თი ოჯახი ვართ.

**რობერტა.** დიახ, მამა; დიახ, მამა!

(ჟაკთან მისული რობერტა ყვირის):

**რობერტა.** გულითადი სამძიმარი!

**ყველა ჟაკი** (დიდედას გარდა, ერთად)... მოხარულნი ვართ. (მამა და დედა რობერტები... რობერტას: „ჩვენი გულითადი სამძიმარი").

**რობერტა.** დიდი მადლობა. მოხარული ვარ.

(სამივე რობერტი ახლა მამა ჟაკისკენ ... ნდება).

**სამივე რობერტი.** ჩვენი გულითადი სამძიმარი!

**მამა ჟაკი.** უსაზღვრო მადლობა ... ლით ვღებულობ.

**სამივე რობერტი და** მამა ჟაკი... და ჟაკისკენ მიბრუნდებიან და ერთად ამბობენ... მიიღეთ ჩვენი გულითადი სამძიმარი, სამძიმარი, სამძიმარი, სამძიმარი!

**დედა ჟაკი.** გმადლობთ. დიდად მადლობელი გახლავართ.

**სამივე რობერტი, დედა და მამა ჟაკები** (დიდედა ჟაკს). სამძიმარი! სამძიმარი! სამძიმარი! სამძიმარი! გულითადი სამძიმარი...

**დიდედა ჟაკი.** ათასი მადლობა! მადლობელი ვარ.

**სამივე რობერტი, სამივე ჟაკი** (ჟაკლინს). ჩვენი გულითადი სამძიმარი! სამძიმარი!

**ჟაკლინიკო.** გმადლობთ! გმადლობთ... გისამძიმრებთ! (ყველანი შემოერტყმიან ... ვებულ ჟაკ-შვილს და ერთად გაჰყვირიან: ... რი! გულითადი სამძიმარი!..").

**შვილი ჟაკი** (ტირის). პაპა! პაპა... გმადლობთ!

(როგორც კი მამა ჟაკი იტყვის: „... წყოთ მიცვალებული", მაყურებელს ყურს შეაქცევს, პაპის პორტრეტისკენ მიბრუნდება...)

...ვარიან: „სამძიმარი! სამძიმარი! სამძიმა-
...თადი სამძიმარი! სამძიმარი...“ უნდა გა-
...ეს მტირალი შვილი ჟაკის ხმა).
...ა ჟაკი (ჩარჩოდან ხელს ასწევს, ხალამს
...ა ასუხობს). სამძიმარი! სამძიმარი! სამ-

...ე ყველა ერთად, მათ შორის პაპაც, გაპყ-
...სამძიმარი! სამძიმარი! გულითადი სამძიმა-
...მარი!..“ პაპა ჟაკი ჩარჩოში გაშეშდება.
...ს პერსონაჟები ჟაკს შემოეხვევიან და ყვი-
...სამძიმარი! სამძიმარი! სამძიმარი! გულითა-
...მარი!.. ჟაკი ტირის, წაიქცევა, წამოაყენე-
...აზე დახვამენ).
...ლი ჟაკი (ღრიალით). ჰიიი! ჰიიი! ჰიიი!
...რი!
...ა ჟაკი (ყურებზე ხელს აიფარებს. მთე-
...უყვირის დედა ჟაკს, რომ შვილის ღრი-
...არობს). შენ ძალზე მძლავრად შეარხიე
...ა გააჩუმე!
...ლინიკი (უყვირის შვილ ჟაკს). გაჩუმ-
...ის განწყობილება ჩაუშხამე!
...ე ჟაკი ერთ-ორ სილას გააწნავს შვილ
...გაჩუმდება. ყველა, მამა ჟაკის გარდა, დედა
...რჩნდება და მიუმღერებენ)
...ბერტები. ოხ, გილოცავთ, ქალბატო-
...თა და გულით გილოცავთ.
...დედა და ჟაკლინი. ბრავო, ჟაკოტო,
...ედიკო, ბრავო!
...ა ჟაკი. გეყოფათ!
...ძრაობა შეწყდება. სიჩუმე)
...ა ჟაკი (შვილ ჟაკს). უფლება გაქვს და
...ეკის, გაიგო, რა გარემოში მიიცვალა
...ბარი.
...ა ჩარჩოდან რაღაცას ანიშნებს).
...ლინიკი. პაპას რაღაცის თქმა უნდა!
...ი ჩარჩოდან გამოვა და დანარჩენებს მიუა-
...ს). ეს კაცი, რაც მოკვდა, უფრო უკეთ
...ობს.
...ა ჟაკი (შვილ ჟაკს). აგერ, მოდის ხო-
...პაპა, რათა თავადვე გიამბოს თავისი გა-
...ების ამბავი.
...ბის სიჩუმე. პაპის მოახლოებისთა-
...ზე ხელს იჭერენ).
...ა ჟაკი (გაამაყებული, რაკი ყურს უგდე-
...დიდებულად მივიცვალე, ანუ გარდავი-
...წორედ მაშინ, როცა სიმღერით ვიყავი
... (სიმღერას აპირებს).
...დედა ჟაკი. ახლა სიმღერა არ წამოი-
...ბერი ხარ და უხერხულია...
...ა ჟაკი. მერე რა?.. მე სიმღერა მინდა...
...ა ჟაკი (პაპას). თუ შენ, შენს საკუთარ
...ის პატივს არ სცემ, არც სხვა გაიზია-
... ჩქარა, გვიამბე და მორჩი.
...ა ჟაკი. მხოლოდ სიმღერით!
...დედა ჟაკი. არა, შენ არ იმღერებ!
...ა ჟაკი. მაშინ არაფერსაც არ ვიტყვი.
...ც ვეღარ მიხილავთ! (თავის ჩარჩოს უბ-
...).
...დედა ჟაკი. მუდამ ასეთი ახირებული
...ფერს შეასმენდი.
...ა თავის ჩარჩოში შუბლს შეიკრავს, გაი-
... პიესის დასასრულამდე აღარც გაინძრე-

...ა ჟაკი (შვილს). ხომ ხედავ, შვილო,
...ვენად ყველაფერი ქრება!.. შენ ჩვენი
...ერთადერთი იმედი ხარ! შენ უნდა შეც-
...ლა, ვინც ჩვენგან მიდის. პაპა მოკვდა,
...ოს პაპას!
...ლა ერთად (თავგზააბნეულ ჟაკი შვი-
...ს). პაპა მოკვდა, გაუმარჯოს პაპას!
...ლი ჟაკი. რატომ?
...ა ჟაკი. ჩვენს მოდგმას გაგრძელება
... ჩვენს მოდგმას, თეთრების მოდგმას!
...ოს თეთრების მოდგმას!
...ლა (ჟაკის გარდა, ტაშს უკრავს და ყვი-
...მარჯოს თეთრების მოდგმას! გაუმარ-
...თრების მოდგმას!
...ა ჟაკი (შვილს). თეთრების მოდგმის
... შენს ხელშია. მისი არსებობა უნდა გა-
...ეს, ამაღლდეს და გავრცელდეს მისი ძლი-

...ლი ჟაკი. მე რა უნდა გავაკეთო?
...ლინიკი. იმისთვის რომ გაძლიერო,
...ა შეუშალო მის გაქრობას.
...ლი ჟაკი. რა საშუალებით?
...ა ჟაკი. პროდუქციის წარმოებით. ყვე-
... რაც კი გაქრობის პირასაა, უნდა შეიც-
...ხალი ნაწარმით, უფრო უხვით, უფრო
...ეროვანით. შენ უნდა შექმნა პროდუქ-

...ა ჟაკი (შვილს). შვილო, შექმენი პრო-
...ქენით რომ ვიამაყოთ!
...ბერტა შეწუხებულ სახეს იღებს).
...ა რობერტი. ჩემს ქალიშვილს ყველა-
...ვენიერად ეხერხება და ეს ოფიციალუ-
...ომიცხადებია.
...ა ჟაკი. ხო, ვიცი, სამი წელია არაფერი
... და...
...ბერტა უფრო დამწუხრებულია და ექსტ-
...ურ პოზებს იღებს)
...ა რობერტი (რობერტას). რას აკე-
... კარგო, ეს რა საქციელია? ასე როგორ
...? მიდი დედიკოსთან და გასწავლი, რომ
... ცოტაოდენი ხელოვნებაა საჭირო და...
...დედა ჟაკი. მეც მოვალ და ნანას ვუმ-

**დედა რობერტი** (მამა რობერტს). შენ სიძესთან დარჩები. თუ რამე ელემენტი დაგვჭირდა, დაგიძახებთ. (მამა ჟაკს) თქვენც დარჩით, თუ საჭირო გახდება, თქვენც დაგვეხმარებით.

**დედა ჟაკი.** თუ საჭირო გახდება, ელემენტები მეცა მაქვს შემონახული.

(რობერტა, დედა რობერტი, დიდედა ჟაკი, დედა ჟაკი მარჯვნივ გადიან. რობერტა მიდის, თან ექსტრავაგანტურ პოზებს იღებს. ჟაკს ბავშვივით ებრიცება სახე, თითქოს ტირილი უნდაო, რობერტასკენ იწვდის ხელებს და იძახის: „მმ...მმ...მმ...“).

**ჟაკლინიკი** (მიმავალ რობერტას უყურებს). უკვე დედობა ეტყობა.

(ჟაკი სავარძელში ჯდება).

**მამა რობერტი** (ჟაკს). აბა, ვნახოთ, რა ღირსება გაქვს.

**მამა ჟაკი.** შვილო, ჟაკ, გამხნევდი... მთავარია პროდუქცია! კაცურად მოიქეცი!

**ჟაკლინიკი** (ჟაკს). წადი! გაჰკარი.

(ჟაკი იმანჭება და უფრო მოხერხებულად ჯდება სავარძელში).

**მამა რობერტი.** კაცი არა ხარ? ოდესღაც ჩვენც ასე დავიწყეთ.

**მამა ჟაკი.** აბა, იჩქარე, თორემ ჩემთან გექნება საქმე.

**დიდედა ჟაკის ხმა.** როგორ მიდის თქვენთან საქმე?

**ჟაკლინიკი** (ძმას). გესმის? ვეღარ ითმენს, მიდი, გაჰკარი.

**ჟაკი** (ღრეჭით). ასე, ბრძანებით არ გამოვა... აღგზნებული არა ვარ და...

**დედა რობერტის ხმა.** ჩემს ქალიშვილს აღარაფერი დააბრალოთ.

**შვილი ჟაკი** (სავარძელში მჯდარი). გამოვა... ახლა ვიცი, რომ გამოვა...

**დიდედა ჟაკის ხმა.** ჟაკ, ცოტა ჩქარა... რობერტა რა ხანია მზადაა... მეტის მოთმენა აღარ შეუძლია.

**მამა რობერტი** (მამა ჟაკს). თქვენი შვილი, ბატონო ჩემო, ჩემი ქალიშვილისთვის არ ივარგებს.

**ჟაკლინიკი** (პაპის პორტრეტს). შენც ჩაერიე, პაპა.

**პაპა ჟაკი** (გაუნძრევლად, დამცინავად). მიმიფურთხებია... მე მაგ ქვეყანაზე აღარა ვარ... თანაც სიმღერა ამიკრძალეთ...

**ჟაკლინიკი** (პაპას). კარგი, გაჩუმდი.

**პაპა ჟაკი** (ბრაზიანად). მინდა გავჩუმდები, მინდა არ გავჩუმდები. რას ჰგავს ეს! ესაა მიცვალებულის პატივისცემა?

**შვილი ჟაკი** (მუცელზე ხელებს იჭერს). ვაი! ვაი! ვაი! ვაი!

**ჟაკლინიკი.** დედა, დედა, ბავშვივით იქცევა!

**მამა რობერტი** (ყვირილით). რობერტა... რობერტა... თავი დაანებე. მოვდივარ (გადის).

**დედა რობერტის ხმა.** თავი დაანებე, დაიწყე, ჩემო პატარავ...

**შვილი რობერტას ხმა** (ძალიან მკვეთრად). კა-კა-კა-კა-კა-კა!

(დედა რობერტა, დედა ჟაკი, დიდედა ჟაკი მარჯვნიდან გამოდიან).

**რობერტას ხმა.** კა-კა-კა-კა-კა-კა!

(მაღლა ისმის რობერტას კაკანი და ჟაკის კვნესა: „ვაი! ვაი! ვაი!..“ დედა რობერტა და დედა ჟაკი ერთმანეთს ეხვევიან. კაკანი ძლიერდება. ჟაკი შვილი ამოიხვნეშებს და გული მისდის).

**ერთად**

**დედა ჟაკი.** შვილო! შვილო!

**დიდედა ჟაკი.** ოოო! ახლა დროა?

**მამა ჟაკი.** ჟაკლინ, შენს ძმას გული წაუვიდა!

(ყველა ჟაკს შემოეხვევა. საფეთქლებს უზელენ, ხელებს უტყაპუნებენ. ამ დროს ისმის):

**მამა რობერტის ხმა.** ესეც ასე! მოიტანეთ კალათი!

(გაცხარებული მოძრაობა, მისვლა-მოსვლა. კაკანი. ჟაკლინი მარჯვნივ კალათს მოარბენინებს. ამ დროს ჟაკი მოსულიერდება).

**შვილი ჟაკი.** სადა ვარ?

დედა ჟაკი. შინ, ჩემო პატარავ, ნათესავებთან!

**დედა რობერტი.** შენს რობერტასთან!

**შვილი ჟაკი** (ზიზღით). აჰ! ნეტავ აქ არ ვიყო!

**მამა რობერტი** (მარჯვნიდან შემოაქვს კვერცხებით სავსე კალათი). აი პირველი კვერცხები!

**ყველა** (შვილი ჟაკის გარდა). აააააა! ბრავო!.. (ტაშს უკრავენ, ერთმანეთს კოცნიან და ულოცავენ. ამ დროს დიდედა ჟაკი კვერცხებს კალათიდან იღებს და ამბობს: „ოჰ! რა ლამაზებია, რა საყვარლები! რა დიდებია! ნეტავ ლაყე ხომ არ არის?“ პერსონაჟები დიდედას შემოერტყმებიან, ერთმანეთს კალათს სტაცებენ).

**მამა ჟაკი.** ყველა ახალია, ოცი ფრანკი ეღირება! აქედან შეიძლება მამლები გამოვიდნენ!

**დედა ჟაკი.** აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. რამხელა მოვლენაა!

**მამა ჟაკი** (კალათს აიღებს და შვილთან მიდის, სხვები უკან მიჰყვებიან). ხედავ? ეს თქვენი კვერცხებია!

**შვილი ჟაკი.** გმადლობთ.

**მამა ჟაკი.** შენ უნდა გამოჩეკო!

**მამა რობერტი.** ჩემს ქალიშვილს თვითონვე შეუძლია გამოჩეკვა!

**მამა ჟაკი.** ჩვენს ოჯახში გამოჩეკვა კაცების საქმეა. (შვილს) აბა, ადექი!

(ჟაკს წამოაყენებენ და გამოსაჩეკი მაგიდისკენ მიათრევენ).

**მამა ჟაკი.** კვერცხები გამოსაჩეკ აპარატზე მიიტანეთ! (მიაქვთ და მაგიდაზე აწყობენ).

**დედა რობერტი** (ჟაკს მიათრევს, თან ქმარს ეუბნება). ერთი ბეწო ეშმაკობა არა გაქვს, ყველაფერს შენ გაკეთებინებენ, თან გატყუებენ.

**დიდედა ჟაკი** (შვილ ჟაკს). უკვე ცოლიანი



ხარ და მიხარია. ახლა ჩეკე და ჩეკე...

(ჟაკს მაგიდაზე დასვამენ).

**დედა ჟაკი.** კარგად გამოჩეკე, შვილო!

**დიდედა ჟაკი.** როგორც შენი წინაპრები ჩეკდნენ.

**პაპა** (თავისი ჩარჩოდან). ჰი! ჰი! ჰი! ჰი! (დამცინავი ტონი).

**მამა ჟაკი.** ჩეკე, ჩეკე ერის დიდებისა და ძლევამოსილებისთვის. (კაკანი, რომელიც აქამდე აღარ ისმოდა, კვლავ იწყება, ოღონდ ამჯერად ნაზად).

**მამა რობერტი.** ვიჩქაროთ! კვერცხი დაგროვდა! (კვერცხებით სავსე მეორე კალათი მოაქვთ).

**ყველა** (ჟაკისა და პაპის გარდა, რომელიც ჩუმად იცინის). ბრავო! ბრავო! ოჰ, რა მშვენიერებაა!

**მამა რობერტი.** წავალ, კიდევ მოვიტან! (მარჯვნივ გადის).

**მამა ჟაკი** (წამოაყენებს შვილს, რომელიც პირქვეა გაშხლართული). მოიტანეთ კიდევ! ადვილი არის! (კვერცხებს ჟაკის ირგვლივ აწყობენ).

**შვილი ჟაკი.** ...მცხელა...

**დედა ჟაკი** (შვილს). ასეა საჭირო, გამოსაჩეკად... სითბო, სიცხარი გრძნობაა!

**მამა ჟაკი** (ტაშს უკრავს). პროდუქცია! პროდუქცია!

**დიდედა ჟაკი.** კვერცხები! კვერცხები! კვერცხები! კვერცხები! (ხტუნავს და ცეკვავს).

**დედა ჟაკი.** ჩეკე, ჩეკე, შვილო, ჩეკე!

**ყველა.** ბრავო! ბრავო!

(შვილი ჟაკი ორთქლის მანქანასავით ქშინავს: თუ! თუ! თუ! თუ! თუ! თუ!

„თუ! თუ!“-ს ძახილი ისევე ჩქარდება, როგორც ჩქარდება „კა-კა-კა-კა“-ს ძახილი. ასევე შეუჩერებელი ხდება მამა რობერტისა და ჟაკლინის მისვლა-მოსვლა. რიგრიგობით გადიან და შემოდიან. მოაქვთ და მოაქვთ კვერცხით სავსე კალათები. მოძრაობა ისე აეწყობა, რომ როცა ერთი გადის, მეორე შემოდის...).

**მამა ჟაკი.** გაუმარჯოს პროდუქციას! კიდევ პროდუქცია! აწარმოეთ, აწარმოეთ პროდუქცია.

**დედა რობერტი.** მიდით, მიდით, ნუ ჩერდებით!

**მამა ჟაკი** (ხელებს ატყაპუნებს). პროდუქცია! პროდუქცია! პროდუქცია!

(მოძრაობები ერთმანეთში იხლართება: დედა რობერტი კალათებს ხან მამა რობერტსართმევს, ხან ჟაკლინს და კვერცხებს ალაგებს შვილი ჟაკის თავზე, სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე, მაგიდაზე, იატაკზე. ჟაკი კვერცხებით იფარება).

**დედა რობერტი.** პროდუქცია! პროდუქცია! პროდუქცია!

(მოძრაობა და ხმაური გრძელდება: „კა-კა-კა-კა-კა!..“, „თუ! თუ! თუ! თუ!“, „პროდუქცია! პროდუქცია!“ ქოროსავით გაისმის. მისვლა-მოსვლა და სიხარული არ წყდება. ამ ჩოჩქოლში და ხმაურში ისმის რეპლიკები):

**დედა ჟაკი.** მე ამ ბავშვების მომავალი მაფიქრებს!

**დედა რობერტი.** როგორი იქნება შთამომავლობა?

**ჟაკლინიკი** (მისვლა-მოსვლას შორის). აქედან გამოვლენ ათლეტები!

**დედა ჟაკი.** ახალი წარმოების შესაქმნელად დაკონსერვებაც შეიძლება.

**დედა რობერტი.** პლასტელინიც.

**მამა რობერტი.** ცომიც.

**მამა ჟაკი.** აქედან გამოვლენ ოფიცრები, ოფიციალური პირები და ოფიციანტები!

**დიდედა ჟაკი.** საჭმელადაც გადავინახავთ.

**ჟაკლინიკი.** მსახურნიც და მეპატრონენიც!

**მამა ჟაკი.** დიპლომატებიც.

**დედა ჟაკი.** მატყლის ძაფიც.

(თავის ჩარჩოდან პაპამ შეიძლება დირიჟორივით თითით უდირიჟოროს ამ არეულ-დარეულობას).

**დედა რობერტი.** პრასიც და ხახვიც.

**მამა რობერტი.** ბანკირებიც და ღორებიც!

**მამა ჟაკი.** ქალაქელებიც და სოფლელებიც!

**ჟაკლინიკი.** პაპებიც, მეფეებიც და იმპერატორებიც!

**მამა ჟაკი.** პოლიციელებიც!

**დედა რობერტი.** ვექილებიცა და მღვდლებიც!

**დიდედა ჟაკი.** ომლეტი! ბევრი ომლეტი!

**ჟაკლინიკი.** ჰუმანისტები! ანტიჰუმანისტები!

(ამ უკანასკნელ რეპლიკებს რეფრენად გასდევს: „დიახ, დიახ, დიახ!..“ მხოლოდ მამა ჟაკი აგრძელებს ძველ რეფრენს: „პროდუქცია! პროდუქცია!“ და განუწყვეტლივ ტაშს უკრავს).

**დედა ჟაკი.** ოპორტუნისტები!

**დედა რობერტი.** ნაციონალისტები!

**მამა ჟაკი.** რევოლუციონერები!

**ჟაკლინიკი.** რადიკალები!

**მამა რობერტი.** აქციონერები!

**მამა ჟაკი.** რეაქციონერები!

**დიდედა ჟაკი.** ქიმიკოსები!

**მამა რობერტი.** მარქსისტები, მარკიზები, მარკები და კონტრმარკები!

**მამა ჟაკი.** იდეალისტები, რელატივისტები!

**დიდედა ჟაკი.** ეგზისტენციალისტები!

**დედა ჟაკი.** ფედერალისტები, სპირიტუალისტები!

**მამა ჟაკი.** მეგობრები და მტრები!

**ჟაკლინიკი.** მებაყენი და მსახიობები!

**დედა ჟაკი.** ლოთები და კათოლიკები!

**მამა რობერტი.** ფეხმარდები და ფეხსაცმელები!

**მამა ჟაკი.** ფანქრები და საკალმეები!

**დიდედა ჟაკი.** და ომლეტი! ბევრი ომლეტი!

(მოძრაობა და ხმაური უცებ შეწყდება. ისმის ჟაკის სუსტი ხმა):

**შვილი ჟაკი.** პესიმისტები!

**ყველა** (აღშფოთებულნი). რაო? როგორ გაბედა? რას ამბობს? მუდამ უკმაყოფილოა!..

(მიუახლოვდებიან. დაძაბული სიჩუმე).

**შვილი ჟაკი.** ანარქისტები, ნიჰილისტები.

**მამა რობერტი.** აკი ვთქვი, ამისი იმედი არ უნდა გვქონდეს-მეთქი.

**მამა ჟაკი** (შვილს). რწმენა დაგიკარგავს.

**დედა რობერტი.** რწმენა სულ არა აქვს.

**მამა ჟაკი.** ჰა, კარგად თქვი, რა გინდა?

**შვილი ჟაკი.** მინდა სინათლის შადრევანი, გავარვარებული წყალი, ყინულიანი ცეცხლი, ცეცხლიანი თოვლი...

**ჟაკლინიკი** (შვილ ჟაკს). შენს მოვალეობას ნუ ივიწყებ.

**პაპა** (თავის ჩარჩოდან). შენს კვერცხებს მოუარე!

**მამა რობერტი** (შვილ ჟაკს). ჩანდაბამ დისგზაბაძონია!

**დედა რობერტი.** პრეტენზიებიც რომ გაუჩნდა...

**მამა რობერტი.** წადი შენი!..

**ყველა.** გაუმარჯოს პროდუქციას! გაუმარჯოს თეთრების რასას! გავაგრძელოთ! ვავაგრძელოთ!

(„პროდუქციის“ ძახილს თან ერთვის „კა-კა-კა-კა“-ს ძახილი. მოძრაობები მძაფრდება. თავის ჩარჩოდან პაპაც კი ყვირის: „აწარმოეთ! აწარმოეთ!“ სხვებიც ყვირიან: „ვაწარმოოთ! ვაწარმოოთ!“ ბოლოს ყველა ერთად აკაკანდება: „კა-კა-კა კა-კა...!“ და ტაშს უკრავენ).

**პაპა ჟაკი.** დასაბამიდან დღემდე, მომავალი მაინც კვერცხებშია!

(მოძრავი კიბით ან იატაკის ჩაწევით პერსონაჟები ეშვებიან სცენის ქვეშ და ქრებიან ისე, რომ თავიანთ საქმიანობას არ წყვეტენ. ყველაფერი ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით გაკეთდეს).

**ფრანგულიდან თარგმნა**
**დავით ჯანდიერამ**

# კარლ გუსტავ იუნგი

# პიკასო

მინდა ბოლოში მოვუხადო მკითხველს იმის გამო, რომ სპეციალობით ფსიქიატრი ვებმები პიკასოს გარშემო გამართულ დისკუსიაში. ავტორიტეტულ ადამიანებს რომ არ შემოეთავაზებინათ ჩემთვის, კალამს ხელს არც მოვკიდებდი. იმიტომ კი არა, თითქოს ეს მხატვარი, თავისი უნიკალური შემოქმედებით, სერიოზული საუბრის ღირსად არ მიმაჩნდეს – მე ჩომ მის ლიტერატორ თანამოღვაწეს, ჯოისს, ყურადღებითა და პატივისცემით გამოვეხმაურე. პირიქით – ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა, ჩემი გულწრფელი ინტერესის საგანი, იმდენად მრავლისმომცველია, იმდენად სერიოზული და რთული, რომ შეუძლებელია მისი თუნდაც მიახლოებით მოხაზვა მცირე მოცულობის საგაზეთო სტატიაში. და თუკი ვბედავ პიკასოზე საუბარს, ერთ აუცილებელ პირობასაც ვუყენებ ჩემს თავს: მე არ ვილაპარაკებ მის შემოქმედებაზე, არამედ – მხოლოდ ფსიქოლოგიაზე მისი შემოქმედებისა. ესთეტიკური პრობლემები ხელოვნებათმცოდნეებისთვის მიმინდვია, მე კი შემოვიფარგლები მხოლოდ ფსიქოლოგიით, რომელიც მხატვრული შემოქმედების საფუძველში დევს.

უკვე თითქმის ოცი წელია, რაც ვსწავლობ სულიერი პროცესების სხვადასხვა გამოხატულებათა ფსიქოლოგიას, და ამიტომ პიკასოს ნამუშევრებს პროფესიონალის პოზიციიდან განვიხილავ. გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ პიკასოს სურათებში გამოვლენილი ფსიქოლოგიური პრობლემატიკა ანალოგიურია იმისა, რაც ჩემს პაციენტებთან შემხვედრია. სამწუხაროდ, აქ შეუძლებელია ამის დასაბუთება, რადგან შედარებითი მასალა მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტისთვისაა ცნობილი. ამის გამო, ჩემი შემდგომი მსჯელობა ჰაერში გამოკიდული რჩება და კეთილმოსურნე მკითხველის ფანტაზიის თანადგომას საჭიროებს.

არასაგნობრივი ხელოვნება თავის შინაარსს, ძირითადად, „შინაგან სიღრმეში" პოულობს. ეს „შინაგანი" არ შეიძლება ემთხვეოდეს ცნობიერებას, რადგანაც ცნობიერება თავისთავში შეიცავს ანარეკლს ყველასთვის გასაგები საგნებისა, რომლებიც აუცილებლობის ძალით უნდა გამოიყურებოდნენ ისე, როგორც მოსალოდნელია ჩვეულებრივ. მაგრამ პიკასოს საგნობრიობა სულ სხვაგვარად გამოიყურება, – საზოგადოდ მიღებული წარმოდგენებისგან დაშორებულად, თანაც – იმ ზომამდე, რომ შეუძლებელია შეგვექმნას რაიმე ილუზია ყოველდღიურ ცდასთან მისი შესაბამისობის შესახებ. ამასთან, რაც დრო გადის, მის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო სწრაფად ხდება ემპირიულისგან დაშორება და ისეთი ელემენტების გაძლიერება, რომლებიც უკვე აღარ შეესაბამებიან გარეგან ცდას, არამედ მომდინარეობენ იმავე „შინაგანი სიღრმიდან", ცნობიერების ფარგლებს მიღმა რომ მდებარეობს. ყოველ შემთხვევაში – იმ ცნობიერების მიღმა, რომელიც განაზოგადებს რა გრძნობათა ხუთი ორგანოს მონაცემებს, მიმართულია გარესამყაროზე. ცნობიერების მიღმა დგას არა აბსოლუტური არარა, არამედ – არაცნობიერი ფსიქე, რომელიც ცნობიერების მიერ განიცდება უკან და შინაგან მყოფად, ისევე, როგორც გარესამყარო განიცდება წინ და გარეთ მყოფად. სურათების ის ელემენტები, რომლებსაც არ მოეპოვებათ შესატყვისი საგანი გარესამყაროში, „შინაგანი სიღრმიდან" უნდა იყვნენ აღმოცენებული.

ვინაიდან ეს „შინაგანი სიღრმე" უხილავი და წარმოუდგენელია, თუმცა, იმავ დროს, უნარი აქვს ხანგრძლივი ზეგავლენა მოახდინოს ცნობიერებაზე, მე ჩავაგონებ ჩემს პაციენტებს, ამგვარ ფაქტორთა ზემოქმედებისგან რომ არიან შეწუხებულნი, გამოხატონ ეს რაც შეიძლება თვალსაჩინოდ – სურათებში. „გამოხატვის მეთოდის" მიზანია, მისაწვდომი გავხადოთ არაცნობიერი სტრუქტურები და შევეცადოთ მათს გაგებას. ამ ხერხით მიიღწევა თერაპიული ეფექტი – გადაილახება სახიფათო ნაპრალი არაცნობიერ პროცესებსა და ცნობიერებას შორის. ცნობიერების ფარული ფონის ყველა პროცესი და მოვლენა, სურათებში გამოხატული, სიმბოლურია – საპირისპიროდ საგნობრივი ანუ „გაცნობიერებული" წარმოდგენებისა. ეს ნიშნავს, რომ ისინი, სულ ცოტა, გადაკვრით მიანიშნებენ ადრე უცნობ შინაარსზე. ამიტომ თითოეულ კერძო შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია რამის დადგენა. ჩნდება მხოლოდ ბუნდოვანების, დახლართულობის და აზრსმოკლებული მრავალფეროვნების განცდა. სრულიად გაურკვეველია, რა არის აქ გამოხატული და რას ფიქრობდა ავტორი. და მხოლოდ მრავალი სურათისგან შემდგარი სერიის შეჯერების წყალობით ჩნდება შესაძლებლობა – რამე გავიგოთ. პაციენტების სურათები, მხატვრული ფანტაზიის ნაკლებობის გამო, ჩვეულებრივ, უფრო ნათელი და, ამიტომ, უფრო გასაგები გამოდის, ვიდრე თანამედროვე მხატვართა ნამუშევრები.

უნდა განვასხვავოთ პაციენტების ორი ჯგუფი: ნევროტიკები და შიზოფრენიკები. პირველნი ქმნიან სინთეტური ხასიათის სურათებს, გამსჭვალულს ძლიერი და მონოლითური გრძნობით. თუკი ეს სრულიად აბსტრაქტული ნამუშევრებია და არ გამოხატავენ ავტორის გრძნობებს, მაშინ, სხვა რომ არაფერი, აშკარად სიმეტრიული მაინც არიან, ანდა – დატვირთული მკაფიოდ გამოვლენილი საზრისით. ამის საპირისპიროდ, მეორე ჯგუფის სურათები მოწმობენ, რომ მათი ავტორებისთვის უცხოა ემოცია. ისინი ნებისმიერ შემთხვევაში გადმოსცემენ არა ერთიან, ჰარმონიულ გრძნობას, არამედ – ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებებს, ან მათს სრულ არარსებობას. ამ სურათების მხატვრულ ფორმაში სჭარბობს დახლეჩილობის, რღვევის განწყობილება, გამოხატული ტეხილ ხაზებში, და ეს მოწმობს მათი შემქმნელის ფსიქიურ გაორებას. ეს სურათები გულგრილს ტოვებს მნახველს, ანდა ახდენს დამთრგუნველ შთაბეჭდილებას თავისი პარადოქსულობით, სუნთქვისშემკვრელი და გროტესკული უბოდიშობით. პიკასო ამ ფსიქიკურ ტიპს მიეკუთვნება.

(ეს დებულება არ ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი, ვინც შეიძლება მივაკუთვნოთ ამ ჯგუფებს, ან ნევროტიკია, ან შიზოფრენიკი. ეს დაყოფა გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ პირველ შემთხვევაში ფსიქიურ გადახრებს ალბათურად მივყავართ ნევროტულ სიმპტომებამდე, მეორე შემთხვევაში კი – შიზოფრენიულ სიმპტომებამდე. აღნიშვნა „შიზოფრენიული" ამ შემთხვევაში არანაირად არ გულისხმობს, რომ საზუზეა სულიერი დაავადება – შიზოფრენია. ეს მხოლოდ წინასწარი მიდრეკილებაა, ან ჰაბიტუსი, რის საფუძველზეც მძიმე სულიერმა განცდებმა შესაძლოა გამოიწვიონ შიზოფრენია. მე განვიხილავ პიკასოს, დააგრეთვე ჯოისს, ფსიქოტიპებად, მაგრამ მივაკუთვნებ მათ ადამიანთა იმ მრავალრიცხოვანი ჯგუფისადმი, რომელთა ჰაბიტუსი ავლენს მიდრეკილებას, უპასუხოს მძიმე სულიერ განცდებზე არა ფსიქიკური ნევროზით, არამედ – შიზოფრენიულ სიმპტომთა კომპლექსით).

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე ჯგუფს აქვს რაღაც საერთო. სახელდობრ – სიმბოლური შინაარსი. ერთნიც და მეორენიც საზრისის რეალიზებას ახდენენ მინიშნებებით, მაგრამ ნევროტული ტიპი ამ საზრისს ეძებს, და ცდილობს თავისი შეგრძნებები მნახველს გადასცეს. შიზოფრენიკს არ გააჩნია ამგვარი მიდრეკილება, და ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი თავისი შეგრძნებების მსხვერპლია. ეს იმგვარად აღიქმება, თითქოს იგი დაპყრობილი და დათრგუნვილი იყოს მათგან, გათქვეფილი იყოს იმ ელემენტებში, რომელთაგანაც ნევროტიკი, ასე თუ ისე, რაღაცის შექმნას მაინც ცდილობს. შიზოფრენიული შემოქმედების გამო უნდა ითქვას ის, რაც მე უკვე აღვნიშნე ჯოისთან მიმართებით: მასში არაფერია მჭვრეტელისთვის მიმზიდველი, ყველაფერი მისი უკუგდებისთვისაა მოწოდებული, ისე რომ, ყოველი შემთხვევითი მიმზიდველი დეტალი მოუტევებელ დათმობად და გადახრად აღიქმება. სიმახინჯე, ავადმყოფობები, გროტესკი, ბუნდოვანება იმისთვის კი არ ჩნდება, რათა რამე გამოხატოს, პირიქით – რათა ყველაფერი დაფაროს. და ეს საფარველი მიიზიდავს მჭვრეტელს, თითქოს ეს იყოს ცივი ნისლი, უდაბურ ჭაობს რომ შემობლარდნია. ჩანაფიქრს მოკლებული, იგი ემსგავსება სანახაობას, რომელიც მნახველს არ საჭიროებს.

ზოგ შემოქმედს ის უნდა ჰკითხოთ, თუ რისი გამოხატვა სურს, სხვას – თუ რისი გამოხატვა არ სურს. და ორივეს აქვს თავისი ფარული შინაარსი. ამგვარი ხატების სერიები, როგორც წესი, იწყება ნეკიას სიმბოლოთი (მიცვალებულთა აჩრდილების გამოხმობა ნეკრომანტია. ასე ეწოდება „ოდისეას" მე-11 თავს), ქვესკნელში შთახდომით, არაცნობიერში ჩაშვებით, ამქვეყნიური სკნელიდან გასვლით. ის, რაც ამის შემდეგ მოდის, ყოველდღიურობის ფორმებითა და ფიგურებითაა გამოხატული, მაგრამ ამავე დროს, ფარულ შინაარსსა და სიმბოლურ ხასიათს ატარებს. პიკასო იწყებს ცისფერ ტონებში შესრულებული საგნობრივი სურათებით: სილურჯე ღამისა, მთვარის შუქისა და წყლისა, ეგვიპტური სულეთის ლილისფერი. იგი კვდება და მისი სული იმქვეყნიურში მიაგელვებს ცხენს. ყოველდღიური ცხოვრება მას უკან უხმობს, ბავშვებიანი ქალი რაღაცას შეაგონებს. დღეც და ღამეც მისთვის ქალია, რაც ფსიქოლოგიურად გამოიხატება, როგორც ნათელი და ბნელი სული (ანიმა). მტრედისფერ ბინდბუნდში ჩასაფრებია და უცდის წყვდიადი, პათოლოგიურ მიდრეკილებებს რომ აღვიძებს. ცვალებად კოლორიტს ქვესკნელში შევყავართ. საგნობრიობა სიკვდილითაა გასხივებული, იგი წარმოჩენილია ტუბერკულოზიანი და სიფილისიანი უწლოვანი მეძავის ოსტატურად შესრულებულ სახეში. პროსტიტუციის მოტივი თავს იჩენს მიღმურ საყაროში შესვლისას, სადაც შემოქმედი, როგორც გარდაცვლილი სული, უნდა შეხვდეს გარკვეული რაოდენობის თავისსავე მსგავსთ. როდესაც ვამბობ „შემოქმედი", მხედველობაში მყავს პიკასოს ის პიროვნება, რომელსაც წილად ხვდა ქვესკნელის მოვლა, ის ადამიანი, რომლის აღმოჩენა, ბედისწერის ნებით, ყოველდღიურობაში კი არ ხდება, არამედ წყვდიადში, სიკეთისა და მშვენიერების საყოველთაოდ მიღებული იდეალების მიყოლით კი არა, არამედ სიძულვილისა და ბოროტების დემონური მიზიდულობის ძალით, ანტიქრისტესა და ლუციფერისკენ რომ მიდრეკავს თანამედროვე ადამიანს და საყოველთაო დაცემის შთაბეჭდილებას ქმნის. ამიტომ არის, რომ ყოველდღიურობის სიცხადე ჯოჯოხეთური ღრუბლით იფარება, ირღვევა, და ბოლოს, როგორც ნადაგი მეწყერის ჟამს, იშლება ფრაგმენტებად – ტეხილ ხაზებად, ნარჩენებად, ნაგვად და არაორგანულ ელემენტებად. პიკასო, და პიკასოს გამოფენა, – ეს დროის ნიშანია, ისევე როგორც 28000 ადამიანი, ვინც ეს სურათები ნახა.



არაცნობიერი, როგორც წესი, ადამიანს ევლინება, როგორც „წყვდიადი", როგორც თავისებური, გადამეტებულად შემზარავი არქაული სიმახინჯე, ან – შემაძრწუნებელი სილამაზე – თუკი ეს ადამიანი ნევროტულ ჯგუფს მიეკუთვნება. გნოსტიკური სამყაროს ოთხი ქალური ფიგურის შესაბამისად – ევა, ელენე, მარიამი და სოფია – ფაუსტის მისტიკურ გარდასახვებში ჩვენ ვპოულობთ გრეტჰენს, ელენეს, მარიამს და აბსტრაქტულ „მარადქალურს". ამის მსგავსად გარდაისახება პიკასოც, გვევლინება რა, თითქოსდა ქვესკნელიდან, ტრაგიკული არლეკინის იერსახით, რომლის მოტივიც გამჭოლად გასდევს მის მრავალრიცხოვან სურათებს. როგორც ფაუსტი, ისიც ჩათრეულია მკვლელობაში, და მეორე ნაწილში შეცვლილი სახით წარმოგვიდგება. უნდა ითქვას, რომ არლეკინი ძველი ხთონური ღვთაებაა (ამ ფაქტის დასაბუთებას დოქტორ კერენის მეგობრულ ყურადღებას ვუმადლი).

წარსულში გადანაცვლება, ჰომეროსის პოემებიდან მოყოლებული, ნეკიას განეკუთვნება. ფაუსტი მიმართავს ბლოკსბერგის მთის პირველყოფილ ილუზორულ სამყაროს, ანტიკურ ქიმერას. პიკასო მზისქვეშეთში გამოიხმობს მოუხეშავ, მიწიერ, ხაზგასმით პრიმიტიულ ფორმებს, ხელმეორედ აცოცხლებს პომპეის ნანგრევების უსულგულობას, ცივი შუქით რომ ელვარებენ იმაზე კიდევ უფრო შემზარავად, ვიდრე ეს ჯულიო რომანოს აქვს გაკეთებული. მე თითქმის არ შემხვედრიან პაციენტები, რომლებსაც არ მიემართოთ ნეოლითის ხელოვნების ფორმებისთვის და არ ცდილიყვნენ ანტიკური დიონისიზმის გაცოცხლებას. არლეკინი, ფაუსტის მსგავსად, გაივლის ყველა ამ ფორმას, და ისე არაფერი ამხელს მის იქყოფნას, როგორც მისი ტირილი, წამოძახილები, ან, ბოლოსდაბოლოს – ჭრელი ეჟვნები მის ჯამბაზურ ტანისამოსზე. მაგრამ რას ჩასწვდება

იგი კაცობრიობის ასწლეულების წარსულში ...
გიური მოგზაურობისას? რა შინაარსს ...
ტანს ნაგვის ნაზღვლევებისგან, რღვევისა ...
ქცევისგან, და აგრეთვე – ფორმებისა და ...
ოდნავ თავჩენილი და ისევ არარეალიზებ...
შთენილი შესაძლებლობებისგან? რომელი ...
ბოლო წარმოჩინდება უკანასკნელ მიზნა...
საზრისად სრული დაშლისა?

საეჭვოა, შესაძლებელი იყოს პიკასოს ...
ცვიფრებულ მრავალფეროვნებაზე დანამდ...
ბით რაიმეს თქმა. ამიტომ ვამჯობინებდი ...
რა მარტო იმაზე, რაც ჩემს მასალაში მო...
ნეკია არ არის უმიზნო, დამანგრეველი, ტ...
ური ამოვარდნა, არამედ იგია გაზრ...
„Katabasis eis antron" (ბერძ. – სიღრმეში ...
სვლა, შეღწევა), მისტიკური ზიარების, ...
ლო ცოდნის უფსკრულში ჩაშვება. სულის ...
რიაში მოგზაურობა მიზნად ისახავს კაცობ...
ბის, როგორც მთლიანობის აღდგენას, მის ...
ერებაში სისხლის გამოძახილის შემ...
გზით. დედათა სამყოფელში შესვლა ფაუს...
ვის არის საშუალება, რათა ზედაპირზე ...
მოს ცოდვით დაცემული ადამიანი თავისი ...
ლით – პარისი და ელენე – ადამიანი, მარ...
აწმყოს ცალმხრივობაში გზადაბნეული ...
გამო დავიწყებაში ჩარჩენილი. ეს იგია, ...
ველი დიდი ძვრის ჟამს იყო და იქნება ...
როს შეძრწუნების მიზეზი. იგი სამტრო...
განწყობილი დღევანდელი ადამიანების ...
რადგან თვითონ მუდამ ასეთი იყო, ეხლა ...
ლოდ დღეს გახდნენ ასეთები. შესაბამისა...
ჩემს პაციენტებს კატაბაზისისა და კატ...
(შეღწევა და დაშლა) დროს უჩნდებათ ...
რი ბუნების წინააღმდეგობრიობისა და მო...
ბულ დაპირისპირებათა აუცილებლობის ...
რება. ამის შედეგად, ილუზორული განცდ...
მათი გადაწყვეტის სიმბოლოთა სახით ...
სურათები, რომლებშიაც აღბეჭდილია ...
პირებები: ნათელი – ბნელი, მაღლა – ...
თეთრი – შავი, მამრული – მდედრული ...
პიკასოს უკანასკნელ სურათებში აშკარად ...
მნიშვნელობს მოტივი დაპირისპირებულ...
თიანობისა მათს უშუალო წინააღმდეგ...
ერთ-ერთი სურათი (სულ მთლად გადა...
ტეხილი ხაზებით) შეიცავს ერთდროულად ...
ლი და ბნელი ანიმას ხატებს. უკანასკნელ...
ოდის მკვეთრი, უხეში, ნახევარტონებს ...
ბული საღებავები გამოხატავს არაცნობიე...
სწრაფვას, ძალდატანებით წარმოქმნას ...
ბათა შეჯახება (ფერი – გრძნობას).

პაციენტის სულიერ განვითარებაში ...
მდგომარეობა არ წარმოადგენს არც მის...
არც რამენაირ ჩიხს. იგი მხოლოდ უფრო ...
თვალსაწიერით მოგვაცვევინებს საგნებს, ...
ქმევინებს კაცობრიობას მთელს მის მრ...
ცხოველურ-სულიერ მთლიანობაში, მაგ...
ინც არ გვაძლევს მის ცოცხალ მთელად ...
დგენის საშუალებას. პიკასოს „Drame in...
(ფრ. – შინაგანი დრამა), ცხოვრებისეულ...
პეტიებით გამოწვეული, მისულია ამ უკა...
მიჯნამდე. მე თავს უფლებას ვერ მივცემ...
ვიწინასწარმეტყველო მისი მომავლის ...
რადგან ხდომილებებით აღსავსე „სიღრმ...
ცხოვრება არცთუ უხიფათო რამ არის, ...
სმიერ სტადიაში შეიძლება მიგვიყვანოს ...
მდგომარეობამდე, ანდა – დაპირისპირ...
კატასტროფულ გახლეჩამდე. არლეკინის ...
რაში იგრძნობა ტრაგიკული ორაზროვნე...
მცა, მისი სამოსელი უკვე ატარებს განვით...
ახალ ეტაპთა ნიშნებს, მწვდომთათვის ...
საჩინოდ გამოვლენილს. იგია გმირი, რო...
ჯოჯოხეთში უნდა იმოგზაუროს. მაგრ...
ლებს კი ამას? მე არ გამაჩნია ამ კითხვაზე ...
არლეკინი ჩემთვის შემაშფოთებელია. ...
ტად მაგონებს იგი იმ „აჭრელებული ...
მსგავს კაცს" ნიცშეს „ზარატუსტრადან", ...
ლიც მიუახლოვდა თოკზე მოსიარულე ...
თავზე გადაახტა და დალუპა იგი. მაშინ ...
ტრამ წარმოთქვა სიტყვები, ნიცშესთვის ...
ლების მაუწყებელი: „შენი სული უფრო ...
მოკვდება, ვიდრე სხეული: აღარაფრის ...
დეს!". თუ ვინ უნდა იყოს ეს „მასხარა", ...
მობს მისი სიტყვები, რომლითაც მიმართ...
ზე მოსიარულეს, თავისსავე შედარებ...
ალტერ ეგოს: „შენზე უკეთესს ელობებ...
იგია ის უძლიერესი, რომელიც ამსხვრევს ...
და ზოგჯერ ეს ნაჭუჭი – ტვინია.

თარ...

ზაზა ფ(ვ)არ...

სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)

თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,

ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბე...

თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახ...)

# მხოლოდ ფაქტები

# „მეგაპოლის-ექსპრესის“ მიმომხილველი სახიფათო რეისში გაემგზავრა

...ორისისკთან პატარა ზომის
...სადგომზე ჩვენი „DAF“-ი ერ-
...სატვირთო ავტომობილი იყო,
...შემოთვარე ღამეს გვიქადდა.
...არ გვქონდა: ხმელი ხილით
...თურქული გემი, რომლის
...დაგვიანებისა გვეშინო-
...გადაწვა ნოვოროსიისკის
...ნავმისაბმელის კედელთან. ცა-
...რომ არ დაბრუნებულიყო, ჩვენი
...დაგვპირდა, რომ დილამდე
...ტვირთს იშოვნიდა.
...ახლა ძილზე უნდა გვეფიქრა.
...ფურის გასაღებად წავიდა, რათა
...ისტუმრები დარწმუნებულიყვნენ,
...არა გვაქვს და ზედმეტად
...ლიყვნენ. ამ დროს სადგომზე
...შემოვიდა.
...სადგომისთვის ფუ-
...გადაიხადოთ, —
...მანქანიდან მოგ-
...სტუმარმა. მანქანა-
...ბარტო იყო, მაგრამ
...რიხიანი ჰქონ-
...რამდენი?
...ასი ათასი ღამეში.
...კი მაგრამ, ვინ
...იმის გარანტიას,
...წუთში კვლავ არ
...შენი მეგობრები და
...გაკვრას არ მოგვთხო-
...„მეგაპოლის-ექსპრესის“
...და თან ფულს ითვ-
...ხელწერილს მოგცემ, რომ
...გასწორებული გაქვს ანგა-
...გაუღიმა პასუხად „აუდის“
...მართლაც, ბლოკნოტის
...ჩაავგირისტა ხელწერილი
...რომ „ბელორუსებმა
...ღამისთევისთვის გადაიხადეს.
...ბოლოში დაუიქსირე-
...მეტად გაურკვეველი
...„ბუგა“ თუ „ბოხანი“.
...მოუსწვარით ვიწრო კაბინაში
...განაავსება, რომ სადგომს
...ახალი ბრიგადა მოადგა.
...შეათვალიერეს ფურა და
...იგივე მოთხოვნა წამოაყე-
...ათასი და „მადლობა თქვით,
...არა გაქვთ“. ფულის
...ახლა სერგეიმ დააპირა
...კი ველარ მოვითმინე.
...გრებო, ჩვენ ახლახან გადა-
...„ბოხანს“, მე ხელწე-
...— ფულის მაგივრად
...ფურცელი მივაწოდე ფან-
...რიგზეა, გაათიეთ
...ანგარიში გას-
...გაქვთ, — კეთილგანწყო-
...წავიდნენ და ხელ-
...წაიღეს.
...სერგეი თავის მეწყვი-
...პრაქტიკულად, ღამი-
...მგზავრობს; ერთის
...ავტომანქანას მართავს,
...შეჩერებები საწვა-
...და ადგილების შე-
...— კვლავ გზაში. ერთი
...მოკლდება, ხოლო
...ძალზე ხში-
...ფულს იძლევიან. მეორე
...სადგომებზე „შორს
...ძალზე დიდი უსიამოვნე-
...გახსაკუთრებული შემთხვევა
...წინ ვორონეჟში. იქ
...თვალი დაადგა
...დატვირთულ 16-ტონიან
...მძღოლები პირდაპირ
...მთელი ტვირთი კი
...ადგილ-
...სხვა მანქანებში.
...გრძელდება, მაგრამ
...არ გაჩნია: არავის
...თუმცა, მძღოლე-
...დამნაშავეთა
...სამში ჩვეულებრივი
...არიან; მათ
...რაღაც ორმოცდაათი
...ადამიანის
...თანამიმართულების
...ჩვეულებრივ,
...იქ ზავხულის
...მძღოლი დაი-
...დილით ბუჩქებში
...ასიოდე მეტრის
...200 დოლარი
...ხელუხლებელი და-
...არავინ იცის.
...სამშობლოში მეწყ-
...
...მძღოლებს, საბედნიეროდ,
...კლავენ, ვიდრე ძარ-

ცავენ. ფურებს კი უმეტესწილად სადგომებზე ასუფთავებენ. მძღოლების ჩვეულებად იქცა დიდტვირთიანი მისაბმელების კარის მხრიდან მჭიდროდ მიყენება ერთმანეთთან ან კედელთან, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბოძთან მაინც... ქურდებს იშვიათად მიაქვთ მთელი ტვირთი, მაგრამ მცირე დანაკარგებიც მძღოლის ასანაზღაურებელი ხდება.

დილით გამოჩნდა ჩვენი კლიენტი და პორტისკენ გავემართეთ ავტომანქანაში კონსერვების ჩასატვირთად. ნავმისაბმელთან კაცი ვერ მიაღწევდა: შუა გზაზე „იქსახი“ მარკის „მერსედესი“ იდგა. მისი შემოვლა შეუძლებელი იყო როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. მელობელები არ ჩანდნენ და ჩვენც მტვირთავებს მივმართეთ; ისინი იქვე თამბაქოს აბოლებდნენ.

— ძმებო, მოდით, „მერსი“ განზე გადავდგათ, ჩატვირთვაზე ვაგვიანებთ.

— თქვენ რა, შეიშალეთ? ეს ხომ თავად ლოხის მანქანაა, იგი ამ პორტში ყველაფრის განმკარგულებელია.

ადგილობრივი ავტორიტეტის მანქანის ხელის ხლება მტვირთავებმა ვერ გაბედეს, მაგრამ გვერდიდან „დაფის“ გაძვრენაში კი მოგვეხმარნენ. გარედან სურათი საკმაოდ კომიკურად გამოიყურებოდა: აყლაყუდა კაცები ძალ-ღონის დაუზოგავად ბორტზე აწვებიან 12-ტონიან სატვირთოს იმიტომ, რომ თითიც არ მიაკარონ უცხოურ მანქანას.

ჩატვირთვა მალე დამთავრდა. შემკვეთმა ამ დროში ყველა აუცილებელი დოკუმენტის გაფორმება მოასწრო (როგორც შემდეგ გზაში გაირკვა — ყალბი საბუთები შემოგვაჩეჩა) და გზას დავადექით. შედარებით დიდხანს პირველად კრასნოდართან გავჩერდით, გზისპირა კაფესთან. მანამდე კი გზად რამდენჯერმე მოგვიხდა ადგილობრივ „გაიშნიკებთან“ ანგარიშის გასწორება. გადახდა ძირითადად კონსერვების მეშვეობით ხორციელდებოდა, რომლის რამდენიმე ყუთი სპეციალურად ამ მიზნისთვის შევინახეთ კაბინაში. მაგრამ ზოგიერთები მხოლოდ ფულს ითხოვდნენ. ახალგაზრდა სერჟანტმა კრასნოდარის მისასვლელთან უბრალოდ განგვიცხადა: „გადაიხადეთ მინიმუმ 20 ათასი და გაიარეთ“. ამგვარ სიტუაციაში შეკითხვა „რისთვის?“ უფრო ძვირი უჯდება კაცს. თუ მილიციელი დაიწყებს ახსნას, რისთვის, მაშინ 100-150 ათასის გაღება იქნება საჭირო. ამ დროისთვის უკვე ვიცოდით, რომ ჩვენი ტვირთის ხარისხის სერტიფიკატები ყალბი იყო და, ღმერთმა უწყოდა, კიდევ რამდენის გადახდა მოგვიწევდა გზაში. მხოლოდ ის გვამშვიდებდა, რომ სამხრეთელი „გაიშნიკები“, მძღოლების თქმით, ყველაზე ალერსიანები არიან. შემდგომ, ჩრდილოეთისკენ კი უფრო მოკრძალებულად იღებენ.

## მძარცველები

როსტოვს გაშორებულებს კუდზე დაგვაჯდა შინდისფერი „ნოლევქსი“. „ჟიგულში“ კავკასიელები ისხდნენ, მათი გამომეტყველება კარგს არაფერს გვიქადდა. სერიოგამ გზის სატერფული იატაკზე მიასრისა, მაგრამ მდევარს მაინც ვერ მოვწყდით. ათიოდე კილომეტრის შემდეგ გზა სხვა მანქანამ გადაგვიღობა. უბრალოდ შეიძლებოდა მისი კუვეტში გადაგდება, მაგრამ სერგეიმ მოლაპარაკება ირჩია. წინა მანქანიდან ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით გაჩერებულებმა დაველოდეთ, სანამ „ნოლევქსი“ მოვიდოდა. ამ მანქანიდან ალერსიანი აზერბაიჯანელი გადმოვიდა და თავაზიანად გვთხოვა ჩვენს კაბინაში „სალაპარაკოდ“ შემოსვლა. ამის შემდეგ, რაც „თანამგზავრი“ ჩვენთან გამოვიდა. კავკასიელებიანი ორივე მანქანა ჩვენს სატვირთოს ჩამოდგა კუდში და ამგვარი ესკორტით კვლავ გზას დავადექით. მოლაპარაკებას საგზაო რეკეტი ჩვეულებრივ გაჩანებულ ტრანსპორტში აწარმოებს, რადგან გზის გვერდულზე გაჩერებული მსუბუქი ავტომობილებით გარემოცული ფურანი გამვლელთა ძლიერ ცნობისმოყ-

ვარეობას იწვევს. საჭესთან უკვე მე ვიჯექი და ამიტომ ნელა, საათში 50 კილომეტრის სიჩქარით ვმოძრაობდი. ჩვენი უტიფარი თანამგზავრის მოთხოვნის არსი უბრალო იყო — მივეცა მისთვის ტვირთის მეათედი ნაწილი. ბანდიტს სრულიად არ აინტერესებდა, რა მიგვქონდა, ალბათ, ამგვარივე გულმოდგინებით გამოგვძალავდა იგი კონსერვებსაც და ორგტექნიკასაც. სამიოლინებით თანხის შესახებ დავა-კამათი ხანმოკლე იყო. ჩვენმა სტუმარმა, კაბინაში შემოსვლისას, მჭიდროდ არ მოიხურა კარი. სერგეიმ ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს დასაძინებელი ადგილიდან ფულის აღება უნდოდა და ამ მომენტში ორივე ფეხით ძლიერ უბიძგა გამომძალველს. კარი გაიღო და ბანდიტი სავეხურზე დაეკიდა. დამუხრუჭება არ მოიხდა: მეორე წამს დაუპატიჟებელი სტუმარი სერგეისგან ახალი დარტყმის მიღების შიშით თავად ჩახტა გვერდულზე. უკვე აჩქარებული ავტომანქანის საჭე პარტნიორს გადავეცი. ამ მომენტში მთელი მგზავრობის მანძილზე პირველად ვინანე, რომ ამ რეისში ჩავები. სერგეის მუდმივმა მეწყვილემ რეისის წინ ბრმანაწლავის ოპერაცია გაიკეთა, ძველი მეგობრისთვის უარის თქმა არ მინდოდა, ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამაც მძლია და გამიტყუა გზაში...

გამოდევნება სამ-ს პირველ შემხვედრ საგუშაგომდე გაგრძელდა. იმის გარანტიას, რომ საგუშაგოზე ჩვენი ახალი ნაცნობების მეგობრები არ იმყოფებიან, არავინ მოგვცემდა, მაგრამ არჩევანიც აღარ გვრჩებოდა. გარემოებანი ჩვენს სასარგებლოდ წარიმართა: „გაიშნიკებს“ სიჩქარისთვის მხოლოდ 100 ათასი გადავუხადეთ, იმ თარსი სერტიფიკატებისთვის კი — ნახევარი ყუთი კონსერვი.

საერთოდ, მოძრაობისას ფურებზე თავდასხმა გავრცელებული მოვლენაა. მრავალტონიანი სატვირთოსთვის მეტად ადვილია მსუბუქი ავტომობილის გზიდან გადაგდება, მაგრამ ამას მძღოლები ძალზე იშვიათად აკეთებენ და იმასაც მხოლოდ მაშინ, როცა უაღრესად ძვირფასი ტვირთი გადააქვთ. ამ შემთხვევაში გაჩერება, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაუჯდეთ.

რა ხერხებს არ იგონებენ შარაგზის მძარცველები ფურების გასასუფთავებლად! რამდენიმე წლის განმავლობაში სმოლენსკთან მოქმედებდა ასეთი ჯგუფი: ზამთარში ისინი წყალს ასხამდნენ ძვრეთ წოდებული „სმოლენსკის გორკების“ ერთ-ერთ აღმართზე. მძიმედ დატვირთულ „მაზებს“ არ შეეძლოთ მოყინულ ბორცვზე ასვლა და ადვილად უპარდებოდნენ ხელთ ზამთრის ყაჩაღთა ბანდებს. ფურგონების გაწმენდა უკეთ რკინიგზის გადასასვლელების რაიონებშიც ან იმ ადგილებში, სადაც სიჩქარე რაიმე მიზეზის გამო დაბალია. ბელორუსიაში ვიტებსკთან სოფლის ბიჭები ყოველგვარი სპეციალური საშუალებების გამოუყენებლად ალებდნენ ფურებს გადასასვლელზე, ხტებოდნენ შიგნით და იწყებდნენ ტვირთის პირდაპირ გზაზე გადმოყრას. შემდეგ გადასასვლელზე ისინი ხტებოდნენ ფურადან, მიდიოდნენ ნადავლის შესაგროვებლად და მხოლოდ მაშინ განსაზღვრავდნენ, რამდენად ღირებული იყო მოპარული. იღებდნენ ტანსაცმელს, ჭურჭელ „ცეპტერს“, ხანდახან ვიდეოტექნიკაც გამოერეოდა. საინტერესოა, რომ ერთხელ გზაზე გადმოგდებული თორმეტი „ფილიპსის“ მარკის ტელევიზორიდან მხოლოდ ოთხი დაიმტვრა. დანარჩენი არ დაზიანებულა ასფალტზე დაცემისას. გაცილებით სავალალოა დასახლებული პუნქტების ახლოს დამტვრეული ავტომობილების ბედი. კარელიაში მოხდა შემთხვევა, როცა მწყობრიდან გამოვიდა და გაჩერდა მინსკის ფირმა „მილავიცას“ მიერ გამოშვებული 12 ტონა ბიუსტჰალტერით დატვირთული „მაზი“. მძღოლი დახმარების სათხოვნელად სოფელში წავიდა. სოფელში სცოდნეს, გაძარცვეს. შემდეგ ერთი შეხედვით მშვიდობიანი სოფლის მცხოვრებლები გზად გამოვიდნენ და გაზიდეს მთელი ტვირთი, ასხნეს, მერე მძღოლიც გალახეს. ამის შემდეგ, უახლოესი 20 წლის განმავლობაში, რაიონის სავაჭრო ქსელში ბიუსტჰალტერის შეტანას აზრი დაეკარგა.

თარგმნა

ავთანდილ გორდეზიანმა

# სიტყვა-ყველას

## ოფიციალური პასუხი

თქვენი გაზეთის № 140-141-ში დაიბეჭდა სტატია, რომელიც საერთოდ არ შეესაბამება სინამდვილეს.

გლდანის რაიონს ელექტროენერგია, მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი-სამი თვით მოგვეწოდება სტაბილურად, ელექტრომომარაგება კი პირდაპირ კავშირშია წყლით მოსახლეობის მომარაგებასთან.

გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონში წყლით მომარაგების წყვეტილობას ადგილი ჰქონდა და, სამწუხაროდ, კვლავ ექნება, განსაკუთრებით ზედა სართულებზე. თქვენს მიერ ნახსენებ „ბოილერში“, უფრო ზუსტად კი წყალგადამქაჩში, ძრავი დღეისთვის შეცვლილია, მაგრამ ელექტროენერგიის არასტაბილურად მოწოდებისას, ტექნიკურად ვერ სრულდება ზედა სართულებზე მიწოდება.

გლდანის რაიონის გამგებელი

ს.ვაშაკიძე

## საზოგადოება „მამულიშვილს“ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება შეუსაბამოდ მიაჩნია

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ბატონ ჰ.ალიევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ აღადგინა ქ.თბილისში გორგასლის ქ.№17 სახლში აზერბაიჯანელი პოეტის, მირზა ფატალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი და იქვე გახსნა აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი. ამის გამო, მინისტრის ბრძანებით, აღნიშნული შენობიდან გამოასახლეს ამიერკავკასიის ხალხურ საკრავთა მუზეუმი, რომლის შესახლება გადაწყვეტილია ერეკლეს მოედნის №10-ში (თეკლა ბატონიშვილის ისტორიულ სახლში), სადაც განთავსებულია „იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“. ამ საზოგადოების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა მოიცავს ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ საჭირბოროტო ეროვნული ცნობიერებისა და სულიერების პრობლემატიკას.

საზოგადოება „მამულიშვილის“ პრეზიდიუმი ღრმად არის შეწუხებული ზემოაღნიშნული ფაქტით, კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების შეუსაბამობით, რადგან შინაარსობრივად და ფუნქციურად ამიერკავკასიის ხალხური საკრავების ექსპოზიცია უფრო შეესაბამება აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის თავისებურებას, აზერბაიჯანული კულტურის ცენტრთან თანაარსებობას, ვიდრე თეკლა ბატონიშვილის სახლში ბინის დადებას, პეტრე იბერიელის ეროვნული სულიერების შემსწავლელ ცენტრში, 1832 წლის შეთქმულების ამსახველი მასალების გვერდით.

ცივილიზებული, ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლობის თეორია და პრაქტიკა ორგანულად არის დაკავშირებული არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან, არამედ სახელმწიფო ინტერესების ზნეობრივ უზრუნველყოფასთან — პიროვნების მიერ სახელმწიფო ინტერესების გათავისებასთან, რაც მიიღწევა არა მხოლოდ და არა იმდენად მკაცრი ადმინისტრირების ან სამართლებრივი ორგანოების ზეწოლის შედეგად, არამედ სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაში ზნეობრივი ფაქტორის მნიშვნელობის სწორი გააზრებით, მორალური ნორმების ერთადერთი სანქციის — საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირებით. ამიტომ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ილწიან მაღალი იდეალების პროპაგანდა-დამკვიდრებისთვის, ფაქტობრივად, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურებიან.

ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციად გვესახება „იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელსაც ქალბატონი დენიზა სუმბაძე ხელმძღვანელობს.

საზოგადოება „მამულიშვილი“-სთვის, რომელსაც სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილობა ესმის, როგორც ზნეობრივ-სამართლებრივი ნორმა, განსაზღვრული ქვეყნის კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის პატივისცემით და უპირობო შესრულებით (მამულიშვილობის ასეთი გაგება სცილდება ეროვნული, კონფესიური და პარტიული შეზღუდულობის ჩარჩოებს), ძვირფასია ზნეობრივი დალტონიზმის აღმოსაფხვრელად მიმართული ყოველი ქმედება, რომელიც ცივილიზებული მეთოდებით ხორციელდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ტერიტორიული დავა ამიერკავკასიის ხალხურ საკრავთა მუზეუმთან, „იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების“ სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობდა ქვეყნის სასიკეთოდ მოღვაწე ამ ზნეობრივი ოაზისის გაზრდა-გაძლიერებას.

ლევან ნალარეიშვილი

საზოგადოება „მამულიშვილის“ თავმჯდომარე

## შეიზღუდოს თამბაქოს რეკლამა

იმის მაგივრად რომ ცხოვრების ჯანსაღი წესს გავუწიოთ რეკლამირება, ქალაქი, ტელე და რადიოეთერი, გაზეთების ფურცლები გაავსო თამბაქოსა და არყის ნაწარმის რეკლამამ. არყის არ ვიცი, მაგრამ თამბაქოს რეკლამა განვითარებულ ქვეყნებში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აკრძალულია. კარგი იქნება, თუ სიგარეტის რეკლამა ჩვენთანაც შეიზღუდება.

გენადი მანაგაძე

* * *

ჩვენი გასაჭირის შესახებ არაერთხელ დაწერილა, მაგრამ განმკითხავი არვინ არის. არადა ცხოვრების ელემენტარული პირობები აღარ გვაქვს თევდორე მღვდლის ქუჩის მცხოვრებლებს. ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორია ნაგავსაყრელად იქცა. ამ საშინელ სიცხეში ფანჯარა ვერ გაგვიღია. ქუჩაში მოვაჭრეთა მიერ დატოვებულ ნაგავს ემატება ღტოლვილთა „ნიბაათავ“ სახელ... „კოლხეთიდან“. მთელი ღამის განმავლობაში სასტუმროს ფანჯრებიდან საშინელი ხმაურით იყრება შეკრული ფუთები. გვაწუხებს სუნი, სიბინძურე. ნუთუ არ შეიძლება ჩვენი მდგომარეობით ერთხელ მაინც დაინტერესდნენ შესაბამისი სამსახურები.

თევდორე მღვდლის ქუჩის მცხოვრებლები

# თურქეთი — გზაჯვარედინზე

ქემალისტური თურქეთის რესპუბლიკა თავისი შექმნის დღიდან არასოდეს საჭიროებდა ისეთ საფუძვლიან რეკონსტრუქციას, როგორც დღეს. დროთა განმავლობაში ქემალიზმის ზოგიერთი პრინციპი მნიშვნელოვანწილად შეიცვალა, მაგრამ სხვები დოგმებად დარჩა და დღესაც თურქული კონსერვატიზმის საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ, მხოლოდ საშინაო პოლიტიკის მოდერნიზება, ეკონომიკური პრობლემებისთვის თავის გართმევა თუ საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტების მკაფიოდ განსაზღვრა, როგორც ჩანს, საკმარისი აღარ არის — საჭიროა ფუნდამენტური ძვრები.

## ომი ქურთებთან

ქურთებთან საომრად თურქეთმა 250-300 ათას კაცს მოუყარა თავი, მაშინ, როცა თვით ქურთი აჯანყებულების რიცხვი 6 ათას შეიარაღებულ კაცს არ აღემატებოდა. მაგრამ ეს უკანასკნელნი უფრო „ელასტიურნი" აღმოჩნდნენ, მითუმეტეს, რომ ისეთ გარემოში მოქმედებდნენ, რომელიც თურქული ჯარების ოპერაციების გააქტიურების კვალობაზე მათდა სასიკეთოდ იცვლებოდა. უამრავი თურქი დამკვირვებლის აზრითაც, რეპრესიები მეამბოხეების მიმართ PKK-ს (ქურთთა ორგანიზაცია) პოზიციებს კიდევ უფრო ამყარებს.

ომის შედეგად განადგურდა 1500, სხვა მონაცემებით, — 2500 დასახლებული პუნქტი. შეიარაღებულმა შეტაკებებმა და რეპრესიებმა 18-30 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებით გადასახლდა 2 მილიონი კაცი, დაიხურა 2-4 ათასი სკოლა, ლტოლვილები სახელმწიფოსგან მცირე (ხშირად — არანაირ) დახმარებას იღებენ. ბევრი ახალგაზრდა ქურთი პარტიზანებს ან ქალაქში მოქმედ საიდუმლო ჯგუფებს შეუერთდა.

ადამიანის უფლებების დარღვევამ ომის პირობებში მეტად ფართო ხასიათი მიიღო. 1987-94 წლებში 10 ათასზე მეტ კაცს ბრალი დასდეს ადამიანის უფლებების დარღვევაში. ოფიციალური პირები თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ მრავალი ეჭვმიტანილი საერთოდ „გაქრა". თვით თურქეთის ადამიანის უფლებების დაცვის ფონდის პრეზიდენტი იავუს ონენი სასამართლოს წინაშე წარსდგა „სეპარატისტული ქმედებების" ბრალდებით. 1991 წელს მიღებულმა „ანტიტერორისტულმა" კანონმა შესაძლებელი გახადა დამნაშავეებად ეცნოთ 2752 კაცი, უმთავრესად პროფესორები, მწერლები, ჟურნალისტები, გაერთიანებების ლიდერები, მწარმოებები. გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე, სულ ცოტა, 5 ათასი კაცის საქმის ირგვლივ მიმდინარეობს გამოძიება „სეპარატისტული პროპაგანდის" ბრალდებით.

ქვეყანაში ირღვევა სიტყვის თავისუფლება, კანონი პოლიტიკურ პარტიებზე და ა.შ. გაიზარდა სახელმწიფო დაწესებულებებში სამხედროების გავლენა. ერთ-ერთი ოფიციალური პირის თქმით, სამხედროებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით ხელფეხი არ უნდა შეეკრათ. თვით თურქეთის პრეზიდენტი კი აცხადებს: „შეუძლებელია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ზუსტი პრინციპებით იმოქმედო და ქვეყანა ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანო, როცა მის ერთიანობას საფრთხე არ ემუქრება".

## ისლამიზმის გამოცოცხლება

დღეს რეფაჰის ანუ კეთილდღეობის პარტია ყველაზე დიდი ისლამისტური ორგანიზაციაა თურქეთში. 1995 წლის საყოველთაო არჩევნებში მან ყველაზე მეტი ხმა მიიღო. საინტერესოა, რომ ამ პარტიას ბევრმა ქურთმა მეამბოხემაც კი მისცა ხმა.

პარადოქსია ისიც, რომ არმია, რომელიც „სეკულარული რესპუბლიკის მცველად" მიიჩნევს თავს, კონსერვატიულ პარტიებთან ერთად ქვეყნის რეისლამიზაციისთვის იღწვის.

პროისლამური ძალების ზეგავლენით, ბოლო ათწლეულების მანძილზე ქვეყანაში ისეთ რეფორმები გატარდა, რომლებიც პოლიტიკური ისლამის აღზევებას უწყობდა ხელს. მაგალითად, რელიგიური მეთოდიკის შემოღება სკოლებში, რაც 1982 წლის კონსტიტუციით სავალდებულოდ გამოცხადდა და ხუნტის ეგიდით განხორციელდა; სამთავრობო ფონდის შექმნა სახელმწიფოს მხარდაჭერით მოქმედი 450-მდე რელიგიური სკოლისთვის, სადაც 470 ათასი მომავალი სახელმწიფო ფუნქციონერი სწავლობს და ა.შ.

თურქეთის ქემალისტურ რესპუბლიკას თავდაპირველად სხვა თურქული მოდგმის ერებთან მჭიდრო ურთიერთობა არ ჰქონია იმ მიზეზით, რომ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა არ სურდა, მაგრამ 70-80-იან წლებში იგი თურქული უმცირესობების მოსარჩლედ იქცა ბულგარეთში, კვიპროსზე, საბერძნეთში, ხოლო სსრკ-ს დაშლის შემდეგ მჭიდრო კავშირები გააბა შუა აზიისა და კავკასიის რესპუბლიკებთან. 1995 წელს თურქული წარმოშობის ერების ლიდერთა კონფერენციაზე ანკარაში თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა პირდაპირ განაცხადა: „ისლამი ჩვენი ხოლიდარობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია".

ასეთი მიდგომა კი სეკულარული თურქეთისთვის ადრე მიუღებელი იყო.

ისლამის საერთაშორისო პრესტიჟის ასამაღლებლად აქტიურად მუშაობენ ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებიც კონფლიქტები ჩეჩნეთში, ბოსნიაში, ყარაბაღში შუქდება, როგორც დაპირისპირება ქრისტიანობასა და ისლამს შორის. პრესა ევროკავშირს „ქრისტიანულ კლუბს" უწოდებს, რომელიც თურქეთს, ვითომდაც მისი მუსლიმანობის გამო, არ იღებს თავის რიგებში. ამის საპირისპიროდ საინფორმაციო ისტებლიშმენტი ცდილობს, საფუძველი მოამზადოს მუსლიმური ქვეყნების გაერთიანებისთვის. რეფაჰის პარტიის ლიდერების აზრითაც, თურქეთის ინტერესები ისლამური „საერთო ბაზრის" შექმნით უკეთესად იქნება დაცული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეფაჰი, ამავე დროს, თავს დასავლეთის პარტნიორად მიიჩნევს. პარტია ევროპის საბაჟო კავშირში თურქეთის ყოფნის დიდი წინააღმდეგი არაა (რაც 1996 წლის იანვარში განხორციელდა), მაგრამ ხელშეკრულების გადასინჯვას მოითხოვს, რომელიც, მისი აზრით, უსამართლოა.

## ეკონომიკური პრობლემები

თურქეთს დეფიციტი აქვს საგარეო ვაჭრობაში, საგადამხდელო ბალანსში, სახელმწიფო ბიუჯეტში. ინფლაციამ 1996 წელს 87 პროცენტი შეადგინა; საგარეო ვალი 73,6 მილიარდი აშშ დოლარია (ამ მაჩვენებლით თურქეთი ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთი ყველაზე „დავალიანებული" სახელმწიფოა მსოფლიოში).

თურქი ეკონომისტების უმრავლესობის აზრით, 1991-95 წლების მთავრობის უმთავრესი დანაშაული სტრუქტურული რეფორმების გაუტარებლობა იყო.

თუკი თურქეთს ევროპის საბაჟო კავშირის მოთხოვნების შესრულება სურს, მან სტაბილიზაციის გეგმის განხორციელება აღარ უნდა გადადოს. ეს კი მას დიდ სიძნელეებს უქადის. ამიტომაც ევროპის საბაჟო კავშირთან შეერთებას, თავის დროზე, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ საბაჟო კავშირთან კონტაქტი თურქეთისთვის გაცილებით ნაკლებად ხელსაყრელი იქნება, ვიდრე თვით ევროპელი პარტნიორებისთვის. ამ შეერთების დადებითი მხარე კი, ალბათ, ის არის, რომ თურქული კანონები შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც კერძო სექტორს მრავალ დარგში დასავლეთ ევროპასთან კოოპერაციისკენ გაუხსნის გზას.

## თურქეთი და დასავლეთი

1995 წელს თურქეთში დასავლური ინვესტიციები გაორმაგდა. მათი 60 პროცენტი ევროკავშირს ეკუთვნის. თურქეთის დიდი სამომხმარებლო ბაზარი (62 მილიონი მოსახლე), რომელიც დიდი შობადობის გამო სწრაფად იზრდება, ხელსაყრელ პირობებს ქმნის დასავლური ინვესტიციების დაბანდებისთვის.

ევროპელებმა თვალი დახუჭეს თურქეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე, როცა თურქეთს საბაჟო კავშირში იღებდნენ. მაშინ ისინი თავს იმით იმართლებდნენ, რომ საბაჟო კავშირში შესვლა ეკონომიკური საკითხია, ადამიანის უფლებების დაცვა კი — პოლიტიკური. ახლაც ფიქრობდნენ, თითქოს, არჩევნების წინ კავშირში თურქეთის მიღება ქვეყნის პროდასავლური ძალებისთვის მხარდაჭერის გამოვლინება იქნებოდა, მაგრამ არჩევნების შედეგებზე ამას რეალური გავლენა არ მოუხდენია.

სინამდვილეში, არც ევროპას და აშშ-ს არ სურთ მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა ანკარას ქურთებთან პოლიტიკურ კომპრომისზე წასვლისკენ უბიძგონ.

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტების მიუხედავად, რომლებიც აღნიშნავენ, რომ აშშ-ს მიერ თურქებისთვის იარაღის მიყიდვა (იგი, ძირითადად, აჯანყებულ ქურთთა წინააღმდეგ გამოიყენება) აშშ-ს კანონმდებლობის დარღვევაა, ვაშინგტონს მაინც არ შეუჩერებია იარაღის ექსპორტი — თურქეთი ამერიკული იარაღის რიგით მესამე უდიდესი გამსაღებელია. 1984-94 წლებში მან 7 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იარაღი შეიძინა ოკეანისგაღმელი პარტნიორისგან.

აშშ-თურქეთის კარგ ურთიერთობებზე ისიც მეტყველებს, რომ აშშ-ს კომერციის დეპარტამენტმა თურქეთის ბაზარი მსოფლიოს 10 ყველაზე პერსპექტიულ ბაზართა რიცხვში შეიტანა.

აშშ-თურქეთის პოლიტიკურ ინტერესებს შორისაც ბევრი თანხვედრაა. მაგალითად, მუსლიმანური ბოსნიის მხარდაჭერა, რომლის არმიის ნაწილი თურქეთში გადის წვრთნას; თურქეთის, როგორც ხიდის, არსებობა დასავლეთსა და კავკასია-შუა აზიას შორის; მისი მეშვეობით რუსეთზე ზეწოლის განხორციელება და საერთოდ, რუსეთისადმი, თუ როგორც მტრისადმი არა, როგორც მეტოქისადმი წინ გადაღობვა და სხვა. ვაშინგტონი ცდილობს, აგრეთვე, უბიძგოს ანკარას, რომ ეს უკანასკნელი დაუპირისპირდეს და შეაჩეროს ისეთი სახელმწიფოების გავლენა რეგიონში, როგორებიცაა ირანი, ერაყი, სირია; მხარი დაუჭიროს რეგიონის ზომიერ რეჟიმებს, ხელი შეუწყოს მშვიდობის დამყარებას ისრაელსა და არაბებს შორის.

სამაგიეროდ, აშშ-მ უკვე დაიწყო ღია კამპანია ევროკავშირში თურქეთის მისაღებად.

რაც შეეხება თურქეთის ჯარების მიერ კვიპროსის ოკუპაციას, ვაშინგტონი ამ საკითხს რბილად უდგება და დაუსრულებელი მოლაპარაკებების დროს შერიგებისკენ მოუწოდებს ბერძნებსა და თურქებს, ხოლო ადამიანის უფლებების დარღვევები, აშშ-ს ლიდერთა თქმით, „თურქეთში სისტემატურ ხასიათს არ ატარებს".

მიუხედავად ბევრი საერთო ინტერესისა, აშშ-ს ადმინისტრაციას ძალზე გაუჭირდება კონგრესმენთა წინაშე თურქეთის დაცვა, რადგან ქურთებთან კონფლიქტის მზარდმა მასშტაბებმა, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას რეგიონში სტაბილურობას.

თვით თურქეთიც ყველაფერში როდი ეთანხმება აშშ-ს პოზიციას — ანკარა ბაღდადთან ურთიერთობის ნორმალიზაციითაა დაინტერესებული. ერაყისადმი გამოცხადებული ემბარგო კი თურქეთს 20 მილიარდი დოლარი დაუჯდა. გარდა ამისა, ქურთების ავტონომიის არსებობა ერაყში თურქეთს გარკვეულ „საფრთხეს" უქმნის. ბევრ თურქს მიაჩნია, რომ შეიარაღებული ბრძოლით ქურთებთან კონფლიქტი ვერ მოგვარდება. თვით PKK-ს ლიდერი აბდულაჰ ოჯალანიც საკითხის პოლიტიკური მოგვარების მომხრეა, რადგან ხვდება, რომ სამხედრო გზით საბოლოო გამარჯვებას ვერ მიაღწევს. იგი ქურთისტანის დამოუკიდებლობას აღარ ითხოვს და მიიჩნევს, რომ თურქეთი შეიძლება ფედერალური მოწყობის ისეთი სახელმწიფო იყოს, როგორიც, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებია.

ასე რომ, თურქეთი დღეს გზაჯვარედინზეა, მისი მომავალი იერ-სახე იმით განისაზღვრება, თუ განვითარების როგორ გზას აირჩევს ეს სახელმწიფო.

*

„Foreign Policy"-ს მიხედვით მოამზადა

**ვახტანგ კობალაძემ**

# თანსუ ჩილერი იმუქრება



გრძელდება დავა თურქეთსა და საბერძნეთს შორის ორადგაყოფილ კუნძულ კვიპროსის თაობაზე. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თანსუ ჩილერი პირადად ჩავიდა ოფიციალურ... „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში" და კუნძულის მკვიდრთ სიმშვიდისკენ მოუწოდა. ამასთან ერთად, მან კატეგორიული განცხადებაც გააკეთა: თუ ვინმე გაბედავს ჩვენი ქვეყნის დროშის ჩამოხსნას, კარგი დღე არ დაადგებაო.

ჩილერის ვიზიტი, ძირითადად, ოთხშაბათს თურქების უშიშროების ძალების მიერ ახალგაზრდა კვიპროსელის, წარმოშობით ბერძენის მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. საბერძნეთის პრემიერმინისტრმა კოსტას სიმიტისმა ეს ფაქტი კრიმინალურ აქტად მიიჩნია და განაცხადა, რომ თურქეთის მხრიდან ძალადობა სულ უფრო მატულობს.

თურქეთის წინააღმდეგ აღდგა კუნძულის ბერძნული მოსახლეობაც. ისინი მასობრივ გამოსვლებსა და დემონსტრაციებს აწყობენ და კუნძულიდან თურქების გასვლას ითხოვენ.

როგორც კვიპროსზე ბრიტანეთის წარმომადგენლობა აცხადებს, კონფლიქტს საკმაოდ მწვავე სახე აქვს და თუ ორივე მხარე არ ეცდება, თავი აარიდოს კონფრონტაციას, თავი შეიკავოს ძალადობისგან და ადამიანის უფლებათა დარღვევებისგან, დაძაბულობა კიდევ დიდხანს გასტანს.

# ომის დასასრულის დასაწყისი?

პირველი გვერდიდან

შემდეგ კვლავ ორსაათიანი კონფიდენციალური მოლაპარაკება, ამჯერად უკვე ჩეჩნეთის ოპოზიციის მთავარსარდალთან, რესპუბლიკის პრეზიდენტთან ზელიმხან იანდარბიევთან. შეხვედრის შემდეგ ორივე მხარემ ერთობლივი განცხადება გააკეთა. გაირკვა, რომ მოლაპარაკებების დროს შეთანხმებულან ერთობლივი „შემთანხმებელ-დამკვირვებელი კომისიის" შექმნის თაობაზე, რომელიც მუდმივად იმუშავებს და მისი გადაწყვეტილებების შესრულება ორივე მხრისთვის სავალდებულო იქნება. დამკვირვებელთა საბჭოს შემადგენლობაში შევლენ დაღესტნის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის უშიშროების საბჭოების მდივნები.

ალექსანდრე ლებედის თქმით, „ორივე მხარემ დაადასტურა მოსკოვისა და ნაზრანის შეთანხმებათა შესრულებისკენ სწრაფვა... შეთანხმდნენ, რომ საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მოგვარდეს".

შეხვედრის შემდეგ ჩეჩენთა მხარის წარმომადგენლებმა ინტერფაქსთან საუბარში აღნიშნეს, რომ ალექსანდრე ლებედმა დაადასტურა თავისი განზრახვა ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ, ხოლო ოპოზიციამ, თავის მხრივ, კვლავ განაცხადა თანხმობა რესპუბლიკაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის პირობების შექმნის აუცილებლობის თაობაზე.

გარდა ამისა, გადაწყდა ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვის დაწყება მანამ, სამხედრო ხასიათის საკითხების მოგვარებამდე გადაიდოს.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გაჩნდა ჩეჩნეთის ნაჭრილობევი სხეულის მორჩენისა და განკურნების იმედი. ამას ადასტურებს ის ურთიერთპატივისცემაც, რომლითაც დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ შეხვედრის დროს დელიკატურად გამოხატავდნენ.

რუსეთის დედაქალაქში შუაღამისას დაბრუნებულმა უშიშროების საბჭოს მდივანმა გუშინ ჩეჩნეთში მოგზაურობის თაობაზე ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

**კავკასიონის საინფორმაციო სამსახური**

# ვინ ჩაერევა გიგანტების ბრძოლაში

წუხელ, გვიან ღამით, ჰამბურგის „სანკტ-პაულისა" და მიუნჰენის „ბაიერნის" და მენჰენგლადბახის „ბორუსიისა" და ბელეფილდის „არმინიას" ...ეხვედრებით სტარტს აიღებდა ბუნდესლიგის ...რიგი 34-ე ჩემპიონატი. პირველი ტურის ...ანარჩენი შეხვედრები — „ბოხუმი"-"დუის...რგი", „შტუტგარტი"-"შალკე-04", „ჰანზა"-...რლსრუე", „ფრაიბურგი"-"ვერდერი", „მი...უნ-1860"-"ჰამბურგი", ლევერკუზენის „ბა...რ"-დორტმუნდის „ბორუსია", „ფორტუნა"-...ლნი" დღეს და ხვალ გაიმართება.

...ბუნდესლიგის ისტორიაში იყო ერთი პე...ოდი — 60-იანი წლების ბოლოდან თითქმის ...იანი წლების მიწურულამდე, როდესაც ...ანულ ფეხბურთში ორი გუნდი — მიუნ...ს „ბაიერნი" და მენჰენგლადბახის „ბორუ...ა" ბატონობდა. მთელი ათი წლის მანძილზე ...გუნდები ერთმანეთში ინაწილებდნენ ჩემპი...ნ ტიტულს და ახლოსაც არავის იკარებდ...ა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ეპოქა ...რუნდა — იმ განსხვავებით, რომ მენჰენგ...ადბახელთა ადგილი მეორე „ბორუსიამ" — ...რტმუნდისამ დაიკავა. დორტმუნდელები და ...ჰენელები უკვე სამი წელია მხოლოდ ...მანეთს შორის არკვევენ ჩემპიონის ვინა...ს და ისეთი პირი უჩანს, კარგა ხანს ...რძელდება ასე, იმდენად დიდია განსხვავება ...ორ გუნდსა და დანარჩენებს შორის, პირველ ...ში ფინანსური თვალსაზრისით.

...ქვეყნის ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუ...ს" შემადგენლობაში წელს უმნიშვნელო ...ლებები მოხდა — გუნდიდან წავიდნენ ... პატრიკ ბერგერი და ურუგვა... რუბენ სოსა, სამაგიეროდ, ...მატეს გერმანიის ნაკრების ნე...რენე შნაიდერი „ჰანზადან" და ...ტუგალიელი პაულო სოუზა ...ენტუსიდან", მაგრამ, როგორც ...ეე გაირკვა, ამ ფეხბურთელებს ...ნიკური ტრავმები ჰქონიათ და ...იდერის საქმეს კი აღარაფერი ...ლება, აი, პაულო სოუზას უკან ...რუნება დორტმუნდელთა ხელმ...ნელობას ძლიერ უნდა, მაგრამ ...ორ დამთავრდება ეს საქმე, ჯერ ...ობია. დანარჩენში გუნდის ძი...ადი ხაზი იგივე იქნება — ...რე კლოსი, დაცვაში ზამერი, ...ერი, ხულიუ სეზარი, როიტე... ნახევარდაცვაში მიოლერი და ...ი, წინ მაპიუზა და პერლიხი. ... კვლავ ოტმარ პიცფალდი ...ნის.

...ავიანთი უმთავრესი კონკურენტისგან ...სხვავებით, მიუნჰენის „ბაიერნში" მნიშ...ვანი ცვლილებები მოხდა. პირველ რიგში ... აღინიშნოს, რომ გუნდის სათავეში ... დიდი იტალიელი ჯოვანი ტრაპატონია, ...მაც ბუნდესლიგიდან გავარდნილ „კაი...ლაუტერნში" გადასული ოტო რეჰაგელი შეცვალა. როგორი იქნება ტრაპის მეორე მოსვლა ბავარიელთა კლუბში, ძნელი სათქმელია. ერთი კია, როდესაც გუნდის პრეზიდენტია ბეკენბაუერი, დირექტორატში არიან რუმენიგე და ჰიონესი, ხალხი, ვისაც ძალიან უყვარს მწვრთნელის საქმეებში ჩარევა, „ბაიერნის" ხელმძღვანელობა



ლოთარ მათეუსი





მათიას ზამერი

ურთულესი საქმეა, რაც ვერც ტრაპატონიმ შეძლო პირველ ცდაზე და ვერც გუნდის მხსნელად დასახულმა „მეფე ოტომ". ტრაპატონი იტალიიდან მარტო არ მოსულა. მან რუჯერო რიციტელი მოიყვანა და იმედი აქვს, რომ „ტორინოს" ყოფილი ფორვარდი კლინსმანთან ერთად თავდასხმის უძლიერეს დუეტს შექმნის. სამაგიეროდ, წავიდნენ სხვა ლეგიონერები — ავსტრიელი ჰერცოგი „ვერდერში" დაბრუნდა, პაპენი — სამშობლოში, კოსტადინოვი თურქეთში გადავიდა, სფორცა — იტალიაში. ჰერცოგის ნაცვლად „ვერდერიდან" მარიო ბასლერი მოვიდა გუნდში, ხოლო ვენის „რაპიდიდან" კარსტენ იანკერი გადმოვიდა. მიუნჰენელთა სავარაუდო შემადგენლობა წელს ასეთი იქნება — კანი, მათეუსი, ჰელმერი,



ბასლერი და რეჰაგელი — ისინი „ვერდერში" აღარ არიან

ბაბელი, შტრუნცი, ციგე, შოლი, ბასლერი, ციკლერი, რიციტელი და კლინსმანი.

ვინ შეიძლება გაუწიოს კონკურენცია ამ ორ გუნდს? რეჰაგელის წასვლის შემდეგ „ვერდერის" საქმეები უკან-უკან წავიდა და საეჭვოა, რომ ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ფეხბურთის ყოფილმა „სუპერვარსკვლავმა" „დიქსი" დიორნერმა შეძლოს მდგომარეობის გამოსწორება. მით უმეტეს, რომ გუნდი მისმა ლიდერმა — ბასლერმაც დატოვა. შარშან ბევრი ფიქრობდა, რომ „შტუტგარტი" ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა, მაგრამ ამ გუნდმა გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. თუ ვინმე შეძლებს ლიდერებისთვის ნერვების მოშლას, ალბათ ისევ მენჰენგლადბახის „ბორუსია". გუნდიდან იტალიაში წავიდა ბოლო წლების ლიდერი, შეედი დალინი. ამის ნაცვლად გლადბახელებმა აქცენტი აღმოსავლეთ ევროპელებზე გააკეთეს — შეიძინეს პოლონელი იუსკოვიაკი და რუმინელი ლუპესკუ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გააგრძელებს აღმასვლას „ჰამბურგი", რომელიც მას შემდეგ, რაც სათავეში ფელიქს მაგათი ჩაუდგა, აშკარა პროგრესს განიცდის. ჰამბურგელებმა გაუშვეს იორდან ლეჩკოვი და შეიძინეს ავსტრიელი მარკუს შოპი. საერთოდ, ეს წლევანდელი სატრანსფერო სეზონის უმთავრესი ნიშანი იყო — ბუნდესლიგიდან მიდიოდნენ ბოლო წლებში მომრავლებული ბულგარელები და მათ ადგილზე მთელი ლეგიონი ჩამოვიდა ავსტრიიდან. შოპის გარდა, ესენი არიან: ვოლფარტი-"შტუტგარტში", ვაგნერი და მარასეკი „ფრაიბურგში", პფაიფენბერგერი — „ვერდერში".

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, ევროპის სხვა მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებისგან განსხვავებით, წელს გერმანელებს ბაზარზე დიდი აქტიურობა არ გამოუჩენიათ. ერთი კია, გრძელდება უცხოეთში მყოფი გერმანელი ფეხბურთელების დაბრუნება სამშობლოში — ევროპის ჩემპიონი შტეფან კუნცი თურქეთის „ბეშიქთაშიდან" ბუნდესლიგის დებიუტანტ „არმინიაში" გადავიდა.

კიდევ გავიმეორებთ, ბრძოლა ჩემპიონობისთვის ორ გუნდს — „ბაიერნსა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შორის უნდა გაჩაღდეს. გლადბახელები, „შტუტგარტი", „შალკე-04", „ვერდერი", „ჰამბურგი" ალბათ ევროთასების საგზურებისთვის იბრძოლებენ. ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ჭიდილი კი სავარაუდოდ ახალბედებს — „დუისბურგს", „ბოხუმს", „არმინიას" და ალბათ „სანკტ-პაულსა" და „ჰანზას" შორის გაჩაღდება.

## გთავაზობთ აგვისტოში გასამართი დანარჩენი ტურების კალენდარს:

...ტ. 20-21 აგვისტო
...რი — ჰანზა
...რუე — შტუტგარტი
...ი — ფრაიბურგი
... — გლადბახი
... — სპაული

დორტმუნდი — ფორტუნა
დუისბურგი — ლევერკუზენი
ბაიერნი — ბოხუმი
კიოლნი — მიუნჰენ 1860
III ტური. 23-25 აგვისტო
სპაული — შალკე

ჰანზა — ჰამბურგი
ბოხუმი — არმინია
შტუტგარტი — ვერდერი
ფრაიბურგი — კიოლნი
გლადბახი — კარლსრუე
მ.1860 — დორტმუნდი

ლევერკუზენი — ფორტუნა
დუისბურგი — ლევერკუზენი
IV ტური. 27-28 აგვისტო
დორტმუნდი — ფრაიბურგი
ვერდერი — გლადბახი
ფორტუნა — მ.1860

შალკე — ბოხუმი
კარლსრუე — სპაული
ჰამბურგი — შტუტგარტი
არმინია — დუისბურგი
კიოლნი — ჰანზა
ბაიერნი — ლევერკუზენი

# «კოლხეთი 1913» — «დინამოს» უხერხული მეტოქე

ფოთელები თბილისელთათვის ყოველთვის უხერხული მეტოქეები იყვნენ. მესამე ტურის ეს შეხვედრა განრიგით ფოთში უნდა გამართულიყო, მაგრამ ფოთის „კოლხეთი 1913"-ის ხელმძღვანელობამ გაით...ა თბილისელთა თხოვნა და სათამაშოდ დედაქალა...ვიდა. „დინამოსთვის" ეს თამაში ნორვეგიის „მიოლ..." განმეორებითი მატჩის წინ, ერთგვარ რეპეტიციას ...ვდა. დავით ყიფიანს მიეცა საშუალება, კიდევ ... შეემოწმებინა თავისი ფეხბურთელების მზადყოფ...ნდა ითქვას, რომ მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა. ... კლაძე და მაჭავარიანი გამოჩნდნენ. შუა ხაზში ... ნახევარმცველის პოზიციაზე კიკნაძის ნაცვლად ...ლმა ითამაშა. მინდორზე კვლავ 90 წუთი დაჰყვეს ...ელმა და ჩამარაულმა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, ...ის ბოლოს ორივე ეს ფეხბურთელი, ცოტა არ ...ღალა. არადა, ნორვეგიაში „დინამო"-"კოლხეთი ... თამაშთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალი ტე...ლოდნელი და იქ დაღლას უკვე აღარავინ გვაპატი...ე შისაცემია, რომ თბილისელები უზარმაზარ დროს ...ებ მოედნის ცენტრში თამაშს და ხშირად ამ მონაკ...იმდენიმე არაფრისმთქმელი გადაცემა ხორციელდე...მო" ძალიან ბევრს კარგავს, სტანდარტულ მდგომა...რომ ვერ იყენებს — თამაშის განმავლობაში თბი...ს ათ კუთხურს მაინც აწვდიან და თქვენ წარმოიდ...იმდენად გაიზრდებოდა გუნდის შედეგიანობა, კუ...რომ სასარგებლოდ ვიყენებდეთ. ეს პრობლემა თა...ლთა თამაშს უკავშირდება. თავდასხმაში ისევ იაშ...ებს იმ ფეხბურთელად, რომელიც დასარტყმელ ...ე გადის. ხომერიკი და ყიზილაშვილი, მართალია, ...ი მოთამაშეები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ დროს ანდომებენ კარში დარტყმას. ნორვეგიაში კი ისეთი ფორვარდი დაგვჭირდება, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას და კარში დარტყმას წამის მეათედებში მოახერხებს.

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ჩემი სუბიექტური აზრით, ნორვეგიაში უნდა გამოგვადგეს. ეს არის ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის გამოყენება — ისეთი გუნდის წინააღმდეგ, რომელიც თამაშს გრძელ გადაცემებზე და საჯარიმოში ჩაწოდებაზე აწყობს, ეს ფანდი აუცილებლად გამოგვადგება. „მიოლდე" საკუთარ მინდორზე გოლს აუცილებლად გაგვიტანს. შეიძლება ეს ორჯერაც მოახერხოს. ამიტომ „დინამოს" მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი ჩვენს შედეგიან თამაშზე იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, რომ თამაშის მთელი სიმძიმე, ამ შემთხვევაში, გოგიჩაიშვილმა, ჩამარაულმა და იაშვილმა უნდა იტვირთონ, ანუ იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც საგოლე მომენტი უნდა შექმნან.

რაც შეეხება „დინამო"-"კოლხეთი 1913"-ის მატჩს, ის თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:0 დამთავრდა, მაგრამ თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეხვედრა ნებისმიერი შედეგით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო, თბილისელებმა ვერაფერი მოუხერხეს ფოთელთა დაცვას. ისინი, ძირითადად, ცენტრიდან ერთფეროვან იერიშებს ახორციელებდნენ და 77-ე წუთზე სტუმართა მეკარის დაუდევრობა და ხომერიკის გოლი რომ არა, ღმერთმა უწყის, როგორი შედეგით დამთავრდებოდა მატჩი. გაშვებული გოლის შემდეგ ფოთელთა უპირატესობა გამოიკვეთა და მათ ორჯერ შეარხიეს მასპინძელთა კარის ბადე, მაგრამ შეხვედრის არბიტრის, ლაცაბიძის გადაწყვეტილებით, ორივეჯერ წესების დარღვევით. 88-ე წუთზე ჩამარაულმა მეორე გოლი გაიტანა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ამ გამარჯვებით ქვეყნის ჩემპიონმა ექვსი ქულა მოაგროვა და გათამაშების ცხრილში ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:
„მარგვეთი" — „სამგურალი" 2:0
„სამტრედია" — „მერანი-91" 1:0
„გორდა" — „კახეთი" 3:0
„ტორპედო" — „შევარდენი-1906" 1:1
„დილა" — „ოდიში" 2:0
„სიონი" — „ივერია" 3:0
„ბათუმი" — „გურია" 7:0

მეოთხე ტურის შეხვედრები 24-26 აგვისტოს გაიმართება.

### სატურნირო ცხრილი 17 აგვისტოსთვის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დილა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| 2. ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| 3. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| 4. გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| 5. მარგვეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 6. გურია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:12 | 6 |
| 7. ტორპედო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:6 | 6 |
| 8. სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| 9. ოდიში | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| 10. მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 11. სამტრედია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 12. კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| 13. კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:7 | 3 |
| 14. სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:8 | 3 |
| 15. შევარდენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| 16. ივერია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

კახა ფაჩუაშვილი

# აგასი მაკინროისა და ტარანგოს კვალზე



გამოქვეყნდა უძლიერეს ჩოგბურთელთა მორიგი, ყოველკვირეული სარეიტინგო სიები. ვაჟები: 1. პიტ სამპრასი — 4136; 2. ტომას მუსტერი — 3722; 3. მაიკლ ჩანგი — 3522; 4. ევგენი კაფელნიკოვი — 3213; 5. ბორის ბეკერი — 3162; 6. ანდრე აგასი — 2751; 7. გორან ივანიშევიჩი — 2746; 8. რიჰარდ კრაიჩეკი — 2660; 9. ჯიმ კურიე — 2337; 10. უეინ ფერეირა — 2775. უძლიერეს ვაჟთა ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილებაა — აგასიმ და ივანიშევიჩმა ადგილები გაცვალეს.

ქალები: 1. მონიკა სელეში — 361,86 და შტეფი გრაფი — 322,25; 2. არანტა სანჩესი — 214,89; 3. კონჩიტა მარტინესი — 198,19; 4. ივა მაიოლი — 179,42; 5. ანკე ჰუბერი — 153,20; 6. იანა ნოვოტნა — 138,85; 7. მერი-ჯო ფერნანდესი — 132,54; 8. კიმიკო დატე — 119,03; 9. ჩანდა რუბინი — 117,92; 10. ლინდსეი დავენპორტი — 115,87. ქალთა ათეულში უფრო მეტი ცვლილებაა — სანჩესმა და მარტინესმა ადგილები გაცვალეს და აგრეთვე, რუბინი მეშვიდედან მეცხრეზე ჩამოქვეითდა და შესაბამისად ფერნანდესმა და დატემ წინ წაიწიეს.

ამ კვირაში ვაჟთა სამი და ქალთა ერთი ტურნირი მიმდინარეობს. ქალები აშშ-ში მანჰეტენ-ბიჩში ასპარეზობენ (საპრიზო ფონდი — 450 000 დოლარი, შარშანდელი გამარჯვებული — კონჩიტა მარტინესი). იქვე, ამერიკაში ვაჟთა ორი დიდი ტურნირი მიმდინარეობს — ნიუ-ჰეივენში (მილიონ ორმოცი ათასი და ანდრე აგასი) და ინდიანაპოლისში (მილიონ ორმოცი ათასი და ტომას ენკვისტი); კიდევ ერთი, შედარებით დაბალი კატეგორიის ასპარეზობა ხორვატიის ქალაქ უმაგის გრუნტიან კორტებზე ტარდება (400 000 და ტომას მუსტერი).

ქალთა ტურნირში მთავარი ფავორიტი შტეფი გრაფია. დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა შეხვედრამ ამერიკელთა ახალ იმედთან, შავკანიან ვინუს უილიამსთან. გრაფმა ორ სეტში 6:4, 6:4 მოიგო.

ვაჟთა ტურნირებში უძლიერესებიდან მხოლოდ მუსტერი და ბეკერი არ თამაშობენ. დანარჩენები ორ ტურნირს შორის თანაბრად განაწილდნენ — სამპრასი, აგასი, ჩანგი და ივანიშევიჩი ინდიანაპოლისს ეწვივნენ, ხოლო კაფელნიკოვი, კრაიჩეკი, კურიე და ფერეირა — ნიუ-ჰეივენს. ინდიანაპოლისში უკვე მოხდა ერთი დიდი სენსაცია — კანადელ დანიელ ნესტორთან შეხვედრაში, როდესაც იგებდა — 6:1, 2:3, ანდრე აგასიმ მორიგი ექსცენტრული საქციელი ჩაიდინა და ამის გამო დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ეს მესამე შემთხვევაა, როდესაც ჩოგბურთელს ტურნირიდან აძევებენ არასპორტული საქციელისთვის და სამივე შემთხვევაში დამნაშავე ამერიკელი აღმოჩნდა — 1990 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე დაისაჯა ჯონ მაკინროი, შარშან უიმბლდონზე — ჯეფ ტარანგო და აი, ახლა აგასი.

# სახალისო თურმეობითი



## პედრო სასტიკი თუ პედრო წუწურაქი?

თურმე, 1367 წელს კასტილიისა და ლეონის მეფემ — პედრო სასტიკმა — გამარჯვება მოიპოვა მისთვის ძალზე მნიშვნელოვან ბრძოლაში ნავარეტესთან. ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა პედროს დროშის ქვეშ მებრძოლმა ინგლისელთა რაზმმა. მადლიერების ნიშნად, პედრომ ინგლისელთა მეთაურს, ინგლისის მეფე ედუარდ III-ის ვაჟს, უზარმაზარი, მტრედის კვერცხისხელა ლალი აჩუქა.

იმ დღიდან მოყოლებული, ეს ქვა მიჩნეული იყო ბრიტანეთის სამეფო სახლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ ძვირფასეულობად. 1832 წელს ის ჩაისვა ინგლისის მონარქის გვირგვინში.

და სრულიად მოულოდნელად, XX საუკუნის 70-იან წლებში გაირკვა, რომ სახელგანთქმული ლალი არ არის ლალი და საერთოდაც არ არის არანაირი ძვირფასი ქვა. ის არის უბრალო შპინელი, ლამაზი მინერალი, მაგრამ სრულებით არა ძვირფასი.

ამის შემდეგ ინგლისში გაჩაღდა კამათი: იცოდა თუ არა პედრომ, რას ჩუქნიდა ინგლისელებს? და რა უწოდონ მას ამიერიდან — პედრო უმეცარი, პედრო ცბიერი თუ პედრო წუწურაქი?

## ასწავლეთ ბავშვებს მუსიკა!

თურმე, მუსიკის შესწავლა ბავშვების განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ეს დაადგინეს ზალცბურგის (ავსტრია) უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა. მათ საინტერესო პედაგოგიური ექსპერიმენტი ჩაატარეს: ჩვეულებრივი დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ინტენსიურად ასწავლიდნენ მუსიკას. სხვა საგნებს ისინი იმავე მოცულობით სწავლობდნენ, როგორც სხვა სკოლებში. ყოველწლიურად აჯამებდნენ შედეგებს, ადარებდნენ ერთმანეთს მოსწავლეთა საერთო განვითარებისა და ცოდნის დონეს. ბავშვები, რომლებმაც მიიღეს მუსიკალური განათლება, სწავლაში უფრო წარჩინებულები, უფრო განვითარებულები და უფრო სერიოზულები აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი თანატოლები ჩვეულებრივი სკოლებიდან.

## მკითხველის საამებლად

თურმე, ფინეთში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთის რედაქცია ყოველ ნომერში განზრახ უშვებს რამდენიმე ორთოგრაფიულ შეცდომას. თავის მოქმედებას გაზეთის რედაქტორი შემდეგნაირად ხსნის: „არსებობენ მკითხველები, რომლებიც დიდ სიამოვნებას იღებენ, როდესაც ბეჭდვით გამოცემებში შეცდომებს პოულობენ. დაე, ჩვენთან იპოვონ ის, რასაც ეძებენ".

ამის მერე, ძვირფასო მკითხველებო, თუ ჩვენს გაზეთში რაიმე შეცდომას აღმოაჩენთ, იცოდეთ — ეს უბრალო შეცდომა კი არ არის, არამედ წინასწარ განზრახული!

## კროსვორდი

თარაზულად: 7. ჟ. სიმენონის დეტექტიური ნაწარმოებების პერსონაჟი; 8. ქართველი მინისტრი; 9. ამბორი; 10. გერმანული გაზეთი; 11. მოკლემეტრაჟიან ფილმ „რეკორდის" პერსონაჟი; 12. მისანი ქალი; 17. თავადაზნაურული ტიტული დასავლეთ ევროპაში; 18. ავტომანქანა, რომელსაც გარკვეულ საფასურად გადაყავს მგზავრები და გადააქვს ტვირთი; 19. ევრაზიის უდიდესი მდინარე; 20. გ. დანელიას ფილმი; 22. დიდი ბერძენი პოეტი და დრამატურგი; 24. XIX ს. რუსი კომპოზიტორი; 25. პორტის მტვირთავი, მუშა; 28. რომის იმპერატორი; 34. ფეხბურთში ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი; 35. წელიწადის ერთ-ერთი თვე; 36. გ. დოჩანაშვილის მოთხრობა; 37. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 38. მონეტის, მედლის წინა მხარე; 41. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 42. თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა; 47. ყურძნის მასობრივი კრეფა; 48. იტალიელი კინორეჟისორი; 49. ძლიერი შთაბეჭდილება, ზემოქმედება; 52. ფენოვანი შავი მინერალი; 54. კურორტი შავ ზღვაზე; 56. მამალი ცხვარი; 57. ცნობილი იაპონელი კინომსახიობი; 58. მდინარე საქართველოში; 59. ნახევარი ტონით ხმის აწევა; 60. ავი ზნე, ეპილეფსია; 61. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 62. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში; 63. რამეზე დამდგარი მზის შუქი.

შვეულად: 1. დებულება, რომელიც მოკლედ გადმოსცემს მოხსენების ერთ-ერთ ძირითად აზრს; 2. სხსნად მიცემული თანხა; 3. სლავური ერთკომლიანი დასახლება; 4. საჯარიმო დარტყმა ჰოკეიში; 5. განსხვავებული შეხედულებების, ინტერესების შეჯახება; 6. ჩაიკოვსკის ოპერა; 13. გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში; 14. ჩრდილოეთის ცივი ძლიერი ქარი; 15. წვრილი და მაღალი ციხე (საბა); 16. კარტოფილის გარნირი; 21. ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; 23. მინანქარი; 25. დებულება, რომელსაც ბრმად, უკრიტიკოდ იღებენ; 26. სახელგანთქმული ქართველი მეფე; 27. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა; 28. ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ფულის ერთეული; 29. ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზეც სიკვდილით სჯიდნენ; 30. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 31. სიგრძის საზომი ერთეული; 32. პოპულარული საესტრადო ანსამბლი საქართველოში 60-70-იან წლებში; 33. ნადავლი; 39. მოლოდინი, რწმენა; 40. ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი ეგვიპტეში; 41. ერთი წერტილიდან გამოსულ ორ სწორ ხაზს შორის მოქცეული ფართობი; 43. ა. დიუმას „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 44. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 45. ამერიკელი კინომსახიობი; 46. სოფელი გორის რაიონში; 50. ნაზი, რჩეული კერძების მცოდნე და მოყვარული; 51. ქართული ხალხური საკრავი; 53. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 55. გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებს; 56. მეფის მრჩეველი, მინისტრი მუსლიმანურ აღმოსავლეთში; 57. ხერხული წარმოებისთვის განკუთვნილი ნაკეთობის ნიმუში.

შეადგინა ბ. მირიანაშვილმა



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 5. ფარშევანგი; 10. ოკეი; 11. ილარიონი; 16. ქედი; 18. იაკუტია; 19. ლუიდორი; 20. ხეოფსი; 21. ანძა; 22. არსი; 23. ბილიარდი; 26. ქირა; 28. დარი; 30. ქარტია; 32. არიზონა; 33. ინდექსი; 34. რემა; 35. კომპანია; 39. ნირი; 40. გლადიატორი.

ვერტიკალურად: 1. ვალი; 2. „უშბა"; 3. პანო; 4. აგნი; 6. ტოკიო; 7. მერკანტილიზმი; 8. რეკონსტრუქცია; 9. სირია; 12. ლიახვი; 13. რობოტი; 14. ნოლი; 16. ეტნა; 17. „აინა"; 24. ანტენა; 25. დრაივი; 27. ალოე; 28. დედა; 29. პადრე; 30. ქატო; 31. მისია; 35. კალა; 36. მოდა; 37. ნოტა; 38. აირი.

## ხარბურთი



თურმე, მექსიკაში არსებობს და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს ფეხბურთის ერთობ თავისებური სახესხვაობა. პირველი 20 წუთის განმავლობაში თამაში ჩვეულებრივად მიმდინარეობს, შემდეგ მოედანზე უშვებენ გამძვინვარებულ ხარს. ამ მომენტიდან ყოველი შეგდებული გოლი ორად ითვლება.

## «ბავშვობის მუზეუმი»

თურმე, ქალაქ კანში (საფრანგეთი) 80-იანი წლების ბოლოს გაიხსნა ერთობ საინტერესო მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია სხვადასხვა ეპოქის 3500-ზე მეტი სათამაშო, თოჯინა და თამაში. მათ შორის არის ძველეგვიპტური თოჯინა მოძრავი ხელებითა და ფეხებით — მისი ასაკი აღწევს 4000 წელს! აქვე არის სათამაშო თვითმფრინავი, რომელიც 1870 წელს არის დამზადებული, რამდენიმე ათეული წლით ადრე პირველ ნამდვილ თვითმფრინავებამდე. [illegible] სათამაშო სულ რაღაც ათიოდე ფრანკად შეიძინა ბავშვობის კოლექციის შემქმნელმა ჟან-კლოდ ბოდომ. ძველთაძველი სათამაშოების გვერდით წარმოდგენილია ულტრათანამედროვე ელექტრონული სათამაშოები. „ბავშვობის მუზეუმის" იდეა ბოდოს იმ დღეს მოუვიდა თავში, როდესაც ნაგვის ყუთში შემთხვევით იპოვა ძველი თოჯინა-მარიონეტი. ამჟამად ეს მუზეუმი კანის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობადაა ქცეული.

სატირა

## სიკვდილით დასჯა

არის წუხილი, არის თამაში,
შეხლა-შემოხლა, დავა და განსჯა,
ვარგა თუ არა, გვინდა თუ არა
ადამიანის სიკვდილით დასჯა.
მე კი მგონია საქართველოში
დღეს იმნაირი გვიდგას დროება,
რომ არ არსებობს ქაღალდზე მისი
დაფიქსირების საჭიროება.
რადგანაც უკვე დიდი ხანია,
ჩვენ ამას ვშვებით მარტივი წესით,
და ვანადგურებთ ადამიანებს
შიმშილით, დარდით, ბოღმით და სტრესით.
ნარყვნილ-ნაბილწულ სასმელ-საჭმელით,
ნარკოტიკებით, ღვინით და არყით,
მამა-პაპათა საცხოვრისიდან
ქართველი ხალხის გადენა-გაყრით.
ასე რომ უკვე შენ „მისჯილი გაქვს"
ჩემო სამშობლოვ, ნახევრად გვამო,
და ფაქტიურად კამათი მიდის
თითო-ოროლა ცოცხალის გამო.

რუსლან მიქაბ[illegible]


რედაქტორ-გამომცემლები

ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე

გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია

პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

დამკაბადონებელი თამაზ ჩხაიძე

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7

ტელ: 29-48-05, ფაქსი 23-52-12